პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 აგვისტო ორშაბათი 2013
№ 188 (14 104) ფასი 80 თეთრი

## ტატიშვილი ძირითად ბადეშია



ცინცინატიში დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2.369.000 დოლარი). მანდილოსანთა საკვალიფიკაციო ეტაპზე ცდიდა ძალებს 23 წლის თბილისელი **ანა ტატიშვილი**. პირველ წრეში ჩვენებურმა სამ სეტში სძლია 30 წლის ჩინელ **ჟიე ჟენს** (რეიტინგში - 56-ე) 5:7, 6:1, 6:2, მეორეში კი 42 წლის **კიმიკო დატე-კრუმი** (რეიტინგში 63-ე) საათნახევარში ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:4 და წლეულს სიდნეიში მარცხისთვის (3:6, 0:6) რევანში აიღო. ამ გამარჯვებით ტატიშვილმა ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა და სარეიტინგო 30 ქულაც დაიმსახურა.

ვაჟა დანელია

# 25-ე გაიხსნა!



დინამო (თბ)-ზესტაფონი 2:1 გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

2-4

## ჩემპიონი ჩისკოშ იხსნა

### აყალმაყალი გურიაში, ოთხმა ფეხბურთელმა ღამე პოლიციაში გაატარა



სიონი-დილა 1:2 თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



ვალერი ყაზაიშვილი

4

## მჭედლიძის დუბლი, ყაზაიშვილის მეორე

### 7 ქართული გოლის ამბავი

## დებიუტიც ასეთი უნდა!

**გერმანია:** მხიარული ბუნდესსტარტი
**საფრანგეთი:** ფალკაოშ მონაკოში ანგარიში გახსნა
**ინგლისი:** სერ ალექსის შემდგომი მანჩესტერის პირველი ტიტული

5-9





## უსაინ ბოლტმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა

16



დინამოს 3 ქულა ჩისკომ მოუტანა — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ილბალი და გამძლეობა

11.08. თბილისი. დინამო არენა. 1000 მაყურებელი

**დინამო (თბ) 2**

**ზესტაფონი 1**

1:0 მერებაშვილი (28), 1:1 ქობალია (47), 2:1 ჩისკო (90+3. ხოჭოლავას პასით)

| დინამო 4-4-2 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| ლორია | რ. კვასხვაძე |
| ხურცილავა | ტერზიჩი |
| გ. კვარაცხელია | კაჭკაჭიშვილი |
| გველესიანი | თორ. გრიგალაშვილი |
| კვირკველია | კანდელაკი |
| ჩისკო | სამუშია |
| ე. გრიგალაშვილი | რენე ფერეირა |
| ხმალაძე | შარიქაძე |
| მერებაშვილი | ჭანტურიშვილი |
| ვუო | ქობალია |
| დვალი | ადამია |
| მწვრთნელი: დ. უზრინი | მწვრთნელი: რ. დოსტანიჩი |

**დინამო**

62. ვუო - **გოგა**
88. დვალი - **ხოჭოლავა**
89. ხურცილავა - **გლიშიჩი**

*სათადარიგოები:* ზარქუა, სეთურიძე, შაშიაშვილი, პაპავა

**ზესტაფონი**

60. სამუშია - **სარდალიშვილი**
80. რენე ფერეირა - **გაგოშიძე**
86. ჭანტურიშვილი - **კიკნაველიძე**

*სათადარიგოები:* მეშველიანი, თორ. გრიგალაშვილი, რაჟამაშვილი, ს. ლომია

გაფრთხილება: გველესიანი (26), რენე ფერეირა (65), გ. გრიგალაშვილი (74)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

სეზონს გამარჯვებით რომ დაიწყებს გუნდი, ამაზე უკეთესი შედეგი რა უნდა იყოს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი ტურის ცენტრალური შეხვედრის მეტ-ნაკლებად ლოგიკური შედეგი, ალბათ, მაინც ფრე უნდა ყოფილიყო! მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო და **დუშან უზრინის** გუნდმაც ახალი სეზონის სტარტზე უმძიმესი გამარჯვება მოიპოვა.

ვინც „დინამო“-“ზესტაფონის“ გუშინდელ მატჩს თვალი მიადევნა, დაგვეთანხმება, რომ დიდი ვერაფერი სანახაობა იყო, თუმცა არ დავმალავთ: მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, ფაქტობრივად, ორი კვირის წინათ შეკოწიწებული „ზესტაფონისგან“ არცთუ ურიგო ფეხბურთის ჩვენება.

ისიც ფაქტია, რომ სერბმა სპეციალისტმა **რატკო დოსტანიჩმა** დროის ძალიან მოკლე პერიოდში მაინც შეძლო ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება და „ზესტაფონის“ უამრავი ახალწვეული ერთმანეთში როგორც შეთამაშდება, ამ კლუბისგან მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის ბრძოლას უნდა ველოდოთ. ანუ, ისეთივე „ზესტაფონი“ დაამშვენებს საქართველოს ჩემპიონატს, როგორიც გვახსოვს ბოლო 6-7 წლის განმავლობაში. გუშინ ცოტა იღბალს და ცოტა ფიზიკურ გამძლეობას რომ არ დაელალატებინა, იმერული კლუბი თბილისიდან, სულ მცირე, ქულას წაიღებდა.

ჰო, ძირითადი დროის დამთავრებამდე ათი წუთი იქნებოდა დარჩენილი, სტუმართა ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას დაღლა რომ დაეტყო; ყოველივე ეს ტრიბუნიდან ჟურნალისტებმა თუ შეამჩნიეს, „დინამოს“ მთავარ მწვრთნელსაც როგორ გამოეპარებოდა და, ალბათ, ამიტომაც გააკეთა, ბევრის აზრით, დაგვიანებული შეცვლები.

ისე, გუშინ „დინამოს“ შემადგენლობაში ძალიან გაგვიჭირდებოდა ისეთი ფეხბურთელის მოძებნა, მთელი შეხვედრა მაღალ დონეზე რომ ჩაეტარებინა; ანუ, შეცდომებიც ბევრი ჩანდა დინამოელთა თამაშში და, რაც ყველაზე თვალში საცემი იყო, მასპინძლები, ერთი შეხედვით, ქაოტურადაც უტევდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ჩემპიონის თამაშზე უარყოფითად ემოქმედოს „სტიაუასთან“ ორრაუნდიან დაპირისპირებას, - ყოველ შემთხვევაში, დინამოელების თამაშში სილაღე და ფანტაზია ეპიზოდურად თუ გამოკრთებოდა ხოლმე. მასპინძელთა რამდენიმე ფეხბურთელმა კი, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა და „დინამოს“ გამარჯვება საბოლოოდ, მაინც კონკრეტული ფეხბურთელების ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა.

## ინდივიდუალიზმის ხარჯზე

“სტიაუასთან“ საპასუხო შეხვედრისგან განსხვავებით დუშან უზრინმა ძირითადში სამი ცვლილება განახორციელა: მარჯვენა მცველად **დავით ხურცილავა** ვიხილეთ, **გიორგი გველესიანმა** დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი, **პატრიკ ვუომ** კი - შეტევის წინა ხაზში. ამპლუა შეეცვალა **ჩისკოსაც** - წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა მატჩის ძირითადი ნაწილი... მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე გაატარა და მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთებში დაიკავა „თავისი ადგილი“.

საინტერესო იყო „ზესტაფონის“, ფაქტობრივად, სრულიად ახალი გუნდის ტაქტიკური განლაგებაც: რატკო დოსტანიჩმა „კლასიკური“ 4-4-2 არჩია და თავდასხმის წინა ხაზში ორი ახალწვეული, ახალგაზრდა **ირაკლი ქობალია** და გამოცდილი **გიორგი ადამია** გაამწესა. ქობალიას ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია: ტრავმის გამო ამ ფეხბურთელს წინა სეზონი, ფაქტობრივად, გაუცდა, თუმცა გუშინ საკმაოდ აქტიური გახლდათ და გოლიც გაიტანა, როცა ჩინებულად ისარგებლა დინამოელთა უკანახაზელთა მიუტევებელი შეცდომით. გამოცდილ გიორგი ადამიას კი საფეხბურთო ოსტატობა არასდროს დაეწუნებოდა და ეს გუშინაც რამდენჯერმე ნათლად გამოჩნდა!

ცნობისათვის, ადამიასაც ბევრი გაუცდა წინა სეზონში, თუმცა გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე გუშინ რამდენჯერმე სერიოზული პრობლემა შეუქმნა მეტოქეს. მეორე ტაიმში კი მახვილი კუთხიდან ისეთი „გაისროლა“, იმ ბურთის ამღები ვერც ერთი მეკარე ვერ იქნებოდა, - მასპინძლები მეორე გოლისგან ძელმა გადაარჩინა!

პირველი ტაიმი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა და ერთი-ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ვნახეთ; სტუმართაგან ადამიას დარტყმაა აღსანიშნავია, **გიორგი ლორიას** იოლი ნადავლი რომ გახდა; მასპინძელთაგან კი **ჩისკოს** სახიფათო საჯარიმო და **ელგუჯა გრიგალაშვილის** დარტყმას თუ გამოვყოფდით. თუმცა „დინამომ“ პირველ ტაიმში მაინც შეძლო გოლის გატანა: **გიორგი მერებაშვილმა** მარცხენა ფლანგიდან წამოიღო ბურთი, ცენტრში შეიწია და დაახლოებით, 23-მეტრიდან ძლიერი და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, **ვახტანგ ჭანტურიშვილის** აქტიურობით ქობალიამ საპასუხო გოლი რომ გაიტანა; მალე ეს „დუეტი“ ყურადღების ცენტრში კვლავაც მოექცა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ქობალიამ ზუსტად ვერ დაარტყა. ამასობაში „დინამოც“ ცდილობდა თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ ჩისკო-ხურცილავას კომბინაცია **ვუომ** ზუსტი დარტყმითვე ვერ დააგვირგვინა, - არადა, მასპინძელთა კოტდივუარელი ლეგიონერი უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდა.

გოლის გატანის შანსი ჰქონდა შეცვლაზე შესულ **დორინ გოგასაც**: რუმინელი ნახევარმცველი ორჯერ აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, მაგრამ ორჯერვე არაზუსტად დაარტყა. აქვე სტუმართა მეკარის და კაპიტნის, **როინ კვასხვაძის** დამაჯერებელი თამაშიც უნდა აღვნიშნოთ მეორე ტაიმის განმავლობაში. თუმცა სტუმრებს დაღლა დაეტყოთ და დროის გაყვანასაც არ ერიდებოდნენ (განსაკუთრებით ბრაზილიელი ახალწვეული **რენე ფერეირა**). ჰო, ის ეპიზოდი კინაღამ გამოგვრჩა: **ჯაბა დვალმა** მეტოქეს საჯარიმოში ორი მეურვე ოსტატურად რომ ჩამოიცილა, მაგრამ კვასხვაძემაც ჩინებულად ითამაშა.

მატჩის არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** (ჩვეულად, ობიექტურად რომ იმსაჯა) ძირითად დროს 5 წუთი დაამატა და, სავარაუდოდ, 94-ე წუთი იქნებოდა, ახალგაზრდა **დათა ხოჭოლავამ** ბოლომდე რომ იბრძოლა და ბურთი იქვე მდგომ ჩისკოს გადააწოდა; ესპანელმა ფორვარდმა კი (მთელი მატჩის განმავლობაში, ისე როგორც „სტიაუასთან“ ორივე დაპირისპირებაში, უჩვეულოდ ინერტული რომ გახლდათ) გადამწყვეტი დარტყმა უნაკლოდ შეასრულა და თავის გუნდს სეზონის სტარტზე პირველი გამარჯვებაც მოუტანა.

„ზესტაფონი“ კი ალალად შეგვეცოდა, მაგრამ თამაში ხომ მსაჯის საფინალო სასტვენამდეა.

**გია ტუხაშვილი**

# დოლიძის მეორე სუნთქვა

11.08. თბილისი. მ. მესხი. 1500 მაყურებელი

**სიონი 1**

**დილა 2**

1:0 თოთაძე (11. მიკუჩაძის პასით), 1:1 დოლიძე (39. ილურიძის პასით), 1:2 დოლიძე (77. ილურიძის პასით)

| სიონი 4-2-3-1 | დილა 3-2-3-2 |
|---|---|
| მერლანი | რევიშვილი |
| ტყილდიანი | კვახაძე |
| სვანიძე | ხიზანეიშვილი |
| თოთაძე | თომაშვილი |
| ფოფხაძე | ალადაშვილი |
| პარუნაშვილი | გურული |
| განუგრავა | დოლიძე |
| ლობჟანიძე | დიასამიძე |
| მიკუჩაძე | მაისურაძე |
| გოგობერიშვილი | ილურიძე |
| ახალაია | მოდებაძე |
| მწვრთნელი გ. კიკნაძე | მწვრთნელი გ. დევდარიანი |

**სიონი**

70. მიკუჩაძე - **ცხადაია**
75. ახალაია - **უგულავა**
80. პარუნაშვილი - **ჩივაძე**

*სათადარიგოები:* ბათიაშვილი, ქემოკლიძე, ბიბილეიშვილი, იოსელიანი

**დილა**

17. მოდებაძე - **სადაღაშვილი**
46. დიასამიძე - **ბოლქვაძე**
82. ილურიძე - **გორელიშვილი**

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, გაგნიძე, ალექსიძე, გაბაშვილი

გაფრთხილება: ილურიძე (25), კვახაძე (39), მიკუჩაძე (58), პარუნაშვილი (62)

არბიტრი: გ. ყრუაშვილი



გრიგოლ დოლიძე გამარჯვების გოლის შემდეგ — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

„დილაზე“ დასაკვირვებლად მატჩს ევროპის ლიგის პლეი-ოფში გორელთა მეტოქის, ვენის „რაპიდის“ წარმომადგენელი დაესწრო. თუმცა ავსტრიელმა სტუმარმა სახეცვლილი გუნდი იხილა - სპლიტის „ჰაიდუკთან“ ნათამაშები ფეხბურთელებიდან ჩემპიონატის პირველი ტური ტრავმებისა და სხვა მიზეზების გამო **მამუკა კობახიძემ, თემურ ლონლაძემ** და **ლაშა გვალიამ** გამოტოვეს, **დავით ბოლქვაძე** კი მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე.

„დილაში“ ახალწვეულიც იყო - გუნდს დაუბრუნდა **ირაკლი მაისურაძე**, რომელმაც რუსეთში გადასვლა სამუშაო ვიზის არქონის გამო ვერ მოახერხა.

**გიორგი კიკნაძის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „სიონი“ მოაფერიანა და წაგების მიუხედავად, ბოლნისურმა კრებულმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პერსპექტიული და გამოცდილი მოთამაშეების სინთეზით, თუ სტაბილური დაფინანსებაც იქნა, ვფიქრობთ, კარგი გუნდი ჩამოყალიბდება.

ბოლნისელებმა, რომლებიც ნომინალური მასპინძლები იყვნენ, თამაში ნამდვილი მასპინძლებივით დაიწყეს - აგრესიულად შეუტიეს მეტოქეს. „სიონის“ მოთამაშეები ბურთს არ აყოვნებდნენ. ძალიან დიდი სამუშაო შეასრულეს **ლაშა პარუნაშვილმა** და **კოკა მიკუჩაძემ**, რომლებიც იერიშებს სწრაფად იწყებდნენ.

„ჰაიდუკთან“ ქანცგაცლილი გორელები კი თავიდან აშკარად მოშვებულები იყვნენ. „სიონმა“ მე-7 წუთზე რეალური საგოლე მომენტი შექმნა. მიკუჩაძემ ბურთი კუთხურიდან ჩააწოდა, მცველებმა კი **ლაშა თოთაძე** უმეთვალყურეოდ დატოვეს - თავური დარტყმა მიზანს მცირე მანძილით ასცდა.

ოთხ წუთში ბოლნისელებმა ზუსტად იგივე გაიმეორეს, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ანგარიშიც გაიხსნა - მიკუჩაძის გადაცემისა და თოთაძის თავურის შემდეგ ბურთი ბადეში აღმოჩნდა - 1:0.

ამას ისიც დაემატა, რომ მე-17 წუთზე, მცველთან შეჯახებისას, „დილას“ თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძე** დაშავდა და მოედნიდან გაიყვანეს. მოვლენებს გავუსწრებთ და გეტყვით, რომ შეხვედრის მიწურულს ტრავმის გამო **გიორგი ილურიძეც** შეცვალეს - მას კოჭი გადაუბრუნდა. იმედი ვიქონიოთ, რომ „რაპიდთან“ მატჩამდე გორელთა ლაზარეთში არავინ დარჩება.

გოლის შემდეგ „დილამ“ დროულად მოახერხა გადაწყობა. დევდარიანის შეგირდები გამოფხიზლდნენ და ფლანგებიდან საკმაოდ მწვავე შეტევებიც განახორციელეს. ანგარიში ტაიმის მიწურულს გათანაბრდა. **კახა ალადაშვილმა** მეტოქის საჯარიმოსთან **გიორგი განუგრავას** აართვა ბურთი და მშვენიერი გადაცემით ილურიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა. მართალია, **მირზა მერლანმა** დარტყმულის მოგერიება შეძლო, მაგრამ იქვე **გრიგოლ დოლიძე** გაჩნდა - 1:1.

ტაიმის ბოლო წუთზე, ძლიერი შორეული დარტყმით, „დილას“ დაწინაურებას მაისურაძე ცდილობდა, მაგრამ მერლანმა საიმედოდ ითამაშა.

მეორე ტაიმში წინ გასვლის შანსი პირველად „სიონს“ ჰქონდა - **ალეკო გოგობერიშვილმა** მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი განუგრავა მოძებნა, რომლის უძლიერეს დარტყმას **ნუკრი რევიშვილი** ჩვეული სიმშვიდით გადაელობა. იგივე განმეორდა **ზვიად ლობჟანიძის** შეტევის დროსაც.

გორელები იერიშებს განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგიდან ამწვავებდნენ, სადაც ალადაშვილი და დოლიძე ძალიან ბევრს (რაც მთავარია, სასარგებლოდ) მუშაობდნენ - აშკარაა, რომ ახალ სეზონში ორივეს „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა. მე-60 წუთზე სწორედ მათ მიერ წამოწყებული შეტევის დაგვირგვინება შეეძლო ილურიძეს, მაგრამ ბურთი კარს ასცდა.

ნელ-ნელა დაღლა ბოლნისელებსაც დაეტყოთ და 77-ე წუთზე „გატყდნენ“ კიდეც. მეკარის საჯარიმოსთან ჩინებულად ითამაშა ილურიძემ, რომელმაც ზურგს უკან მყოფი მცველი უცნაური მოძრაობით ჩამოიშორა და თავისუფლად მყოფი დოლიძე შენიშნა, რომელმაც პენალტის ნიშნულიდან ზუსტად დაარტყა და დუბლი შეასრულა - 1:2.

ბოლნისელთა მცდელობა, ანგარიში გაეთანაბრებინათ, უშედეგო აღმოჩნდა. „დილამ“ რთული, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა და აქტივში პირველი 3 ქულა ჩაიწერა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.08. ქუთაისი. ტორპედო. 1500 მაყურებელი

ტორპედო 1
მეტალურგი 1

1:0 კაპანაძე (4. გიგაურის პასით), 1:1 დ. კირკიტაძე (46. გურეშიძის პასით)

| ტორპედო 4-4-2 | მეტალურგი 4-4-2 |
|---|---|
| ქვილითაია | ბედიაშვილი |
| მთივლიშვილი | ჯაფარიძე |
| ჯელიძე | გავაშელიშვილი |
| სანდოხაძე | მახვილაძე |
| უბილავა | ორბელაძე |
| ტაბატაძე | დ. კირკიტაძე |
| გიგაური | გურეშიძე |
| კუხიანიძე | რაზმაძე |
| გოროზია | გეწაძე |
| კაპანაძე | ბერიაშვილი |
| საბანაძე | კორღალიძე |
| მწვრთნელი ჟ. სარაგოსა | მწვრთნელი გ. სანაია |

**ტორპედო**

46. მთივლიშვილი - **მზევაშვილი**
64. გოროზია - **ფანცულაია**
77. საბანაძე - **ახვლედიანი**

სათადარიგოები: კუპატაძე, ცინცაძე, მარკოზაშვილი, ხიდეშელი

**მეტალურგი**

18. ჯაფარიძე - **სუხიაშვილი**
46. რაზმაძე - **დობროვოლსკი**
70. კორღალიძე - **ფიფია**

სათადარიგოები: შერმადინი, კაკუბავა, სიხარულიძე, ქავთარაძე

გაფრთხილება: ორბელაძე (11), ბერიაშვილი (19), გურეშიძე (31), ტაბატაძე (62), დობროვოლსკი (72)

არბიტრი: ლ. სილაგავა



ფოტო: www.fctorpedo.ge

# გულდაწყვეტილი მასპინძელი

წინა სეზონის შემდეგ „ტორპედოში" განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს გულშემატკივართა დიდი ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა. ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკურ „ჟილინასთან" საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით მარცხის (0:3) შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, ფანების ერთი ჯგუფი კლუბის მფლობელთა პოლიტიკას ღიად დაუპირისპირდა... ამ წინაპირობებიდან გამომდინარე, მოულოდნელი არ ყოფილა, საიუბილეო ჩემპიონატის გახსნის მატჩს ქუთაისში უჩვეულოდ ცოტა მაყურებელი რომ დაესწრო...

ახალი ფორმაციის „ტორპედო" პირველ ტურში საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ და ამბიციურ რუსთავის „მეტალურგს" ხვდებოდა. იდეალურ საფარზე თამაში ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო. პირველივე წუთზე, **გიორგი კუხიანიძის** გადაცემის შემდეგ რუსთაველთა კარს **ნიკა საბანაძე** დაემუქრა - საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ **გრიგოლ ბედიაშვილმა** ბურთი მუშტებით მოიგერია და „მეტალურგი" გოლისგან იხსნა.

ქუთაისელთა შეტევები გაგრძელდა და მალე ანგარიშიც გაიხსნა. კუხიანიძემ და **მერაბ გიგაურმა** კუთხური გაითამაშეს, ამ უკანასკნელმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც რუსთაველთა ტანმაღალ მცველებს **თორნიკე კაპანაძემ** აჯობა, სწორად შერჩეული პოზიციის ხარჯზე თავური ზუსტად დაარტყა, ხოლო ბედიაშვილის თავგანწირულმა ნახტომმა „მეტალურგს" ვერ უშველა.

საპასუხო შეტევისას რუსთაველებმა უმალ პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს. **რევაზ გეწაძემ** საჯარიმოში ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა **დავით მთივლიშვილი** და კარშიც დაარტყა, მაგრამ **მაქსიმე ქვილითაიამ** ბურთი იოლად მოიგერია.

ქუთაისელებს უპირატესობა არ დაუთმიათ. **ჟერარდ სარაგოსას** შეგირდები სწრაფი, კომბინაციური თამაშით ცდილობდნენ მეტოქის „გატეხვას". გამოირჩეოდა მარჯვენა ფლანგი, სადაც **ვაჟა ტაბატაძე** აქტიურობდა; ბევრს მოძრაობდნენ ფორვარდები (კაპანაძე და საბანაძე), რომლებიც მეტოქის მცველებს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდნენ; სახიფათო იყო ტორპედოელთა მიერ შესრულებული „სტანდარტულებიც"...

ერთი სიტყვით, პირველი ნახევარი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა, თუმცა „მეტალურგებსაც" ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსები. ჯერ იყო და, **გიორგი გავაშელიშვილის** სახიფათო თავური ასცდა მიზანს, ტაიმის ბოლოს კი, რომ არა მეკარე ქვილითაიას შესანიშნავი რეაქცია, სტუმრები პირველივე ტაიმში აღადგენდნენ წონასწორობას. ამ ეპიზოდში უხეშად შეცდა ქუთაისელთა ცენტრალური მცველი **ნიკა სანდოხაძე**, რომელიც მეკარისთვის ცდილობდა ბურთის დაბრუნებას, ოღონდ, ექსტორპედოელ **გიორგი ბერიაშვილისთვის** გამოუვიდა პასი. ბერიაშვილმა მეკარე კი ჩამოიტოვა და კარშიც დარტყმა, მაგრამ იმ დროს როცა ყველას გოლი ეგონა, ქუთაისელთა კიპერმა პატარა სასწაული მოახდინა და „ტორპედო" გადაარჩინა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე რუსთაველებმა ანგარიში გაათანაბრეს. საგოლე იერიში მარცხენა ფლანგიდან განვითარდა, ქუთაისელმა მცველებმა ბურთის გამოტანა ვერ მოახერხეს, ბერიაშვილმა საჯარიმოში **გურამ გურეშიძეს** გაატანა ბურთი, ამან კი **დავით კირკიტაძე** მოძებნა და „მეტალურგის" ქუთაისელმა (წარმოშობით) ფეხბურთელმა თავური დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია.

გოლმა რუსთაველებზე დადებითად იმოქმედა, ისინი გააქტიურდნენ და უპირატესობაც მოიპოვეს. მომდევნო 15-20 წუთი მათი დომინირებით მიმდინარეობდა. ისინი ბურთსაც აკონტროლებდნენ და ქუთაისელთა მცველებსაც მუდმივად ანერვიულებდნენ, თუმცა რეალურ საგოლე მომენტებამდე საქმე ვერ მიჰყავდათ.

ვითარების გამოსასწორებლად სარაგოსამ შეცვლას მიმართა - **გოროზიას** ნაცვლად მოედანზე შეიყვანა **ფანცულაია**, რომელმაც ქუთაისელთა შეტევებს ახალი მუხტი შესძინა. ის აქტიურად ჩაერთო თამაშში და მალე უპირატესობა ისევ „ტორპედოს" მხარეს გადავიდა. საბანაძემ საჯარიმოს გარედან კარში ძლიერად დაარტყა და მეკარე უძლური იქნებოდა, ბურთი ოდნავ რომ ასცდენოდა მიზანს.

მალევე, კუხიანიძის ძალზე სახიფათო ჯარიმა ბედიაშვილმა გაჭირვებით მოიგერია, ხოლო შემდეგ ფანცულაიამ დრიბლინგით სამ მეურვეს აუბნია თავგზა და კარშიც დაარტყა, მაგრამ მცირედით არაზუსტად. ყველაზე რეალური შანსი კი მატჩის მიწურულს კაპანაძის თავური დარტყმა იყო, რომელიც ბედიაშვილმა ეფექტურ ნახტომში მოიგერია.

გულხელდაკრეფილი არც რუსთაველები ყოფილან, მათი მხრიდან კირკიტაძისა და შეცვლაზე შესული **ფიფიას** დარტყმებია გამოსარჩევი - ორივე შემთხვევაში ქვილითაიამ უშეცდომოდ ითამაშა...

მართალია, თამაშის ხარისხითა და შედეგით ადგილობრივი გულშემატკივრები კვლავ უკმაყოფილონი დარჩნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქუთაისელთა თამაშში აშკარად იგრძნობოდა გარკვეული პროგრესი, გუნდს არ აკლდა მონდომებაც და რომ არა გამოუცდელობა, სასურველ შედეგსაც მიაღწევდა.

**მატჩის შემდეგ**

გელა სანაია: *„პირველ ტაიმში კონცენტრაცია ვერ მოვახერხეთ, რის გამოც მეტოქემ აშკარად გვაჯობა. საბედნიეროდ, მეორე ნახევრიდან თამაშში კორექტივების შეტანა მოვახერხეთ და ანგარიში გავათანაბრეთ, თუმცა ბოლო 15 წუთში უპირატესობა კვლავ მასპინძლებს დავუთმეთ. როცა დასაწყისშივე გოლს უშვებ, ძალიან რთულია მატჩის შემოტრიალება, მაგრამ ბიჭებმა ეს მოახერხეს და ამისთვის მადლობას ვუხდი. ქუთაისში თამაში ნებისმიერი გუნდისთვის ძნელია, თანაც „ტორპედომ" ჩვენზე ადრე დაიწყო მზადება. ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის ფრე მისაღები შედეგია. მიმაჩნია, რომ თამაშის სცენარიდან გამომდინარე, მატჩი ლოგიკური ანგარიშით დასრულდა".*

ჟერარდ სარაგოსა: *„პირველი მატჩი ვითამაშეთ და ვფიქრობ, ფეხბურთელებს მეტი მოეთხოვებოდათ. 3 ქულის აღება შეგვეძლო, მაგრამ მეორე ტაიმი ძალიან ცუდად დავიწყეთ, გოლი გავუშვით, შემდეგ ბევრს კი ვეცადეთ, მაგრამ მოგება ველარ შევძელით. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ჯერჯერობით არის ხარვეზები, მაგრამ მათ გამოსასწორებლად ვმუშაობთ. სერიოზულად უნდა მოვემზადოთ „ზესტაფონთან" მატჩისთვის. შევეცდებით, იქიდან 3 ქულა წამოვიღოთ, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ მატჩში ის 8 ფეხბურთელი არ გვეყოლება, რომლებიც ასაკობრივ ნაკრებებში არიან გამოძახებული".*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

11.08. განმუხური. ტორპედო. მაყურებელი

ზუგდიდი 1
ჩიხურა 3

0:1 ლ. ქელიძე (12), 1:1 ეხვაია (51), 1:2 ტატანაშვილი (78), 1:3 წინამძღვრიშვილი (90).

**მომდევნო ტური**

**17 აგვისტო, შაბათი**

გურია-მერანი
ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია
სპარტაკი-სიონი
დილა-დინამო

**18 აგვისტო, კვირა**

ჩიხურა-მეტალურგი
ზესტაფონი-ტორპედო

# საკვირველი მერანი: მოგებაც და ხარისხიც

10.08. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 800 მაყურებელი

მერანი 2
სპარტაკი 1

1:0 შულაია (45+1. ფონიავას პასით), 2:0 ფონიავა (52. შულაიას პასით), 2:1 ფონიავა (63. ავტოგოლი)

| მერანი 4-5-1 | სპარტაკი 4-4-2 |
|---|---|
| შეროზია | ნადირაძე |
| გეგეჭკორი | შონია |
| ქარქუზაშვილი | მგელაძე |
| ფარულავა | ვ. კილასონია |
| ხუბუა | ა. ხიზანეიშვილი |
| ლობჟანიძე | კვეკვესკირი |
| შულაია | თუხარელი |
| ბაბუნაშვილი | ჩაფიძე |
| მელქაძე | ბურძენაძე |
| ფონიავა | თექთურმანიძე |
| კუჭუხიძე | მეტრეველი |
| მწვრთნელი მ. ჟვანია | მწვრთნელი ვ. ხაჩიძე |

**მერანი**

55. შულაია - **მელიავა**
68. ფონიავა - **კვანტალიანი**
89. კუჭუხიძე - **კრისი**

სათადარიგოები: ხარშილაძე, ლონლაძე, კერძევაძე, ციკოლია

**სპარტაკი**

58. თექთურმანიძე - **ფანცხავა**
59. ჩაფიძე - **ქურდაძე**
75. თუხარელი - **ქემუხტაშვილი**

სათადარიგოები: ზუხბაია, კაკაშვილი, ნარიმანიძე, ჭაფოძე

გაფრთხილება: ზ. ლობჟანიძე (20), კ. ხიზანეიშვილი (34), შულაია (51), ბურძენაძე (75)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი სამტრედიაშიც გაისმა. მართალია, საფეხბურთო ტრადიციებით განთქმულ ქალაქს უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყავს, თუმცა ამ მატჩმა ადგილობრივთა ყურადღება მაინც დაიმსახურა. „მერანის" ახალშექმნილი ფანკლუბის (სხვათა შორის, შესაბამისი ატრიბუტებით) გარდა, ტრიბუნაზე მარტვილიდან ჩამოსული ქომაგიც იჯდა, რამაც მატჩს დამატებითი ელფერი შესძინა.

საბოლოო ანგარიში ნათლად ვერ ასახავს იმ რეალობას, რაც მოედანზე ხდებოდა. მარტვილელებმა მეტოქის კართან უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, თუმცა მათგან მხოლოდ ორის რეალიზება მოახერხეს. **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და მე-9 წუთზე **გივი ქარქუზაშვილის** დარტყმული ხარიხას მოხვდა.

ამას მოჰყვა „სპარტაკის" გააქტიურება - **ლაშა ჩაფიძე** ორჯერ გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტემ უმტყუნა. გოლის გატანის ჩინებული შანსი ქარს გაატანა **გელა ხუბუამაც.**

42-ე წუთზე, იმავე ხუბუას ფლანგურ ჩაწოდებას 16 წლის **აკაკი შულაიამ** (დებიუტანტს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს) შეაგება თავი და ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა კარს. „მერანის" მცდელობამ ზუსტად სამ წუთში გამოიღო ნაყოფი - მარცხენა ფლანგზე აქტიურად მოთამაშე **პაპუნა ფონიავამ** თავგზა აუბნია მეტოქის მცველებს და გამჭოლი გადაცემით მოძებნა მარტოდმარტო დარჩენილი შულაია, რომელსაც ახლო მანძილიდან გატანა არ გასჭირვებია - 1:0.

მეორე ნახევარი სანახაობრივი თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი გამოდგა. ტაიმის უკანასკნელ წუთზე გაშვებულმა გოლმა „სპარტაკს" ნირი წაუხდინა, ცხინვალელთა მხრიდან გახშირდა შეცდომები, განსაკუთრებით ფლანგები მოიკოჭლებდნე, რის გამოც შულაიას, ფონიავასა და შეცვლაზე შესულ **კიჭი მელიავას** დიდი სივრცე ეძლეოდათ...

შოთა ბაბუნაშვილის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, **ლაშა კუჭუხიძეს** ანგარიშის გაზრდა მართებდა, მაგრამ მისი დარტყმული ძელს მოხვდა. მალე მასპინძლებმა მაინც მიაღწიეს სანადელს - შულაიას სოლორეიდს შორეულ ძელთან ჩაწოდება მოჰყვა, იქ კი ყველას ფონიავამ აჯობა და ანგარიში 2:0 გახდა.

მასპინძლები ამის შემდეგაც დიდი ძალებით უტევდნენ და საგოლე მომენტებიც მრავლად ჰქონდათ, თუმცა ან დამაგვირინებელ ფაზაში სცოდავდნენ, ანდა სტუმართა მეკარე თამაშობდა კარგად...

63-ე წუთზე კი კურიოზი მოხდა - საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს, ფონიავამ სათამაშო ეპიზოდში ბურთი მეკარე **შეროზიას** გადააწოდა, რომელმაც შეუჩერებლივ მოინდომა დარტყმა, თუმცა ფეხი ააცილა და... ასე გავიდა ავტოგოლი.

„სპარტაკმა" საჩუქარი ვერ შეირგო, „მერანს" კი დარჩენილ დროშიც არაერთი რეალური შანსი ჰქონდა. გოლის გატანა **შალვა კვანტალიანსა** და ხუბუას შეეძლოთ... აქვე იყო საკამათო ეპიზოდიც - მელიავა „სპარტაკის" საჯარიმოში წაიქცა (თუ წააქციეს). იყო თუ არა წესის დარღვევა, სადავოა. ფიფას არბიტრმა **თორნიკე გვანცელაძემ** დარღვევა არ დააფიქსირა და თამაშიც გაგრძელდა...

და მაინც, 87-ე წუთზე „სპარტაკს" მეტოქის დასჯა და დაუწერელი საფეხბურთო კანონის ამოქმედება შეეძლო - **ლევან ქურდაძის** მიერ ახლო მანძილიდან დარტყმულს „მერანის" მეკარე შესაშური რეაქციით გადაეფარა...

ამასობაში, საფინალო სასტვენიც გაისმა. „მერანმა" პირველი გამარჯვებითა და თამაშის ხარისხით სტადიონზე შეკრებილი პუბლიკა სასიამოვნოდ გააკვირვა.

**ბესიკ გვაზავა**
სამტრედიიდან



პაპუნა ფონიავამ გოლიც გაიტანა, ავტოგოლიც და საგოლე გადაცემაც მიითვალა

● საქართველოს XXV ჩემპიონატი. I ტური

10.08. მცხეთა. მცხეთა პარკი
1200 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია **3**
გურია **0**

1:0 ლობჟანიძე (19), 2:0 ჯანელიძე (53, პ), 3:0 ლობჟანიძე (70)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | გურია 4-4-2 |
|---|---|
| დაუშვილი | გოგუაძე |
| მჭედლიშვილი | ჩასემი |
| ადამაძე | ჩაგელიშვილი |
| კასრაძე | იობაშვილი |
| ჯავაშვილი | ჩიკვილაძე |
| დავლაშელიძე | ჟილაძე |
| ლიბრაძე | ჟეიშვილი |
| კორიფაძე | კუკულაძე |
| ჯანელიძე | კოშკაძე |
| სიჭინავა | ჯოხაძე |
| ლობჟანიძე | შარაშენიძე |
| მწვრთნელი ზ. ბერიძე | მწვრთნელი დ. მახარაძე |

**ვიტ ჯორჯია**

68. სიჭინავა - **კურდღელაშვილი**
71. ლიბრაძე - **წყაროზია**
76. ადამაძე - **გეთიაშვილი**

*სათადარიგო: რეჭია, სოფრომაძე, ხვისტანი, იაშვილი*

**გურია**

55. ჯოხაძე - **ბახია**
58. ჭეიშვილი - **ფირცხალაიშვილი**

*სათადარიგო: ხვედელიძე, მალანია, მახარაძე, ინგოროყვა, წერეთელი*

გაფრთხილება: იობაშვილი (10), ჯავაშვილი (48), ფირცხალაიშვილი (76), წყაროზია (79)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# ვიტ ჯორჯიას ახალი ჯანი: ლობჟანიძე

„ვიტ ჯორჯია" და ლანჩხუთის „გურია" განსხვავებულად შეხვდნენ ეროვნული ჩემპიონატის სტარტს. **ზურაბ ბერიძის** გუნდი გეგმაზომიერად ემზადებოდა სეზონისთვის უმაღლეს ლიგაში ალზევებულ „გურიაში" კი გაურკვევლობა იყო პირველი ტურის წინ გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა ფინანსური უთანხმოების გამო. მოკლედ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „ვიტ ჯორჯია"-„გურიის" შეხვედრაში ფავორიტი მასპინძელი იყო და ბერიძის გუნდსაც შანსი ხელიდან არ გაუშვია.

მატჩის გმირი **ელგუჯა ლობჟანიძე** შეიქნა - ორი გოლი გაიტანა და 11-მეტრიანიც მოინაგრა. ვიტელთა ახმახი თავდამსხმელი მართლაც სასარგებლოდ გაისარჯა.

პირველ ტაიმში მწვავე ეპიზოდები ორივე კართან იქმნებოდა, გოლი კი ასე გავიდა: ლობჟანიძემ თავზე გადაავლო ბურთი **ვალერი იობაშვილს**, მახვილი კუთხიდან კი მეკარისთვის უხერხული ტრაექტორიით დაარტყა და ბურთი კარში ჩაეშვა.

ტაიმის ბოლოს **ალექსანდრე კოშკაძის** დარტყმას ერთ-ერთი ვიტჯორჯიელი მცველი გადაელობა. „გურიის" ფეხბურთელები და ლანჩხუთელი ქომაგი 11-მეტრიანს ითხოვდნენ, არბიტრი **დავით ხარიტონაშვილი** კი სხვა აზრის იყო.

შესვენებამდე, „გურიას" ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობა ჰქონდა - კოშკაძის პასით **გიგა ჭეიშვილი ნიკა დაუშვილთან** პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმისთვის ინტრიგა თითქოს შემორჩენილი იყო, მაგრამ როცა ლობჟანიძემ იობაშვილთან ორთაბრძოლაში პენალტი გამოიმუშავა და **გიორგი ჯანელიძის** დარტყმით ანგარიში 2:0 გახდა, ყველაფერი იქვე დასრულდა.

ამის მერე უფრო გახსნილი თამაში წავიდა, ორივე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები. „გურია" უფრო ჩაწოდებებით ცდილობდა რაღაცას და რამდენიმე უზუსტო თავურის გარდა, ვერაფერს გამორჩა. „ვიტ ჯორჯიამ" კი კონტრშეტევაზე გამოიჭირა სტუმრები - **გიორგი კორიფაძის** პასით ლობჟანიძე მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და უზადოდაც შეასრულა დარტყმა - 3:0.

„გურია" თუ რამეს ახერხებდა, ძირითადად - კოშკაძის წყალობით. გამოცდილმა შუახაზელმა მატჩის ბოლოს კარგად ჩააბზრიალა ბურთი ვიტჯორჯიელთა საჯარიმოში, **ტარიელ კუკულაძემ** თავური დაახვედრა, დაუშვილმა კი სასწაული ბურთი მოიგერია.

ანგარიშის შეცვლა „ვიტ ჯორჯიასაც" შეეძლო - ჯანელიძის მოხდენილი პასით შეცვლაზე შესული **აკაკი წყაროზია** დარჩა **მიხეილ გოგუაძესთან** პირისპირ, თუმცა აქედან ოდენ კუთხურს გამორჩა.

ლანჩხუთელი ქომაგი არბიტრითა და ანგარიშით უკმაყოფილო ტოვებდა „მცხეთა პარკს". მსაჯების ნამოქმედარს ფეხბურთის ფედერაცია გაარჩევს, „გურიას" კი, თუ სტაბილური სახსარი არ გამოუჩნდა და თუ ვერ გაძლიერდა, ასეთი თამაშით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

**დავით თავართქილაძე**
მცხეთა-თბილისი

● ისევ გურიას გარშემო




# ღამე პოლიციაში!
## ანუ, გამიშვი-დამიჭირე ლანჩხუთურად

11 აგვისტოს 01:00 საათზე გვაცნობეს, რომ ლანჩხუთის ცენტრში, პოლიციის რაიონული სამმართველოს წინ შეხლა-შემოხლა იყო, რომელშიც „გურიის" ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ. როგორც გვითხრეს, მცხეთიდან, „ვიტ ჯორჯიასთან" წაგებული მატჩის შემდეგ ლანჩხუთში დაბრუნებული გუნდის მიკროავტობუსს შემთხვევის ადგილამდე 100 მეტრით ადრე შეჩერება მოსთხოვეს „გურიის" იმ წევრებმა, რომელთაც კლუბთან კონტრაქტი გაფორმებული აქვთ, მაგრამ დავალიანების გაუსტუმრებლობისა და გუნდიდან გაშვებული 7 ფეხბურთელის მიმართ სოლიდარობის ნიშნად თამაშზე უარი თქვეს. როგორც ირკვევა, მძღოლმა მოძრაობა განაგრძო და მიკროავტობუსი პოლიციის წინ შეაჩერა.

შემთხვევის ადგილზე მისვლისას „გურიის" 4 ფეხბურთელი - გუნდის კაპიტანი და მთავარი მეგოლე **გიგა კვერენჩხილაძე, კობა შალამბერიძე, ლაშა ჯანგიძე** და **გიორგი ძაძამია** სამართალდამცველებს უკვე დაკავებული ჰყავდათ. მატჩზე წაუსვლელობის გამო, კლუბი თურმე მათ დასჯას აპირებს. ამ ოთხეულის განაწყენების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იქნებოდა, თუმცა ისინი ასევე უკმაყოფილონი იყვნენ იმ თანაგუნდელების ქმედებით, რომელთან ერთადაც გუნდი უმაღლეს ლიგაში გადაიყვანეს, მათ კი „გურიის" 14 წევრს სოლიდარობა არ გამოუცხადეს და „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ წავიდნენ.

მცხეთიდან მიკროავტობუსს მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი ჩამოჰყვა (მატჩის მეორე დღეს დასვენებაა და ზოგი მათგანი საკუთარ ქალაქში დარჩა), სამაგიეროდ, გუნდთან ერთად იყვნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები - **ნუგზარ ჩხაიძე** და **ნუგზარ ცინცაძე**. ფეხბურთელებს სწორედ მათთან მოუხდათ შელაპარაკება, თუმცა, როგორც გვითხრეს, ძალადობა არ ყოფილა. თუმცა მოთამაშეები მაინც დააკავეს წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით.

„ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. როგორც ჩანს, ფეხბურთელებს პრეტენზია აქვთ თანაგუნდელებთან, რომლებმაც მცხეთაში ითამაშეს. ამას გარდა, რაღაც პირადი საკითხიც იყო, როგორც ჩანს. მე ამ ავტობუსში იმის გამო მოვხვდი, რომ გამგებელს გავყევი თამაშზე მცხეთაში, ბატონი ზაზა თბილიში დარჩა და მე კი გუნდთან ერთად წამოვედი", - გვითხრა პოლიციიდან გამოსულმა ნუგზარ ჩხაიძემ.

მისი გამოსვლის შემდეგ გავიგეთ, რომ ფეხბურთელებს აუცილებლად დააკავებდნენ და რადგან კვირა უქმე დღეა, მათ საქმეს სასამართლო ორშაბათს განიხილავდა. თუმცა შემდეგ სიტუაცია შეიცვალა - დაახლოებით 05:00 საათისთვის ოთხივე ფეხბურთელი ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წყალმინდაში გადაიყვანეს და უკან მობრუნებულები ხელწერილით გაათავისუფლეს. თუმცა სამშაბათს სასამართლო მაინც იქნება. სავარაუდოდ, ფეხბურთელებს 100-100 ლარით დააჯარიმებენ.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

● ლეგიონი

# ლევან მჭედლიძე: დუბლი 15 წუთში
## ყაზაიშვილის გოლმა ვიტესს ვერ უშველა



ლევან მჭედლიძე

ქართული ლეგიონის უქმეების მონაგარიდან აღსანიშნავია **ლევან მჭედლიძის** დუბლი იტალიის თასის შეხვედრაში, რომელშიც „ემპოლიმ" „ზუდტიროლი" 5:1 გაანადგურა და 1/32-ფინალში გავიდა, სადაც „კიევოს" შეხვდება.

„ვიტესის" შემადგენლობაში გაიტანა **ვაკო ყაზაიშვილმა**, თუმცა „ქართველების გუნდმა" ევროსარბიელიდან დაწყებული წარუმატებელი სერია შინაურ ფრონტზეც გააგრძელა და „ვალვაიკთან" სტუმრად 2:4 დამარცხდა. ყაზაიშვილისთვის ახალ სეზონში ეს პირველი გოლია, სულ კი მეორე - მანამდე, ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველს ჰოლანდიის ჩემპიონატში 2011 წლის დეკემბერში ჰქონდა გატანილი.

აზერბაიჯანში საგოლე ანგარიში გახსნა **ნიკოლოზ გელაშვილმა**, რომლის ზუსტმა დარტყმამ სათავე დაუდო „ყარაბაღის" შთამბეჭდავ გამარჯვებას (5:1) „სუმგაითთან".

უზბეკეთში ზედიზედ მეორე ტურია გოლი გააქვს **კახა მახარაძეს**. „ფახთაქორმა" სტუმრად „ბუნიოდკორს" რომ აჯობა (2:1), ამაში ქართველი ნახევარმცველის დიდი წვლილიცაა.

შაბათსვე, ლატვიაში გაიტანა **ირაკლი კლიმიაშვილმაც**, რომლის „სკონტომ" „ლიეპაიას" სტუმრად 5:0 მოუგო. სხვათა შორის, პირველი ტაიმის შემდეგ 0:0 იყო. კლიმიაშვილი მეორე ტაიმის დასაწყისიდან ჩაერთო თამაშში და ორიოდ წუთში გაიტანა კიდეც.

**გიორგი გელაშვილი**

| ფეხბურთელი | ას. | კლ. | მეტ. | ანგ. | შენ. | სტატ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 36 | **ჰერტა** | აინტრახტი | 6:1 (მ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| ლევან ყენია | 22 | **ფორტუნა** | მიუნხენ 1860 | 1:2 (მ) | 67 წთ, შეცვალეს | 2 თ |
| **გერმანია. III ლიგა. III ტური** | | | | | | |
| ლუკას ჰუფნაგელი | 19 | **უნტერჰახ.** | დორტმუნდი II | 2:4 (გ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| **იტალია. თასი** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 23 | **ემპოლი** | ზუდტიროლი | 5:1 (მ) | 15 წთ შეცვლაზე, 2 გოლი | - |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | **ემპოლი** | ზუდტიროლი | 5:1 (მ) | სათადარიგო | - |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. II ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 26 | **ვიტესი** | ვალვაიკი | 2:4 (გ) | 90 წთ, გააფრთხ. | 2 თ |
| გიორგი ჭანტურია | 20 | **ვიტესი** | ვალვაიკი | 2:4 (გ) | 45 წთ, შეცვალეს | 2 თ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 20 | **ვიტესი** | ვალვაიკი | 2:4 (გ) | 45 წთ, შეცვლაზე, 1 გოლი | 2 თ |
| **უკრაინა. პრემიერ ლიგა. V ტური** | | | | | | |
| ჯაბა ლიპარტია | 25 | **ზორია** | კარპატი | 0:0 (გ) | 70 წთ, შეცვალეს | 3 თ |
| მათე ღვინიანიძე | 26 | **სევასტოპ.** | მეტალურგი ზ. | 2:2 (გ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| ჯაბა კანკავა | 27 | **დნიპრო** | ჰოვერლა | 1:0 (მ) | 70 წთ | 4 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 26 | **დნიპრო** | ჰოვერლა | 1:0 (მ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| უჩა ლობჟანიძე | 26 | **დნიპრო** | ჰოვერლა | 1:0 (მ) | ტრავმა | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 21 | **ილიჩივეცი** | ვორსკლა | 0:1 (გ) | 90 წთ, გააფრთხილეს | 5 თ |
| დავით თარგამაძე | 23 | **ილიჩივეცი** | ვორსკლა | 0:1 (გ) | 85 წთ, გაფრთხილეს | 5 თ, 1 გ |

| ფეხბურთელი | ას. | კლ. | მეტ. | ანგ. | შენ. | სტატ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უკრაინა. პერშა ლიგა. V ტური** | | | | | | |
| გიორგი ჯგერენაია | 19 | **მიკოლაივი** | ავანგარდი | 0:0 (მ) | 90 წუთი | 5 თ |
| ირაკლი ციკოლია | 26 | **ბუკოვინა** | პოლტავა | 2:0 (მ) | 22 წუთი, შეცვლაზე | 3 თ |
| **დანია. სუპერლიგა. IV ტური** | | | | | | |
| მათე ვაწაძე | 24 | **ორჰუსი** | ესბიერგი | 1:5 (გ) | ტრავმა | 0 თ |
| დავით დევდარიანი | 25 | **ორჰუსი** | ესბიერგი | 1:5 (გ) | ტრავმა | 1 თ |
| დავით სხირტლაძე | 20 | **ორჰუსი** | ესბიერგი | 1:5 (გ) | 25 წთ, შეცვლაზე | 4 თ |
| **ბელარუსი. პრემიერლიგა. XX ტური** | | | | | | |
| უჩა გოგოლაძე | 23 | **ბრესტი** | დნეპრი | 2:0 (მ) | 73 წთ, შეცვალეს, 1 გოლი | 16 თ, 2 გ |
| **აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. II ტური** | | | | | | |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | **ყარაბაღი** | სუმგაითი | 5:1 (მ) | 72 წთ, 1 გოლი | 2 თ, 1 გ |
| გიორგი ლომაია | 33 | **ინტერი** | გაბალა | 2:3 (გ) | სათადარიგო | 0 თ |
| ბაჩანა ცხადაძე | 25 | **ინტერი** | გაბალა | 2:3 (გ) | 90 წუთი | 2 თ |
| ალექსანდრე იაშვილი | 35 | **ინტერი** | გაბალა | 2:3 (გ) | 73 წთ, შეცვალეს, გააფრთხილ. | 2 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 31 | **ინტერი** | გაბალა | 2:3 (გ) | ტრავმა | 1 თ |
| **პოლონეთი. ეკსტრაკლასა. IV ტური** | | | | | | |
| ვლადიმერ დვალიშვილი | 27 | **ლეგია** | რუხი | 1:2 (გ) | 1 წთ, შეცვლაზე | 4 თ, 2 გ |
| ნიკა ძალამიძე | 21 | **იაგელონია** | ვისლა | 1:1 (გ) | ტრავმა | 0 თ |
| გიორგი ფოფხაძე | 26 | **იაგელონია** | ვისლა | 1:1 (გ) | სათადარიგო | 0 თ |
| **მოლდოვა. დივიზია ნაციონალა. III ტური** | | | | | | |
| თორნიკე სტეფნიაშვილი | 20 | **ზიმბრუ** | აკადემია | 3:0 (გ) | 30 წთ, შეცვლაზე | 2 თ |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXIII ტური** | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 30 | **ინტერი** | ჰიკ | 1:1 (მ) | 90 წუთი | 20 თ, 6 გ |
| **ლატვია. ვირშლიგა. XV ტური** | | | | | | |
| გიორგი დიაკვნიშვილი | 21 | **დაუგავა** | მეტა | 1:1 (მ) | 14 წთ, შეცვლაზე | 13 თ |
| მამუკა ღონღაძე | 27 | **დაუგავპილსი** | იურმალა | 1:0 (გ) | 45 წთ, შეცვლაზე | 5 თ |
| გიორგი ჩიხრაძე | 25 | **დაუგავპილსი** | იურმალა | 1:0 (გ) | 45 წთ, შეცვალეს, გააფრთხილეს | 4 თ |
| ბიძინა ცინცაძე | 24 | **დაუგავპილსი** | იურმალა | 1:0 (გ) | 6 წუთი | 2 თ |
| ლადო დათუნაშვილი | 26 | **სკონტო** | ლიეპაია | 5:0 (გ) | განაცხადში არ იყო | 6 თ |
| ლაშა დვალი | 18 | **სკონტო** | ლიეპაია | 5:0 (გ) | განაცხადში არ იყო | 3 თ |
| ლევან ვაჭიაშვილი | 20 | **სკონტო** | ლიეპაია | 5:0 (გ) | განაცხადში არ იყო | 1 თ |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 25 | **სკონტო** | ლიეპაია | 5:0 (გ) | 45 წთ, შეცვლაზე, 1 გოლი | 3 თ, 1 გ |
| **ლიტვა. A ლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| გურამ ბედოიძე | 21 | **ტაურასი** | ატლანტასი | 0:5 (მ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| ირაკლი თველავაძე | 21 | **ტაურასი** | ატლანტასი | 0:5 (მ) | განაცხადში არ იყო | 6 თ |
| გიორგი ნიქაბაძე | 22 | **ბანგა** | კრუოია | 0:1 (მ) | განაცხადში არ იყო | 7 თ |
| გიორგი ქავთარაშვილი | 22 | **ბანგა** | კრუოია | 0:1 (მ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| ირაკლი ლერკანაშვილი | 18 | **ბანგა** | კრუოია | 0:1 (მ) | 62 წუთი, შეცვალეს | 5 თ |
| თამაზ ჩარგეიშვილი | 24 | **ბანგა** | კრუოია | 0:1 (მ) | განაცხადში არ იყო | 18 თ, 5 გ |
| ვაჟა ბედოიძე | 19 | **ბანგა** | კრუოია | 0:1 (მ) | 90 წუთი | 14 თ |
| ბექა კობიაშვილი | 29 | **ბანგა** | კრუოია | 0:1 (მ) | განაცხადში არ იყო | 1 თ |
| **ლუქსემბურგი. პრემიერლიგა. II ტური** | | | | | | |
| ალექსანდრ კარაპეტიანი | 25 | **დუდელანჟი** | კერინგი | 1:1 (მ) | არ უთამაშია | 1 თ |
| **ესტონეთი. მეისტრილიგა. XXII ტური** | | | | | | |
| თენგიზ ეთერია | 23 | **პაიდე** | ტამეკა | 0:0 (გ) | სათადარიგო | 8 თ |
| დავით ლორთქიფანიძე | 22 | **კალევი** | ინფონეტი | 1:0 (გ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| **უზბეკეთი. PFL. XV ტური** | | | | | | |
| კახა მახარაძე | 25 | **ფახთაქორი** | ბუნიოდკორი | 2:1 (გ) | 90 წუთი, 1 გოლი | 15 თ, 4 გ |
| გიორგი კვესიეშვილი | 27 | **ბუხარა** | მეტალურგი | 3:1 (მ) | განაცხადში არ იყო | 10 თ |

## საფრანგეთი. ლიგა 1. I ტური

**მონპელიე-პსჟ 1:1**

**გოლები:** 1:0 კაბელია (10), 1:1 მაქსველი (60)
**პსჟ (4-4-2):** სირიგუ - ჟალე, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - ლუკას მოურა (86. რაბიო), ვერატი (76. ონგენდა), მატუიდი, პასტორე - ლავეცი (72. კავანი), იბრაჰიმოვიჩი.
**გაძევება:** ელ კაუტარი (72. მონპელიე)

**ბორდო-მონაკო 0:2**

**გოლები:** 0:1 რივიერი (82), 0:2 ფალკაო (87)
**მონაკო (4-2-3-1):** სუბაშიჩი - ფაბინიო, რ. კარვალიო, აბიდალი, კურზავა - ტულალანი, ობაიდი - ოკამპოსი, ჯ. როდრიგესი (71. რივიერი), კარასო (91. ტისერანი) - ფალკაო.

**ევიანი-სოშო 1:1**

**გოლები:** 1:0 ერე (4), 1:1 კონტუ (54)

**ლილი-ლორიანი 1:0**

**გოლი:** 1:0 ორიჯი (13)
**გაძევება:** გასამა (83. ლორიანი)

**ლიონი-ნიცა 4:0**

**გოლები:** 1:0 ლაკაზეტი (13), 2:0 გრენიე (55), 3:0 ლაკაზეტი (68), 4:0 გურკუფი (90)
**ლიონი (4-2-3-1):** ა. ლოპეში - მ. ლოპეში, ბიშევაცი, ფოფანა, ბედიმო - მვუემბა (92. ტოლისო), ფერი - ლაკაზეტი, გრენიე (79. დანიკი), გურკუფი - ბენზია (61. ბალული).

**ნანტი-ბასტია 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯორჯევიჩი (23), 2:0 პალმიერი (90. ს.კ.)
**გაძევება:** ვერეტუ (64. ნანტი), ილანი (71. ბასტია)

**რენი-რეიმსი 2:1**

**გოლები:** 1:0 პაჟო (9), 1:1 კრახოვიაკი (45), 2:1 ერდინჩი (85)

**ვალანსიენი-ტულუზი 3:0**

**გოლები:** 1:0 მელიკსონი (37-პენ), 2:0 საესი (53), 3:0 [illegible]ჟოლი (90)
**გაძევება:** სპაიჩი (35. ტულუზი)

**აიაჩო-სენტ ეტიენი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბრანდაო (34)
**გაძევება:** ანდრე (90. აიაჩო)

**გენგამი-მარსელი 1:3**

**გოლები:** 0:1 ჟინიაკი (2), 0:2 პაიე (4), 0:3 პაიე (16), 1:3 იატაბარე (74)
**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - ფანი, დიავარა, ნკულუ, მენდი - რომაო, ვანგა - პაიე (80. ამალფიტანო), ვალბუენა, ა. აიუ - ჟინიაკი (68. ჯ. აიუ)
***შენიშვნა:*** *იატაბარემ (გენგამი) ვერ გაიტანა პენალტი (52)*



# რადამელი იწყებს და იმარჯვებს

რადამელ ფალკაომ საფრანგეთის ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა

> 63 მილიონ ევროდ ნაყიდი ედინსონ კავანის უხმაურო დებიუტი
>
> „ლიონმა" ყატარში გადასული ლისანდრო ლოპესი გააცილა
>
> კიდევ ერთი ბელგიელი ტალანტი გამოჩნდა, ამჯერად „ლილში"

**მაშინ, როცა „პარი სენ-ჟერმენმა" წაიფორხილა, მის ყველაზე დიდ კონკურენტად შერაცხილმა „მონაკომ" ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო. თუ ედინსონ კავანის დებიუტმა შეუმჩნევლად ჩაიარა, რადამელ ფალკაომ შტურმით აილო ლიგა 1. „ლიონმა" ლისანდრო ლოპესი არაბეთში გააცილა და სრული სვლით დაიწყო.**

### ბლანს უკეთესის იმედი ჰქონდა

ჩემპიონატი პარასკევს ექსჩემპიონისა და ჩემპიონის მატჩით დაიწყო, **ლორან ბლანის** „პარი სენ-ჟერმენმა" ცუდად დაიწყო, ფავორიტი მეორე ტაიმში **მაქსველის** ბრწყინვალე დარტყმულის წყალობით გადაურჩა მარცხს. მატჩის 72-ე წუთზე ფრანგული სატრანსფერო ბაზრის ყველა დროის რეკორდსმენის, **ედინსონ კავანის** დებიუტი შედგა, მან **ესეკიელ ლავეცი** შეცვალა, თუმცა ურუგვაელმა თავი ვერ გამოიჩინა.

**ლორან ბლანი** (პსჟ): *„უკეთესის იმედი გვქონდა. პირველ ტაიმში ისე ვერ ვუტევდით, როგორც მსურდა, როცა უბრალო გადაწყვეტილებები უნდა მიგვეღო, ვართულებდით, ბურთს დიდხანს ვიჩერებდით. „მონპელიე" კარგად იცავს თავს და გოლის გატანის ბევრ შანსს არ მოგცემს. ფრთხილად უნდა ვიყოთ, ასეთი მატჩები ამ სეზონში ბევრი იქნება. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და კიდევ კარგი, გატანაც შევძელით. ედინსონ კავანი ნამდვილი ფორვარდია. კარგი საგოლე შანსიც ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გაიტანა. მას ცოტა დრო სჭირდება, რომ უკეთ გაუგოს თანაგუნდელებს მოედანზე. კავანი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც მჭიდრო მეურვეობა სჭირდება, ეს კი სხვა შემტევებისთვის კარგი შანსია".*

**ედინსონ კავანი** (პსჟ): *„მოხარული ვარ დებიუტის გამო. მომეწონა, რომ ფანები ჩემს სახელს გაიძახოდნენ, ამიტომაც მოედანზე მოტივირებული გამოვედი. როგორც ჩემს ძველ კლუბებში, პსჟ-შიც მაქსიმუმს გავაკეთებ გუნდის საკეთილდღეოდ. პსჟ ამბიციური გუნდია, მე კი ყველაფრის მოგება მწადია".*

### ბრწყინვალე დასაწყისი

სამაგიეროდ, ლიგა 1-ის კიდევ ერთ მეგაშენაძენს, **რადამელ ფალკაოს** იღბლიანი დებიუტი ჰქონდა, მისმა გუნდმა სტუმრად „ბორდო" 2:0 დაამარცხა, ხოლო „მონაკოს" ახალწვეულმა ბოლოსკენ გოლიც გაიტანა.

**კლაუდიო რანიერის** „მონაკო" ძალზე საინტერესო გუნდი იქნება ამ სეზონში. იტალიელმა დაცვის ცენტრი „რეალიდან" და „ბარსადან" წაყვანილი ვეტერანებით (**კარვალიო, აბიდალი**) გააძლიერა, შუახაზში ყოფილი მალაგელი (**ტულალანი**) დააყენა, ფორვარდის უკან „პორტუს" ყოფილი ტალანტი (**როდრიგესი**) ათამაშა, ფორვარდად კი მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილი ბომბარდირი (ფალკაო) დააყენა. მოკლედ, იბერიის ნახევარკუნძულმა ლიგა 1-ს ერთი საინტერესო გუნდი აჩუქა. რანიერის გუნდის ორივე გოლი რაღაცით ჰგავდა ერთმანეთს, შეცვლაზე შესულმა **ემანუელ რივიერმა** და ფალკაომ უცნაური მოძრაობებით ჩამოიცილეს მცველები და ახლო მანძილიდან გაიტანეს.

**კლაუდიო რანიერი** (მონაკო): *„ძალიან მნიშვნელოვანი გოლები გავიტანეთ, თუმცა ჯერ შორსმიმავალი დასკვნებისთვის მეტისმეტად ადრეა. მოხარული ვარ, თუ როგორ გაუმკლავდა ჩემი გუნდი ძალიან ძლიერ „ბორდოს", რომელსაც კონტრშეტევებზე ბრწყინვალე თამაში შეუძლია. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორე კი თანაბარი იყო, თუმცა გოლები სწორედ მაშინ გავიტანეთ. რივიერმა ძალზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა".*

**რადამელ ფალკაო** (მონაკო): *„მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ბრწყინვალეა, როცა ჩემპიონატს ასე კარგად იწყებ, განსაკუთრებით სტუმრად, თანაც „ბორდოს" დარი ძლიერი კლუბის წინააღმდეგ. იმედი მაქვს, რომ მომავალში ასე ან კიდევ უკეთ ვიასპარეზებთ".*

### 18 წლის უცნობი გმირი

„ლილმა" პირველობა მოგებით დაიწყო, 10-კაციან „ლორიანს" 1:0 მოუგო. მატჩს კი მოულოდნელი გმირი ჰყავს - ბელგიელი თინეიჯერი **დივოკ ორიჯი**. 18 წლის ნახევარმცველმა კარიერაში პირველი პროფესიული გოლი გაიტანა (აქამდე „ლილის" დუბლებში თამაშობდა და პირველ გუნდში სულ 3-ჯერ გამოვიდა). მან მცველის შეცდომით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

ყველაზე კარგი სტარტი „ლიონს" გამოუვიდა, რომელმაც **ლისანდრო ლოპესის** გასაცილებელ მატჩში (6 მილიონ ევროდ ყატარის „ალ-ღარაფაში" გადავიდა) 4 უპასუხო გოლი გაუტანა „ნიცას". **ალექსანდრ ლაკაზეტმა** ჩემპიონატი დუბლით დაიწყო. თითო გოლიც „ოლიმპიკის" კაპიტან **კლემან გრენიესა** და **იოან გურკუფის** ანგარიშზეა.

**კლემან გრენიე** (ლიონი): *„დაცვაში სოლიდურად ვითამაშეთ, შეტევაში კი - ბრწყინვალედ. მთელი გუნდი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. ასე უნდა გავაგრძელოთ".*

## ჰოლანდია

### ერედივიზიე. II ტური

**როდა-კამბური 2:0**

**გოლები:** 1:0 ნემეტი (35), 2:0 დონალდი (90)

**ჰერაკლესი-ზვოლე 1:3**

**გოლები:** 0:1 დროსტი (1), 0:2 მოკოტჯო (13), 1:2 ვან დერ ვერფი (44 ს.კ.), 1:3 გ. ფერნანდესი (90)

**ბრედა-ჰეერენვეენი 0:2**

**გოლები:** 0:1 ზიხი (40), 0:2 ფინბოგასონი (90)

**იგლზი-დენ ჰააგი 2:1**

**გოლები:** 1:0 შენკი (21), 1:1 ვან დუინენი (37), 2:1 კოლდერი (81)

**პსვ-ნეიმეგენი 5:0**

**გოლები:** 1:0 ბაკალი (6), 2:0 ბაკალი (47), 3:0 ჟ. ვინალდუმი (61), 4:0 ჟ. ვინალდუმი (75), 5:0 ბაკალი (82)
**პსვ (4-3-3):** ზოეტი - არიასი, ბრუმა, რეკიკი (86. ჰენდრიკსი), ვილემსი - ვინალდუმი, ჰილემარკი, მაჰერი (72. ტოივონენი) - ბაკალი, ლოკადია, დეპაი (62. იოზეფზუნი)

**ფეიენოორდი-ტვენტე 1:4**

**გოლები:** 1:0 პელე (29), 1:1 ებესილიო (37), 1:2 ტადიჩი (58-პენ), 1:3 ტადიჩი (73-პენ), 1:4 კასტაინოსი (79)
**გაძევება:** ვან დეელენი (57. ფეიენოორდი), დე ვრეი (66. ფეიენოორდი)
**ფეიენოორდი (4-2-3-1):** მიულდერი - ვან დეელენი, დე ვრეი, მატიასენი, მარტინს ინდი - კლასი, ვილენა - შაკენი (68. ვორმერი), იმერსი, ს. სისე (63. ნელომი) - პელე.

**ალკმაარი-აიაქსი 3:2**

**გოლები:** 0:1 ერიკსენი (21), 1:1 ბეერენსი (45), 1:2 ბლინდი (59), 2:2 იოჰანსონი (66-პენ), 3:2 ელმი (74)
**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი (46. სილესენი) - ვან რეინი, ალდერვეირელდი, მოისანდერი, ბლინდი - ს. დე იონგი, შიონე, ერიკსენი - კრკიჩი (67. ლიგეონი), სიგტორსონი, ფიშერი (71. პოულსენი)
**გაძევება:** ვან რეინი (65. აიაქსი)

**გრონინგენი-უტრეხტი 2:0**

**გოლები:** 1:0 ვან დერ ველდენი (2-პენ), 2:0 ჟივკოვიჩი (71)

**ვაალვაიკი-ვიტესი 4:2**

**გოლები:** 0:1 ლეერდამი (3), 1:1 ბრაბერი (12), 2:1 კასტელენი (39), 2:2 **ყაზაიშვილი (54)**, 3:2 დუიტსი (74-პენ), 4:2 დუიტსი (76)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| 2. გრონინგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| 3. ჰეერენვეენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| 4. ზვოლე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| 5. ტვენტე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| 6. ვაალვაიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| 7. იგლზი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 8. აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| 9. ვიტესი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| 10. ალკმაარი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:6 | 3 |
| 11. როდა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| 12. უტრეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 13. კამბური | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| 14. ბრედა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| 15. დენ ჰააგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| 16. ფეიენოორდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| 17. ჰერაკლესი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| 18. ნეიმეგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - ზაქარია ბაკალი (პსვ), ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), ჟორჟინიო ვინალდუმი (პსვ)

## ლა ლიგის წინ

# ამერიკული და აზიური ტრიუმფები

## ბარსას სესკი სტკივა



სესკ ფაბრეგასმა თამაში ველარ ჩაამთავრა

**რეალი-ინტერი 3:0**

**გოლები:** 1:0 კაკა (12), 2:0 რონალდო (39), 3:0 რ. ალვარესი (68)

**ბარსელონა-მალაიზია 3:1**

**გოლები:** 1:0 ფაბრეგასი (31), 1:1 იაჰია (39), 2:1 ნეიმარი (42), 3:1 პიკე (74)

მადრიდის „რეალმა" დაასრულა ამერიკული ტურნე და **ალვარო არბელოასა** და **სერხიო რამოსს** (ისინი ესპანეთის ნაკრებს ეკვადორში შეუერთდებიან) თუ არ ჩავთვლით, სამშობლოში დაბრუნდა. ბოლო მატჩში „სამეფო კლუბმა" შერეული შემადგენლობითაც შეძლო მილანის „ინტერის" განადგურება. ანგარიში **კაკამ** გახსნა, მისი პირველი დარტყმული **სამირ ჰანდანოვიჩმა** კი მოიგერია, მაგრამ თავად ბრაზილიელმა თავით დაამატა. ტაიმის ბოლოსკენ **კრიშტიანო რონალდომ კაზემიროს** შესანიშნავი პასი მიიღო და ჰანდანოვიჩს აჯობა. მესამე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, კაზემიროსთან ორთაბრძოლაში „ინტერის" ფორვარდმა **რიკი ალვარესმა** საკუთარი კარი დალაშქრა.

მოკლედ, „რეალმა" ამერიკული ტურნე ტრიუმფით მოიარა - მოიგო საერთაშორისო ჩემპიონთა თასი (რომელიც პირველად გაიმართა) და დიდი ანგარიშით დაამარცხა „ინტერი" - 3:0. ის კი არა, ამერიკაში „რეალმა" ბოლო 15 მატჩი მოიგო, 2006 წლიდან მოყოლებული, როცა გუნდმა „რეალ სოლტ ლეიკ სიტი" 2:0 დაამარცხა. ამ 15 მატჩში ესპანელებმა 45 გოლი გაიტანეს და მხოლოდ 12 მიიღეს.

**კარლო ანჩელოტი:** *„კმაყოფილი ვარ გუნდის მოსამზადებელი ეტაპით, იმ სამუშაოთი, რაც ჩვენ ამერიკის კონტინენტზე გავწიეთ. „რეალში" ფანტასტიკური მიკროკლიმატია, ყველაფერი კარგადაა - ჩვენ სეზონისთვის მზად ვართ! „ინტერთან" მოვალეობებს გუნდმა კარგად გაართვა თავი, მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი პროცესი რთული იყო, ბიჭები დაღლილობას გრძნობდნენ".*

### სესკის კოჭი

მაიამიდან ძალიან შორს, პლანეტის მეორე ნახევარზე „ბარსელონა" მალაიზიის ჩემპიონატის ნაკრებს დაუპირისპირდა და 3:1 იმარჯვა. კატალონიელთაგან ამ შეხვედრაში თავი **სესკ ფაბრეგასმა, ნეიმარმა** და **ჟერარდ პიკემ** გამოიჩინეს. თუმცა პოზიტიურს ნეგატივიც მოჰყვა - თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მეტოქესთან შეჯახებისას ფაბრეგასმა კოჭის ტრავმა მიიღო და ის მოედნიდან გაიყვანეს. საეჭვოა, რომ სესკმა პირველი ტურისთვის გამოჯანმრთელება შეძლოს ის უკვე დააკლდა ესპანეთის ნაკრებს, რომელსაც 14 აგვისტოს ეკვადორთან მატჩი ელის. „ბარსელონამ" აზიური ტურნე ტრიუმფით დაასრულა და სამშობლოში დაბრუნდა.

„ბარსელონამ" სულ 6 წინასასეზონო მატჩი გამართა. აქედან 4 მოიგო, თითო ფრედ დაასრულა და წააგო. გაიტანა 27 გოლი და გაუშვა 6. **ლიონელ მესიმ** 5 გოლი გაიტანა (სხვათა შორის, კრიშტიანო რონალდომ „რეალის" წინასასეზონო მატჩებში 6 გაიტანა).

## ტრანსფერი



მიგელ ანხელ მოია ტიბო კურტუას კონკურენციას გაუწევს

### ატლეტიკომ გოლკიპერი იყიდა

მადრიდის „ატლეტიკომ" გოლკიპერი **მიგელ ანხელ მოია** შეიძინა. 29 წლის ფეხბურთელი აქამდე „ხეტაფეში" ირჯებოდა, სადაც ის „ვალენსიადან" იჯარით თამაშობდა, თუმცა შარშან 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა მადრიდულ კლუბთან.

მართალია, თავიდან მოია სათადარიგოთა სკამზე იქნება და **ტიბო კურტუა** ითამაშებს, მაგრამ ცხადია, რომ მისი სახით ბელგიელს ძლიერი კონკურენტი შეემატა. **დიეგო სიმეონეს** უკვე მოუწევს არჩევანის გაკეთება ორ ძლიერ მეკარეს შორის.

ალსანიშნავია, რომ „ატლეტიკოს" მოიას ყიდვა ჯერ კიდევ 5 წლის წინ უნდოდა. ამ სეზონის შემდეგ კურტუა ყველა ვარიანტში დაბრუნდება „ჩელსიში", ასე რომ, მოიას კარგი შანსი აქვს, სეზონის ბოლოსკენ „ატლეტიკოს" ნომერ პირველი მეკარე გახდეს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# ინტერმა როლანდო დაადასტურა


როლანდო „ინტერში“ ითამაშებს

ოფიციალურად დადასტურდა ინფორმაცია **როლანდოს** „ინტერში“ გადასვლასთან დაკავშირებით. 27 წლის პორტუგალიელი მცველი „პორტუს“ საკუთრებაა, მილანელებმა კი ერთწლიანი იჯარით აიყვანეს. ვთქვათ ისიც, რომ გასული სეზონი როლანდომ ასევე არენდით „ნაპოლიში“ გაატარა, თუმცა თავის გამოჩენა ვერაფრით შეძლო. პირენეელმა მხოლოდ შვიდ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ნეაპოლელებმაც მის გამოსყიდვაზე და შესაბამისად, პორტუგალიელთა ბიუჯეტში 7 მილიონი ევროს გადახდაზე უარი თქვეს.

მიუხედავად იმისა, რომ **ვალტერ მაცარის** „ნაპოლიში“ როლანდო ღრმა თადარიგის ფეხბურთელი იყო, მწვრთნელმა მისი წაყვანა „ინტერში“ მოისურვა და ტრანსფერიც უპრობლემოდ შედგა. ერთი წლის თავზე, მილანელებს ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება ექნებათ და სურვილის შემთხვევაში 7 მილიონ ევროს გადაიხდიან. მაცარიმ მოკლე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ პორტუგალიელი მცველის დიდი იმედი მაქვს:

*„ნეაპოლში აწყობილი გუნდი მყავდა, სადაც როლანდოს ადგილი უბრალოდ არ მოიძებნა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე იქნება „ინტერშიც“, სადაც ფაქტობრივად ახალ გუნდს ვაშენებთ. პორტუგალიელის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. დაცვას გაძლიერება სჭირდებოდა და ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით“.*

იუვენტუსი


ანდრეა პირლო კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს

# კოლაროვი მივა, მატრი წავა

## გაახანგრძლივებს პირლო კონტრაქტს?

**იტალიურ სპორტულ პრესაში „იუვენტუსთან“ დაკავშირებით ბევრი საინტერესო ცნობა ვრცელდება, რომლებზეც ქვემოთ შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.**

### 12 მილიონი კოლაროვის სანაცვლოდ

„გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „იუვენტუსის“ მესვეურებმა **ალექსანდარ კოლაროვის** გადაბირება გადაწყვიტეს და „მანჩესტერ სიტის“ წინადადებითაც მიმართეს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ტურინელები მზად არიან 27 წლის ფეხბურთელში 12 მილიონი ევრო გადაიხადონ, საბოლოო სიტყვა კი ინგლისელებზეა. ამბობენ, რომ კლუბის შეცვლა თავად კოლაროვსაც სურს, რადგან „სიტიში“ საკმარისი სათამაშო დრო არ ეძლევა. გასულ სეზონში, ალექსანდარმა მხოლოდ 20 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და უმეტესად, შეცვლაზე ჩაერთო თამაშში. მოკლედ, სერბის პოზიციები მანჩესტერში არც თუ მყარია და თუ კლუბები შეთანხმდებიან, თვითონ არ უნდა წავიდეს წინააღმდეგ.

### პირლო ახალ კონტრაქტზე...

მომდევნო ზაფხულს, **ანდრეა პირლოს** „იუვენტუსთან“ ხელშეკრულების ვადა ეწურება და ჯერჯერობით უცნობია, გაახანგრძლივებს თუ არა მას. თავად ფეხბურთელი ტურინში თავს ზღაპრულად გრძნობს, მაგრამ ახალ ხელშეკრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერს ხელს, თუ გუნდისთვის კვლავაც მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იქნება:

*„რატომ არ ვაფორმებ ახალ ხელშეკრულებას? - „იუვენტუსთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს და გამომდინარე აქედან, საჩქარო არაფერია. ჩემი სურვილია, რომ კარიერა ტურინულ გრანდში გავაგრძელო და დავასრულო კიდეც, თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვიქნები. ამიტომ, როგორც მინიმუმ, დეკემბრის ბოლომდე დავაკვირდები და თუ ჩემი პოზიციები ძველებურად მყარი იქნება, ახალ ხელშეკრულებას სიამოვნებით მოვაწერ ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალ გამოწვევას მივიღებ და სავარაუდოდ, უცხოეთში გავაგრძელებ კარიერას. მიუხედავად იმისა, რომ 34 წლის ვარ, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ჯერჯერობით არ ვაპირებ“.*

### მატრი ნეაპოლში?

ორი კვირის წინ „იუვენტუსის“ სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** ღიად განაცხადა, რომ „იუვენტუსი“ ორმა თავდამსხმელმა უნდა დატოვოს. ჟურნალისტებმა კი მალევე გაარკვიეს, რომ შავ სიაში **ალესანდრო მატრი** და **ფაბიო კვალიარელა** მოხვდნენ. „კორიერე დელო სპორტის“ მტკიცებით, მატრი „ნაპოლის“ მესვეურებთან აწარმოებს მოლაპარაკებას და არის შანსი, კარიერა იტალიის სამხრეთში გააგრძელოს. თავად 28 წლის ფეხბურთელმა ამის შესახებ მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„ტურინში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ თუ ჩემი გასხვისება უკვე გადაწყვეტილია, ახალი კლუბი უნდა მოვძებნო. „ნაპოლი“ ამბიციური გუნდია, რომელიც ყველა ფრონტზე უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. თუ კონკრეტული წინადადება მექნება, სიამოვნებით განვიხილავ. ნეაპოლიდან ნამდვილად შემეხმიანენ, მაგრამ ამაზე წინ საქმე არ წასულა“.*

ნაპოლი

# იგუაინის პირველი, ჰამშიკის ახალი

„ნაპოლის“ მესვეურებმა სატრანსფერო ბაზარზე მცირე პაუზა აიღეს და ამ პერიოდში ფეხბურთელებთან კონტრაქტების გახანგრძლივებას მიჰყვეს ხელი. გუშინ კლუბის პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** „ტვიტერის“ მეშვეობით გვამცნო, რომ **მარეკ ჰამშიკი** 2018 წლამდე მის გუნდში ითამაშებს:

*„მარეკი შესანიშნავი ფეხბურთელი და კიდევ უკეთესი ადამიანია. ჩვენ არასდროს გვიჭირდა საერთო ენის გამონახვა და შესაბამისად, არც მოლაპარაკებისას შეგვქმნია პრობლემები. შეთანხმება შედგა და ჰამშიკმა კლუბთან ხელშეკრულება 2018 წლამდე გაახანგრძლივა. ჩვენ ვაფასებთ მის ერთგულებას, იმას, რაც დღეს ასე იშვიათია თანამედროვე ფეხბურთში“.*

ბოლო ფრაზით აურელიო დე ლაურენტისმა აშკარად **ედინსონ კავანის** გაჰკრა კბილი, რომელიც დიდძალი თანხის სანაცვლოდ ფრანგულ პსჟ-ში გადავიდა. მოკლედ, დიდი სპეკულაციების მიუხედავად, ჰამშიკმა ნეაპოლში გადაწყვიტა დარჩენა და ახალ ხელშეკრულებასაც მოაწერა ხელი. დავძინოთ, რომ 26 წლის სლოვაკი შემტევი „ნაპოლიში“ 2007 წლიდან ასპარეზობს, ამ პერიოდში 217 მატჩი აქვს ჩატარებული და 61 გოლი გატანილი.

### პიპიტას პირველი გასროლა

ამასობაში, „ნაპოლიმ“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და **გონსალო იგუაინმა** პირველი გოლი გაიტანა ახალი გუნდის შემადგენლობაში. **რაფაელ ბენიტესის** სამწყსო „ბენფიკას“ ეპაექრა და მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა, 2:1. ნეაპოლელები ფლობდნენ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას, თუმცა ვერ დავიჩემებთ, რომ გადაურბინეს მეტოქეს და შანსი არ დაუტოვეს.

რაფაელ ბენიტესმა კვლავაც 4-2-3-1 ტაქტიკა აირჩია, შეტევის წინა ხაზზე გამწესებულ იგუაინს უკნიდან მარეკ ჰამშიკი, **ხოსე კალეხონი** და **ლორენცო ინსინიე** დაახმარა. მეორე ტაიმში მოედანზე **დრის მერტენსი** გამოჩნდა და მეტად აქტიური იყო. დაცვის ხაზში ფეხბურთელთა უმეტესობამ თითო ტაიმი ჩაატარა, **რაულ ალბიოლს** კი 72 წუთი მიეცა. ესპანელი დამაჯერებელი იყო, განსაკუთრებით კარგად კი მეორე სართულზე გაისარჯა. კარში კვლავაც **რეინა-რაფაელის** როტაცია ვნახეთ და ჯერაც გაურკვეველია, რომელი იქნება გუნდის პირველი მეკარე.

რაც შეეხება გოლებს პირველი ჯერ კიდევ მეხუთე წუთზე **ვალონ ბერამიმ** თავური დარტყმით გაიტანა, რასაც პორტუგალიელებმა ტაიმის მიწურულს **ლუიზაოს** შედეგიანი დარტყმით უპასუხეს. გადამწყვეტი სიტყვა **გონსალო იგუაინმა** თქვა, რომელმაც მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა, ბურთი ხელსაყრელ პოზიციაზე მიიღო და მეორე შეხებით კარში გადაგზავნა, 2:1. არგენტინელის გოლს „სტადიო სან პაოლოზე“ შეკრებილი გულშემატკივრები განსაკუთრებული ოვაციებით შეხვდნენ, რამაც ფეხბურთელი ძალიან გაახარა:

*„ტიფოზები მთელი მატჩის განმავლობაში მამხნევებდნენ და ეს გოლი სწორედ მათი დამსახურებაა. „სან პაოლოზე“ საოცარი ატმოსფერო იყო და ბედნიერი ვარ, რომ ამ არენაზე კიდევ უამრავი მატჩი უნდა გავმართო. ყველაფერს გავაკეთებ, რომ გულშემატკივრები გოლით ბევრჯერ გავახარო“.*

**ნაპოლი-ბენფიკა 2:1**

**გოლები:** 1:0 ბერამი (5), 1:1 ლუიზაო (43), 2:1 იგუაინი (70).

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა (46. რაფაელი) - მაჯო (46. მესტო), ალბიოლი (72. გამბერინი), ბრიტოსი (46. კანავარო), ცუნიგა (46. არმერო) - ინლერი (46. ჯემაილი), ბერამი (78. რადოშევიჩი) - კალეხონი (82. ნოვოტნი), ჰამშიკი (62. პანდევი), ინსინიე (46. მერტენსი) - იგუაინი (72. კალაიო).


გონსალო იგუაინი თავის პირველ გოლს ზეიმობს „ნაპოლის“ შემადგენლობაში

ფიორენტინა

# ფლორენციელებს ვალდესი სურთ


ვიქტორ ვალდესმა შესაძლოა კარიერა „ფიორენტინაში“ გააგრძელოს

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ვიქტორ ვალდესმა** შესაძლოა, „ფიორენტინაში“ გააგრძელოს კარიერა. ფლორენციული კლუბი რომ მეკარეს ეძებს, ძველი ამბავია და თვითონ ვალდესსაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ახალი გამოწვევა სწყურია. „ბარსელონას“ მეკარე ფრანგულ „მონაკოში“ გადაბარგებასთან იყო ახლოს, თუმცა ტრანსფერი ჩაიშალა და მისი გადაბირების სხვა მსურველებს შანსი მიეცათ. ამ შანსის გამოყენებას აპირებს „ფიორენტინა“, რომელმაც უკვე დაიწყო მოლაპარაკება როგორც მეკარესთან, ისე მის კლუბთან.

ვალდესს „ბარსელონასთან“ კიდევ ერთი წლით აკავშირებს ხელშეკრულება და ბუნებრივია, მის სანაცვლოდ კატალონიელები თანხას მოითხოვენ. თუმცა იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, უფრო დიდი წინაღობა ამ შემთხვევაში ფეხბურთელის წლიური ჯამაგირია - „ბარსაში“ ვალდესი ყოველთვიურად 550 000 ევროს იღებს, ასეთი თანხის გადახდა კი ფლორენციელებს არ შეუძლიათ. ჯერჯერობით, არც კატალონიური კლუბის მესვეურებს და არც თავად მეკარეს პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. ქომუნითი შილდი

# ჩემპიონი მოგებით იწყებს

## მოიესის პირველი მანჩესტერული ტიტული

**მანჩესტერ იუნაიტედი–უიგანი 2:0**

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (6), 2:0 ვან პერსი (59)
**მანჩესტერ იუნაიტედი (4-3-3):** დე ხეა - რაფაელი (15. სმოლინგი), ფ. ჯონსი, ვიდიჩი, ევრა - კლევერლი, კერიკი, გიგზი (66. ანდერსონი) - ზაჰა (60. ვალენსია), ვან პერსი (83. იანუზაი), უელბეკი (83. კაგავა)
**უიგანი (4-3-3):** კარსონი - ბოისი, პერჩი, ბარნეტი, კრეინი - მაკარტი (85. დიკო), უოტსონი (71. ესპინოსა), მაკარტური (60. მაკანი) - მელონი (71. გომესი), ჰოლტი (60. ფორჩუნი), მაკლინი (61. მაკმანამანი)
**გაფრთხილება:** კლევერლი - მაკარტური, ესპინოსა
**კარში დარტყმა:** 7-1 (3-0) **კუთხური:** 5-3 **თამაშგარე:** 0-0 **ჯარიმა:** 14-11 **ბურთის ფლობა:** 50%-50%
**მაყურებელი:** 82 000

„მანჩესტერ იუნაიტედმა" 2013/14-ის სეზონი მოგებით დაიწყო. ფავორიტმა სანახაობრივი თვალსაზრისით ბევრი ვერაფერი თამაში გვიჩვენა. რჩება შთაბეჭდილება, რომ „ეშმაკებმა" პრაქტიკული გათვლა გააკეთეს და სეზონის პირველი ტიტულის მოსაგებად ზუსტად იმდენი ენერგია დახარჯეს, რამდენიც საჭირო იყო.

ჩემპიონშიპის წარმომადგენელმა პრემიერლიგის გამარჯვებულის კარსთან ბურთიანად მიახლოება 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე მოახერხა, კარში სახიფათო დარტყმაზე კი ლაპარაკი ზედმეტია. „იუნაიტედის" მხრიდან ორჯერვე **რობინ ვან პერსიმ** გამოიჩინა თავი. 30 წლის ჰოლანდიელმა პირველ ტაიმში **პატრის ევრას** ფლანგური გადაცემა გამოიყენა, მეორეში კი საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დასცხო და **ლეონ ბარნეტის** რიკოშეტის შემდეგ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. **სკოტ კარსონი** ამ შემთხვევაშიც უძლური იყო.



რობინ ვან პერსიმ ახალი სეზონიც უმაღლეს დონეზე დაიწყო

**მატჩის შემდგომ**

**დევიდ მოიესი** (მანჩესტერ იუნაიტედი): „კომპლიმენტების დიდ ნაწილს ალალად სერ ალექს ფერგიუსონი იმსახურებს, ვისმა გუნდმაც იმარჯვა შარშანდელ პრემიერლიგაში. რეალურად დღეს ეს ტიტული მან მოიგო. „იუნაიტედმა" დღესაც ისევე დამაჯერებლად ითამაშა, როგორც ამას შარშან ახერხებდა".

**რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი): „იუნაიტედს" რეალური შანსი აქვს სეზონი ხუთი ტიტულით ჩაამთავროს. ჩვენ ყველას ძალიან გვინდა, რომ ეს ასე მოხდეს. პირადად მე რაც შემეხება, ბედნიერი ვარ, რომ „უემბლიზე" გავიტანე. ამ სტადიონზე ეს ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობაა. მჯერა ამ გუნდის პოტენციალის და ვერასოდეს მივხვდები, რატომ მიაჩნია ზოგიერთს, რომ ჩვენ ფავორიტებს შორის მესამე ადგილზე ვართ".

**ლევან ბიბილაშვილი**

● სავარაუდო ტრანსფერი

# რეალმა თვალი მილანის ტალანტს დაადგა



მატია დე შილიო

მადრიდის „რეალის" იტალიელ თავკაც **კარლო ანჩელოტის** „მილანის" მცველის, **მატია დე შილიოს** ყიდვა სურს.

20 წლის ნიჭიერმა განაპირა მცველმა წლეულს იტალიის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. ის „მილანის" ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლება.

ანჩელოტი ყოფილი მილანელია და კარგად იცნობს დე შილიოს შესაძლებლობებს, რომელიც 10 წლის ასაკიდან ამ კლუბში აღიზარდა.

დე შილიოს მარჯვენა ფლანგზე ურჩევნია თამაში, თუმცა ურიგოდ არც მარცხენა ფლანგზე ირჯება, სადაც დასჭირდება კიდევაც ის ანჩელოტის, რადგან **ფაბიო კოენტრაოს** წასვლა სურს.

*„კოენტრაოს გუნდიდან წასვლა სურს. მაგრამ მე მოხარული ვიქნები, თუკი დარჩება, ფაბიო ბრწყინვალე ფეხბურთელია"*, - განაცხადა ანჩელოტიმ

დე შილიო ამჟამად „მილანში" თამაშით მხოლოდ 500 ათას ევროს იღებს ხელფასის სახით. „რეალი" ამ თანხის სულ მცირე გაორმაგებას ჰპირდება ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამბები

## სუარესი ბოდიშის მოხდას არ აპირებს



ბრენდან როჯერსი სუარესის ბოდიშს ამაოდ ელის

„ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** რამდენიმე დღის წინ საკლუბო ვებგვერდს განუცხადა, რომ მისი აზრით, **ლუის სუარესმა** თანაგუნდელების, ხელმძღვანელებისა და გულშემატკივართა წინაშე ბოდიში უნდა მოიხადოს ინტერვიუსთვის, სადაც ურუგვაელმა კლუბი ტყუილი დაპირებების გაცემაში დაადანაშაულა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაიმუქრა, რომ მას ძირითად გუნდს აღარ გააკარებს. ვერ გეტყვით, რას ელოდა ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი, აი, ჩვენს ინგლისელ კოლეგებს კი წარმოდგენაც უჭირდათ, რომ 26 წლის ფეხბურთელი დამრიგებლის ნებას დაჰყვებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, სუარესმა, უთამაშებლად დარჩენის პერსპექტივის მიუხედავად, „შეთავაზებაზე" სასტიკი უარი თქვა.

## ტაბარესის რჩეული გუნდი

ურუგვაის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოსკარ ტაბარესმა** 14 აგვისტოს იაპონიასთან ამომავალი მზის ქვეყანაში გასამართი ამხანაგური მატჩისთვის გუნდის შემადგენლობა დაასახელა. მიუხედავად „ლივერპულში" შექმნილი პრობლემებისა, ეროვნულ გუნდში მიწვეულია **ლუის სუარესიც**.

მეკარეები: **ფერნანდო მუსლერა** (გალათასარაი), **მარტინ სილვა** (ოლიმპია)

მცველები: **დიეგო ლუგანო** (ვესტ ბრომვიჩი), **დიეგო გოდინი** (ატლეტიკო), **სებასტიან კოატესი** (ლივერპული), **მარტინ კასერესი** (იუვენტუსი), **მაქსი პერეირა** (ბენფიკა), **ხორხე ფუსილე** (პორტუ);

ნახევარმცველები: **ვალტერ გარგანო** (ნაპოლი), **ალვარო ფერნანდესი** (ნასიონალი), **ალვარო გონსალესი** (ლაციო), **ალვარო პერეირა** (ინტერი), **სებასტიან ეგურენი** (პალმეირასი), **კრისტიან როდრიგესი** (ატლეტიკო), **ნიკოლას ლოდეირო** (ბოტაფოგო), **გასტონ რამირესი** (საუთჰემპტონი);

თავდამსხმელები: **ედინსონ კავანი** (პარი სენ-ჟერმენი), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **დიეგო ფორლანი** (ინტერნასიონალი), **კრისტიან სტუანი** (ესპანიოლი).



ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი

**ლევან ბიბილაშვილი**

## 16 მილიონი ევრო ბრაზილიელის სანაცვლოდ

„დეილი მირორის" ცნობით მიუნხენის „ბაიერნის" ბრაზილიელ ნახევარმცველ **ლუის გუსტავოს** შეძენასთან ყველაზე ახლოს ლონდონის „არსენალია". „მეთოფეები" მზად არიან „ბაიერნს" 16 მილიონი ევრო გადაუხადონ მის სანაცვლოდ.

შეგახსენებთ, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** ნახევარდაცვაში ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს და ლუის გუსტავო აღარ სჭირდება. ბრაზილიელის დამატება „ვოლფსბურგს" და „ჩელსისაც" სურთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამბები



გალათასარაის დროგბამ მოაგებინა

## პორტუს პირველი ტიტული

სეზონის პირველი ტიტული მოიპოვა პორტუგალიის ჩემპიონმა „პორტუმ" - ქვეყნის სუპერთასის მატჩში „გიმარაეში" 3:0 გაანადგურა. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. თავი **ლიკამ, ჯექსონ მარტინესმა** და **ლუჩო გონსალესმა** გამოიჩინეს. ეს „პორტუს" ისტორიაში მე-20 სუპერთასია.

## გიოტცემ დუბლი შეასრულა

მიუნხენის „ბაიერნმა" ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრო - **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდმა უნგრულ „დიორი ეტოს" 4:1 აჯობა. აღსანიშნავია, რომ რეკორდმაისტერის რიგებში **მარიო გიოტცე** გამოჩნდა, მან დუბლი შეასრულა. ორი გოლი გაიტანა **ჯერდან შაჩირიმაც**. „ბაიერნის" შემადგენლობა შერეული იყო, ნაწილი ფეხბურთელებისა გვარდიოლას ფორმაციის გუნდში სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




მარიო გიოტცე

## თურქეთის სუპერთასი გალათასარაის დარჩა

თურქეთის სუპერთასისთვის ბრძოლაში „გალათასარაიმ" „ფენერბაჰჩე" 1:0 დაამარცხა. 90 წუთმა მატჩის გამარჯვებული ვერ გამოავლინა და მხოლოდ დამატებით ტაიმებში გაირკვა ტიტულის მფლობელის ვინაობა. 99-ე წუთზე **დიდიე დროგბამ** გამარჯვება „ლომებს" მოუტანა.

აღვნიშნავთ, რომ 63-ე წუთიდან „ფენერბაჰჩე" კაცნაკლული იყო, გააძევეს **ბრუნო ალვეში**.

„გალათასარაიმ" თურქეთის სუპერთასი ისტორიაში მე-13-ედ მოიპოვა.

● ამხანაგური მატჩი

# უკანასკნელი რეპეტიცია არსენალმა მოიგო

**არსენალი–მანჩესტერ სიტი 3:1**

**გოლები:** 1:0 უოლკოტი (8), 2:0 რემსი (58), 3:0 ჟირუ (61), 3:1 ნეგრედო (79)

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი (46. ფაბიანსკი) - სანია (73. ჯენკინსონი), მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - არტეტა (67. პერესი), რემსი (88. ჰაიდენი) - უილშირი (46. კასორლა), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (73. ზელალემი) - პოდოლსკი (46. ჟირუ)

**მანჩესტერ სიტი (4-4-2):** ჰარტი - საბალეტა (46. რიჩარდსი), კომპანი, ლესკოტი (85. ბოაიტა), კლიში - ფერნანდინიო (79. როდუელი), ი. ტურე (67. ხ. გარსია), მილნერი (46. ნავასი), დ. სილვა (67. ნასრი) - ჯეკო (67. იოვეტიჩი), ნეგრედო


თეო უოლკოტმა „მანჩესტერ სიტის“ თავბრუ დაახვია

ჰელსინკიში, ოლიმპიურ სტადიონზე გამართული მატჩით „არსენალმა“ და „მანჩესტერ სიტიმ“ 2013/14 წლების სეზონისთვის მოსამზადებელი ეტაპი დაასრულეს. თამაში „მეთოფეთა“ უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით (3:1) დასრულდა. მოედანზე საუკეთესო **თეო უოლკოტი** გახლდათ, ვინც გარდა იმისა, რომ ანგარიში გახსნა, **აარონ რემსისა** და **ოლივიე ჟირუსაც** გაატანინა. შეცვლაზე შესულმა ფრანგმა მეორედაც მოახერხა გატანა, თუმცა „ქალაქელთათვის“ საბედნიეროდ, თამაშგარედან, რაც მატჩის არბიტრებს არ გამოჰპარვიათ. **ალვარო ნეგრედოს** გოლს რაც შეეხება, სიღრმიდან გაკეთებული პასი „არსენალის“ ნახევარდაცვამაც გაატარა და დაცვამაც. ესპანელმა მეტოქის უკანახაზელთან ცოტა წაიჭიდავა, **ლუკაშ ფაბიანსკისთან** პირისპირ დარჩა და პრესტიჟის ბურთი გაიტანა.

**მატჩის შემდგომ**

**არსენ ვენგერი** (არსენალი): *„ეს იყო ფიზიკურად ძალიან ძლიერად მომზადებული ორი გუნდის დაპირისპირება, რომლის ფეხბურთელებმაც უკანასკნელი ძალები გაიღეს თამაშისთვის. „არსენალმა“ ტაქტიკურად გამართულად ითამაშა. ასე რომ, კმაყოფილი ვარ. რა საკვირველია, არის კომპონენტები, რომელიც ჯერ კიდევ დასახვეწი გვაქვს. ფეხბურთელები მაქსიმალურად იყვნენ კონცენტრირებულნი და მომენტები ამიტომ გამოვიყენეთ ეფექტურად. ეს ფაქტორი სეზონის დაწყებამდე თავდაჯერებას შეგვმატებს. აუცილებელია, ყოველ მატჩს ანალოგიურ კონდიციებში შევხვდეთ. სანაკრებო პაუზის გამო ფეხბურთელებს გამგზავრება მოუწევთ, ასე რომ, პრემიერლიგის პირველი ტურისთვის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო დაგვრჩება, რაც გუნდზე დადებითად ნამდვილად არ აისახება“.*

● ინგლისის ნაკრები



ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს თავისი პრობლემები აქვს

## ჰოჯსონი არ გარისკავს

**უეინ რუნი** „მანჩესტერ იუნაიტედში“ არ თამაშობს და ოფიციალურად ამის მიზეზად ტრავმა სახელდება. 27 წლის ფეხბურთელს ძირითად გუნდთან სრულფასოვნად ჯერ არ უვარჯიშია. მიუხედავად ამისა, ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** ის შოტლანდიის წინააღმდეგ მოსამზადებელ შეკრებაზე გამოიძახა. მასმედიაში მაშინვე გაჩნდა ცნობები, რომ „იუნაიტედის“ თავკაცი **დევიდ მოიესი** რუნის გამოძახებამ გაალიზიანა. თუმცა ყოველთვის ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. ჰოჯსონის თქმით, ის ნაკრების ვიცე-კაპიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში ათამაშებს, თუკი ის დატვირთვისთვის 100%-ით იქნება მზად. საკითხავია, როგორ შეიძლება ფეხბურთელი კვირას ტრავმის გამო სუპერთასის განაცხადშიც კი ვერ მოხვდეს და ოთხშაბათს იდეალურად მომზადებული შეხვდეს.

*„გადაწყვეტილება რუნის გამოძახებაზე ჩემსა და მოიესს შორის ურთიერთობაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ჩვენ უკვე წლებია, ვმეგობრობთ და მას, როგორც მწვრთნელს, ჩემი ნამდვილად სხვებზე უკეთ ესმის. ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ ოთხი თამაში დარჩა ჩასატარებელი. ბიჭები ერთად უკანასკნელად სამი თვის წინ ვნახე ბრაზილიასთან მატჩზე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მათი კიდევ ერთხელ შეკრება. მიუხედავად იმისა, ვინ ძირითადში მოხვდება, ვინ შეცვლაზე შევა, ვინ საერთოდ ვერ ითამაშებს. ამ ეტაპზე მთავარია, 2-3 დღე ერთად გავატაროთ. რუნი გამოცხადდება შეკრებაზე, ჩვენი ექიმები მას შეამოწმებენ და გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ. ნამდვილად არ ვაპირებთ რისკზე წასვლას და „იუნაიტედში“ უკან ტრავმირებული მოთამაშის დაბრუნებას,“* - განაცხადა ჰოჯსონმა.

ტრავმირებული შეგირდის ნაკრებში გამოძახებაზე კომენტარი გააკეთა დევიდ მოიესმაც: *„ამ თემაზე წინა კვირაში ჰოჯსონთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა. მოგეხსენებათ, უეინი ბოლო პერიოდში ნატკენ მხარს მკურნალობდა და სრული დატვირთვას ვერ უძლებდა. მას მხოლოდ ისეთი ვარჯიშების კეთების უფლება ჰქონდა, სადაც თანაგუნდელთან კონტაქტი გამორიცხულია. რუნიმ შაბათს ჯერ ძირითად გუნდთან ივარჯიშა, შემდეგ კი ინდივიდუალურადაც. „უიგანთან“ მატჩისთვის მისი მწყობრში ჩადგომა ვერ მოესწრო, რაც შეეხება ნაკრებს, შესაძლოა, იქამდე მოიკეთოს კიდეც. თუკი რუნი ამისთვის მზად იქნება, იმედია, ჰოჯსონი 90 წუთს მისცემს“.*

● ამბები

### კარდიფის მესამე რეკორდი

„კარდიფ სიტიმ“ პრემიერლიგაში ალზევების შემდეგ გამოაცხადა, რომ მზად იყო, სატრანსფერო ბაზარზე 20 მილიონ ფუნტამდე დაეხარჯა. დაპირება გადაჭარბებით არის შესრულებული. დღეისთვის „მერცხლებს“ 27 მილიონზე მეტი აქვთ გაღებული. ხელმძღვანელობამ საქმეს თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი. „კოპენჰაგენმა“ **ანდრეას კორნელიუსში** 7.5 მილიონი ფუნტი მიიღო, შემდეგ იყო „ტოტენჰემიდან“ 7.88 მილიონად **სტივენ კოლკერის** ყიდვა და აი, შაბათს კლუბმა ოფიციალურ ვებგვერდზე დაადასტურა, რომ „სევილიიდან“ 11 მილიონად ჩილეს ნაკრების 26 წლის ნახევარმცველი **გარი მედელი** გადაიბირა. თითოეული ეს გარიგება უელსელებისთვის ახალ რეკორდს ნიშნავდა სატრანსფერო ბაზარზე. მედელმა სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ „კარდიფთან“ 4-წლიან კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა.


გარი მედელი

### მორიგი თინეიჯერი

„არსენალის“ მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერი** გულშემატკივარს ჩამოყალიბებული ვარსკვლავების ყიდვას დაჰპირდა. პრემიერლიგის დაწყებამდე კვირაზე ნაკლები რჩება, თუმცა ლაპარაკის იქით საქმე ჯერ არ წასულა. **ლუის გუსტავო** ჯერ კიდევ „ბაიერნშია“, **ლუის სუარესი** კი „ენფილდზე“ გაიჭედა და, როგორც ჩანს, დიდი ხნით. ამასობაში ფრანგის მზერა კიდევ ერთმა თინეიჯერმა მიიპყრო. ლაპარაკია „სანტოსის“ 17 წლის გარემარბ **ვიქტორ ანდრადეზე**, ვინც ძირითად გუნდში წელიწადზე ცოტა მეტია ირიცხება და პროფესიულ კარიერაში სულ 19 თამაში აქვს ჩატარებული (3 გოლი, 2 პასი). ანდრადეს ნიჭს ისიც უსვამს ხაზს, რომ „მეთოფეთა“ გარდა მისი ყიდვა „მანჩესტერ სიტის“, „ლივერპულსა“ და „ჩელსის“ სურთ. „სანტოსი“ ფეხბურთელს 37 მილიონ ევროდ აფასებს.

### რიისე მიდის

32 წლის ნორვეგიელი მარცხენა მცველი **იონ არნე რიისე** „ფულჰემიდან“ მიდის. ფეხბურთელი და მისი აგენტი მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ისინი კლუბისგან თავისუფალი აგენტის სტატუსს ითხოვენ. მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლი** მზადაა, დათმობაზე წავიდეს, რადგან მას მოთამაშე უბრალოდ აღარ სჭირდება. ინფორმაცია „სქაი სპორტსთან“ ინტერვიუში თავად რიისემ დაადასტურა. „ფულჰემამდე“ ნორვეგიელი „მონაკოს“, „ლივერპულისა“ და „რომას“ ღირსებას იცავდა. სად აპირებს ვეტერანი ლუზის ჩაშვებას, ჯერჯერობით უცნობია.

**ლევან ბიბილაშვილი**


იონ არნე რიისე



● გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური



პიერ-ემერიკ ობამეიანგმა პირველივე შეხვედრაში ჰეთთრიქი შეასრულა

# მხიარული ბუნდესტარტი

* პიერ-ემერიკ ობამეიანგმა ბუნდესლიგაში დებიუტი ჰეთთრიკით აღნიშნა
* ლევან კობიაშვილის ჰერტა პირველი გუნდია, რომელმაც ბუნდესლიგაში დაბრუნება 6 გოლით აღნიშნა
* „ვოლფსბურგის“ 10-მატჩიანი წაუგებელი სერია ქვემოსაქსონურ დერბიში შეწყდა
* უვე ზეელერის შვილიშვილის დებიუტი ბუნდესლიგაში

**ბუნდესლიგის 51-ე სეზონი პარასკევს, წინა სეზონის ტრიუმფატორის მორიგი გამარჯვებით გაიხსნა, შაბათ-კვირას კი პირველი ტური გახურდა და რამდენიმე მართლაც შთამბეჭდავი თამაში და ბევრი გოლი ვიხილეთ.**

### დომინგესის ხელბურთი

„ბაიერნისა“ და გლადბახის „ბორუსიას“ მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიუნხენელთა შეტევებით დაიწყო და მე-12 წუთზე სეზონის პირველი გოლიც ვიხილეთ - **ფრანკ რიბერის** გენიალური პასის მერე, ბურთი **არიენ რობენმა** მიიღო და **მარკ-ანდრე ტერ შტეგენს** შანსი არ დაუტოვა. ზუსტად 4 წუთში კი **მარიო მანჯუკიჩმაც** გაიტანა და ანგარიში 2:0 გახდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „რეკორდმაისტერს“ იოლი გამარჯვება უნდა მოეპოვებინა, მაგრამ ყველაფერი მე-40 წუთზე შეიცვალა, როდესაც „ბორუსიას“ ყოფილმა მცველმა **დანტემ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და **ლუსიან ფავრის** სამწყსო თამაშში დააბრუნა.

მეორე ნახევარში სტუმრები გაცილებით უკეთ ათამაშდნენ და მიუნხენელმა ქომაგმა, საკუთარი გუნდის კართან რამდენიმე არასასიამოვნო ეპიზოდიც იხილა. ყველაფერს კი წერტილი **ალვარო დომინგესის** მართლაც საოცარმა უიღბლობამ დაუსვა - ესპანელმა ფეხბურთელმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რის გამოც „ბორუსიას“ კარში პენალტი დაინიშნა. 11-მეტრიანი **თომას მიულერმა** შეასრულა, მაგრამ ვერ გაიტანა - ტერ შტეგენმა საკუთარი გუნდი გადაარჩინა, მაგრამ ბურთი არიენ რობენს, საჯარიმოს კუთხეში მიუვიდა, ამ დროს კი ჰოლანდიელთან ისევ დომინგესი გაჩნდა და ახალგაზრდა პირენეელმა კვლავ ხელით ითამაშა, რასაც მისი გუნდის კარში მეორე პენალტის დანიშვნა მოჰყვა. ერთ ფეხბურთელს, 30-წამიან ინტერვალში, საკუთარ საჯარიმოში ხელით ორჯერ ეთამაშოს, მართლაც არ გვახსენდება. ამჯერად ბურთთან **დავიდ ალაბა** მივიდა და ავსტრიელმა მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა- 3:1.

„ბაიერნს“ ჩემპიონატში უკვე 26 ტურია არ წაუგია, რაც ბუნდესლიგის რეკორდი გახლავთ. გარდა ამისა, „რეკორდმაისტერმა“ შინ ზედიზედ მე-9 გამარჯვება მოიპოვა, თუმცა **ფელიქს მაგათის** „ბაიერნის“ მიერ დამყარებული რეკორდამდე (ზედიზედ 19 საშინაო გამარჯვება, 2005-06 წლებში) ჯერ შორია.

*„ბევრი ვირბინეთ და ბევრსაც ვუტევდით. გვიხარია, რომ სეზონი გამარჯვებით დავიწყეთ, რადგან მატჩი საკმაოდ რთული გამოდგა. დღეს ჩვენი თამაშით დიდი სიამოვნება მივიღე,“* - განაცხადა ფრანკ რიბერიმ, რომელიც გერმანელმა ჟურნალისტებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

### სპაიდერმენის ჰეთთრიქი

**პიერ-ემერიკ ობამეიანგმა** ბუნდესლიგაში საოცნებო დებიუტი მოიწყო - 24 წლის გაბონელმა ფორვარდმა ჰეთთრიქი შეასრულა, რაც აქამდე მხოლოდ 5 ფეხბურთელს ჰქონდა გაკეთებული. გაიტანა **რობერტ ლევანდოვსკიმაც**, რომლისთვისაც „აუგსბურგი“ საყვარელი მეტოქეა - პოლონელ ფორვარდს ბავარიელთა წინააღმდეგ ჩატარებულ 5 შეხვედრაში 7 გოლი დაუგროვდა, სულ კი ეს მატჩი „ლევანგოლსკისთვის“ 99-ე იყო ბუნდესლიგაში და მის ანგარიშზე უკვე 55 გოლია.

„ბორუსიას“ არ ჰყავდა **რომან ვაიდენფელერი**, რომელიც წინა სეზონის ბოლო ტურში („ჰოფენჰაიმთან“) გააძევეს და დისკვალიფიცირებული იყო. მის მაგივრად, კარს **მიტჩელ ლანგერაკი** იცავდა და საინტერესოა, რომ ავსტრალიელმა მეკარემ BVB-ს რიგებში მე-11 მატჩი ჩაატარა და დორტმუნდმა ყველა შეხვედრის მოგება შეძლო.

### ჰერტას ისტორიული გამარჯვება

„ჰერტა“ გახდა პირველი დებიუტანტი ისტორიაში, რომელმაც საწყის ტურში 6 გოლი გაიტანა. ბუნდესლიგაში ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა ბერლინელებმა შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა, ფრანკფურტის „აინტრახტი“ მიწასთან გაასწორეს. საინტერესოა, რომ **არმინ ფეესთვის** „ჰერტა“ ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქეა - „აინტრახტის“ დამრიგებელს დედაქალაქურ გუნდთან მოგებული არ ჰქონდა (თამაშამდე: 3 ფრე და 7 წაგება), შაბათს კი 52 წლის სპეციალისტი საშვილიშვილოდ შერცხვა.

სამწუხაროდ, ბერლინელთა შემადგენლობაში არ იყო **ლევან კობიაშვილი**, მაგრამ **იოს ლუჰუკაის** ამის გამო ვერავინ გაამტყუნებს. 2-2 გოლი გაიტანეს კოლუმბიელმა **ადრიან რამოსმა** და ტუნისელმა **სამი ალაგუიმ**, ვინც პირველ ტურში თავის გამოჩენა ზედიზედ მეექვსედ შეძლო - ალაგუიმ სამჯერ პირველ, ხოლო სამჯერ მეორე ბუნდესლიგის საწყის ტურებში გაიტანა.

მასპინძელთა რიგებში ასევე გამოირჩეოდა **ალექსანდრ ბაუმიოჰანი** - „ჰერტას“ ახალწვეულმა გოლი ვერ გაიტანა, სამაგიეროდ ორი საგოლე პასი გააკეთა და მართლაც კარგი მატჩი ჩაატარა. ბერლინელებს ლუჰუკაის ხელში, „ოლიმპიაშტადიონზე“ ჯერ არ წაუგიათ - მეორე ბუნდესლიგის მატჩების ჩათვლით, დედაქალაქელთა დაუმარცხებელი სერია უკვე 18 მატჩია გრძელდება და ამ პერიოდში „ჰერტამ“ 13 შეხვედრა მოიგო, 5 კი ფრედ დაასრულა.

### 2 გოლი და 2 გაძევება

„ჰანოვერმა“ ქვემოსაქსონურ დერბიში „ვოლფსბურგი“ ზედიზედ მეოთხედ დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები 52-ე წუთიდან მოყოლებული 9 კაცით იყვნენ, **მირკო სლომკას** შეგირდებს საკმაოდ გაუჭირდათ და თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე ნახევარში უფრო მეტს „მგლები“ უტევდნენ. მასპინძელთა ქომაგები 84-ე წუთზე დამშვიდნენ, როდესაც **შაბოლჩ ჰუშტიმ** გაიტანა და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა. აქვე შეგახსენებთ, რომ შარშან, ვოლფსბურგში გამართული დერბი „ჰანოვერმა“ 4:0 მოიგო და ჰუშტიმ 4 საგოლე პასი მიითვალა.

ამ მარცხით, დასრულდა „ვოლფსბურგის“ 10-მატჩიანი წაუგებელი სერია, რომელიც სათავეს 2 მარტიდან იღებდა. **დიტერ ჰეკინგმა** კი „ჰანოვერთან“, რომელიც მისი ყოფილი კლუბია, ზედიზედ მეექვსედ დაყარა ფარ-ხმალი.

### ბაიერის მეექვსე და კისლინგის მეშვიდე

ზედიზედ მე-6 გამარჯვება მოიპოვა ლევერკუზენის „ბაიერმა“, ვინც გვარიანად შეცვლილი „ფრაიბურგი“ დაამარცხა. მორიგი გოლი გაიტანა **შტეფან კისლინგმა**, რომელმაც თავი ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში გამოიჩინა, მაგრამ **იოახიმ ლიოვმა** ის ეროვნულ ნაკრებში კვლავ არ მიიწვია. ბუნდესლიგის ბოლო 20 შეხვედრაში კისლინგმა 17 გოლი გაიტანა, რაც ფანტასტიკური შედეგია.

მასპინძელთა მხრიდან თავი ასევე **სიდნი სემმა** და ახალწვეულმა, **ჰონ-მინ სონმა** გამოიჩინეს. შეხვედრის 87-ე წუთზე კი მინდორზე 17 წლის **ლევინ იოზთუნალი** გამოვიდა და „ბაიერის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა. თუ არ იცით, გეტყვით, რომ იოზთუნალი ლეგენდარული **უვე ზეელერის** შვილიშვილია.

შაბათის კიდევ ერთ შეხვედრაში „ჰოფენჰაიმმა“ „ნიურნბერგთან“ ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და მხოლოდ ქულას დასჯერდა.

### ჰუნტელაარის მორიგი გოლები

**კლაას-იან ჰუნტელაარმა** „ჰამბურგს“ მიჯრით მეხუთე შეხვედრაში გაუტანა (სულ 9 გოლი), მისმა „შალკემ“ კი ვერ მოიგო. სტუმრები ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ „ხუმარები“ ცვლილებაზე გამოსულმა **ადამ სალაიმ** გადაარჩინა და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 3:3.

კვირა დღის მეორე შეხვედრაც უხვგოლიანი გამოდგა - „მაინცმა“ „შტუტგარტს“ **ნიკოლაი მიულერის** დუბლის და ყოფილი „შვაბის“, **შინჯი ოკაზაკის** ერთი გოლის წყალობით სძლია. **თომას ტუხელის** შეგირდებმა ბუნდესლიგაში 9-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს.

**ბაიერნი–ბორუსია (მ) 3:1**

**გოლები:** 1:0 რობენი (12), 2:0 მანჯუკიჩი (16), 2:1 დანტე (40-საკ. კარში), 3:1 ალაბა (69-პენ)

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - ლამი, ჯ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - შვაინშტაიგერი (73. კირხჰოფი) - რობენი, თ. მიულერი (77. რაფინია), ტ. კროოსი (85. ხავი მარტინესი), რიბერი - მანჯუკიჩი

**ბორუსია (4-2-3-1):** ტერ შტეგენი - იანჩკე, შტრანცლი, ალვარო დომინგესი, დემსი - კრამერი (85. ლ. დე იონგი), ჯაკა - ჰერმანი (70. ჰრგოტა), რაფაელი, არანგო (71. იუნესი) - კრუზე

**გამოუყენებელი პენალტი:** თ. მიულერი (68. ბაიერნი)

**გაფრთხილება:** მანჯუკიჩი - კრამერი, შტრანცლი, ალვარო დომინგესი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 26-11 (13-6); **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 71 137

**აუგსბურგი–ბორუსია (დ) 0:4**

**გოლები:** 0:1 ობამეიანგი (24), 0:2 ობამეიანგი (66), 0:3 ობამეიანგი (79), 0:4 ლევანდოვსკი (86-პენ)

**აუგსბურგი (4-1-4-1):** ამსიფი - ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - ჰანი (83. ფოგტი), მორავეკი, ჰალილ ალთინთოფი (77. ფილპი), ჰოლცჰაუზერი (77. ვლახოდიმოსი) - მიოლდერსი

**ბორუსია (4-2-3-1):** ლანგერაკი - გროსკროიტცი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ობამეიანგი (81. ი. ჰოფმანი), გიუნდოგანი (57. ბლაშჩიკოვსკი), როისი - ლევანდოვსკი (88. დურმი)

**გაფრთხილება:** ოსტრცოლეკი, მორავეკი - .

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 11-13 (6-11); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 30 660

**ბაიერი–ფრაიბურგი 3:1**

**გოლები:** 1:0 კისლინგი (22), 1:1 ჰანკე (40), 2:1 სონი (47), 3:1 სემი (52)

**ბაიერი (4-3-2-1):** ლენო - დონატი, სპაჰიჩი, თოფრაქი, ბიონიში - რაინარტცი, ლ. ბენდერი, კასტრო (87. იოზთუნალი) - სემი (80. ჰეგელერი), სონი (70. როლფესი) - კისლინგი

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - შმიდი, გინტერი, დიანე, ზორგი - ჟელსონ ფერნანდესი, შუსტერი - კოკლენი (46. კერკი), ცუკი (68. გიუნტერი) - ჰანკე, მეჰმედი (76. ფრაისი)

**გამოუყენებელი პენალტი:** შმიდი (67. ფრაიბურგი)

**გაფრთხილება:** რაინარტცი, სპაჰიჩი - დიანე, ჰანკე

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 19-7 (14-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 27 136

**ჰანოვერი–ვოლფსბურგი 2:0**

**გოლები:** 1:0 ანდრეასენი (17), 2:0 ჰუშტი (84)

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი - ჰ. საკაი, ჰაგი, სანე, პანდერი - ანდრეასენი (73. ა. ჰოფმანი), შტინდლი - ბიტენკურტი (76. შმიდებახი), პრიბი (66. შლაუდრაფი), ჰუშტი - დიუფი

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ტრეში, ნალდო, ტ. კლოზე, რ. როდრიგესი - კოო (55. კნოხე), პოლაკი - ვიეირინია (81. სიო), არნოლდი, დიეგო - ოლიჩი (66. მ. შეფერი)

**გაფრთხილება:** ბიტენკურტი, ჰუშტი, პრიბი, სანე - ტ. კლოზე

**გაძევება:** არნოლდი (32. ვოლფსბურგი), ტ. კლოზე (52. ვოლფსბურგი)

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 32-12; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 20-15 (14-10); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 44 800

**ჰერთა–აინტრახტი (ფ) 6:1**

**გოლები:** 1:0 რამოსი (18), 2:0 ბრუკსი (32), 2:1 ა. მაიერი (37-პენ), 3:1 ალაგუი (58), 4:1 ალაგუი (60), 5:1 რამოსი (71), 6:1 რონი (89)

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი - ნჯენგი, ლანგკამპი, ბრუკსი, ვან დენ ბერგი - ლუსტენბერგერი, ჰოსოგაი (83. კლუგე) - ალაგუი, ბაუმიოჰანი (76. რონი), ბენ-ჰატირა (73. ნ. შულცი) - რამოსი

**აინტრახტი (4-3-2-1):** ტრაპი - იუნგი, სამბრანო, რუსი, ოშიპკა - როდე, შვეგლერი, ფლუმი (46. აიგნერი) - ა. მაიერი, როზენტალი (46. ინუი) - ხოსელუ

**გაფრთხილება:** - ფლუმი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16-10 (10-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 55 000

**ჰოფენჰაიმი–ნიურნბერგი 2:2**

**გოლები:** 1:0 აბრაჰამი (34), 2:0 მოდესტი (51), 2:1 მ. ფრანტცი (54), 2:2 გინჩეკი (57)

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** კასტელსი - ბეკი, აბრაჰამი, ვესტერგაარდი, თესკერი - რუდი (65. შტრობლი), პოლანსკი (86. სალიჰოვიჩი) - ფოლანდი, რობერტო ფირმინო, ელიუნუსი - მოდესტი (72. შიპლოკი)

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ფოილნერი, პ. ნილსონი, პოგატეცი, პინოლა - შტარკი, ბალიჩი (72. დაბანლი) - კიოტაკე, გებჰარტი (46. მ. ფრანტცი), მაკი (46. დრმიჩი) - გინჩეკი

**გაფრთხილება:** პოლანსკი - შტარკი, ბალიჩი, პოგატეცი, ფოილნერი

**კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 23-12 (11-8); **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 25 730

**აინტრახტი (ბ)–ვერდერი 0:1**

**გოლი:** 0:1 იუნუზოვიჩი (82)

**აინტრახტი (4-5-1):** პეტკოვიჩი - ელაბდელაუი, ბიჩაკჩიჩი, დოგანი (46. მარსელ კორეია), რაიხელი - კრუპკე, კრატცი (84. ოერლი), მ. კალიჯური (56. პოლანდი), თოიერკაუფი, ჰოხშაიდტი - ჯექსონი

**ვერდერი (4-3-2-1):** მილიტცი - ფრიტცი, პრიოდლი, კალდიროლა, გებრე სელასიე - ფ. კროოსი (81. ილდირიმი), მაკიადი (85. ლუკიმია), იუნუზოვიჩი - პეტერსენი, ექიჩი (62. ელია) - ჰანტი

**გაფრთხილება:** თოიერკაუფი - .

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13-12 (6-7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 23 000

**მაინცი–შტუტგარტი 3:2**

**გოლები:** 1:0 ნ. მიულერი (14), 1:1 იბიშევიჩი (16), 2:1 ოკაზაკი (65), 3:1 ნ. მიულერი (78), 3:2 ჰარნიკი (82)

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი - პოსპეხი, ბ. სვენსონი, ნოვესკი, პარკი - გაისი (90. ბუნგერტი), ბაუმგარტლინგერი - ოკაზაკი, ზიმლინგი (76. მორიტცი), ნ. მიულერი - პოლტერი (76. ჩუპო-მოტინგი)

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - შვააბი, ტასკი (21. რაუში), რიოკერი, გ. საკაი - გენტნერი, ბოკა - ჰარნიკი, ლაიტნერი (68. კაკაუ), ი. ტრაორე (83. აბდელაუე) - იბიშევიჩი

**გაფრთხილება:** პოლტერი - ულრაიხი, რიოკერი, ლაიტნერი, ბოკა

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 9-15 (7-7); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 30 279

**შალკე–ჰამბურგი 3:3**

**გოლები:** 1:0 ჰუნტელაარი (2), 1:1 ვან დერ ვაარტი (12), 1:2 ბაისტერი (24), 2:2 ჰუნტელაარი (45), 2:3 ლ. ზობიეხი (49), 3:3 სალაი (72)

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, მატიპი, ჰიოვედესი, ფუხსი - ნოიშტედტერი (58. სალაი), ჯოუნსი - ფარფანი, დრაქსლერი (23. გორეტცკა), კლემესი - ჰუნტელაარი

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - დიკმაიერი, ლ. ზობიეხი, ვესტერმანი, იანსენი - ბადელი (64. რინკონი), არსლანი - ბაისტერი (83. რუდნევსი), ვან დერ ვაარტი, ზუა - ჰაქან ჩალჰანოღლუ (74. აოგო)

**გაფრთხილება:** ფუხსი - ვან დერ ვაარტი, არსლანი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 19-16 (11-12); **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 61 973

**მომდევნო ტური**

**17 აგვისტო:** აინტრახტი-ბაიერნი; ფრაიბურგი-მაინცი; ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი; შტუტგარტი-ლევერკუზენი; ვერდერი-აუგსბურგი; ვოლფსბურგი-შალკე; გლადბახი-ჰანოვერი.

**18 აგვისტო:** ნიურნბერგი-ჰერტა; დორტმუნდი-ბრაუნშვაიგი.

**II ბუნდესლიგა. III ტური**

**ფორტუნა-მიუნხენ 1860 1:2**

**გოლები:** 0:1 ლაუთი (10), 1:1 ბენშოპი (38-პენ), 1:2 ტომასოვი (78)

**ფრანკფურტი-ბოხუმი 1:0**

**გოლი:** 1:0 ეპშტაინი (10)

**დინამო (დ)-უნიონი 1:3**

**გოლები:** 0:1 ბრანდი (23), 0:2 მატუშკა (25), 0:3 კრაილახი (37), 1:3 სუშაცი (73)

**პადერბორნი-კიოლნი 1:1**

**გოლები:** 1:0 კრიოშე (16), 1:1 პრჟიბილკო (90)

**ინგოლშტადტი-კარლსრუე 0:2**

**გოლები:** 0:1 მიცანსკი (59), 0:2 ალიბაზი (61)

**ზტ. პაული-არმინია 0:1**

**გოლი:** 0:1 ჰიუბნერი (68-პენ)

**ზანდჰაუზენი-კოტბუსი 2:2**

**გოლები:** 1:0 შაუერტე (10-პენ), 2:0 იოვანოვიჩი (22), 2:1 კრუსკა (30), 2:2 სანოგო (60)

**აუე-აალენი 0:1**

**გოლი:** 0:1 რაიხვაინი (44)

**12 აგვისტო**

**ფიურტი-კაიზერი 22:15**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| 2. ფიურტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3. კაიზერი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. მიუნხენ 1860 | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 5. აუე | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 6. კოტბუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-3 | 4 |
| 7. უნიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 8. ფორტუნა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 8. ბოხუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 10. ზტ. პაული | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 11. არმინია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 12. აალენი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 |
| 13. კიოლნი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 14. ფრანკფურტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 15. ზანდჰაუზენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 16. დინამო (დ) | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 17. პადერბორნი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| 18. ინგოლშტადტი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - სანოგო (კოტბუსი), სილვესტრი (აუე), ცოლერი (კაიზერსლაუტერნი)

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**


შალკე-ჰამბურგი დრამატული გამოდგა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### ჩემპიონშიპი

II ტური

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ნოტინგემი | 0:1 |
| ბლეკპული-ბარნსლი | 1:0 |
| ბოლტონი-რედინგი | 1:1 |
| ბრაიტონი-დერბი | 1:2 |
| ჩარლტონი-მიდლსბრო | 0:1 |
| ჰადერსფილდი-ქუინზ პარკი | 1:1 |
| იფსვიჩი-მილუოლი | 3:0 |
| უენსდი-ბარნლი | 1:2 |
| უოტფორდი-ბორნმუთი | 6:1 |
| იეოვილი-ბირმინგემი | 0:1 |
| ლესტერი-ლიდსი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ბლეკპული | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. ნოტინგემი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4. ბარნლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. რედინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. დერბი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ქუინზ პარკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8. ლესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. ლიდსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10. უიგანი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 11. იფსვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 12. მიდლსბრო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 13. ბირმინგემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 13. იეოვილი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 15. ბორნმუთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-7 | 3 |
| 16. ბოლტონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 17. ბლექბერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17. ჰადერსფილდ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 19. უენსდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 19. ბრაიტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 21. ჩარლტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 21. დონკასტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 23. მილუოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 24. ბარნსლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

### I ლიგა

II ტური

ბრედფორდი-კარლაილი 4:0; ბრენტფორდი-შეფილდი 3:1; კოლჩესტერი-პორტ ვეილი 1:0; ლეიტონი-შრიუსბერი 3:0; მილტონი-ქრიუ 1:0; ნოტსი-პიტერბრო 2:4; ოლდჰემი-უოლსოლი 0:1; როტერჰემი-პრესტონი 0:0; სუიდონი-სტევენიჯი 1:0; ტრანმერი-ქროული 3:3; ვულვზი-ჯილინგემი 4:0; ქოვენთრი-ბრისტოლი 5:4.

### II ლიგა

II ტური

აკრინგტონი-პორტსმუტი 2:2; უიმბლდონი-უიკომბი 1:0; როვერსი-სკანთორფი 0:0; ბარტონი-როჩდეილი 1:0; ჩესტერფილდი-ჩელტენემი 2:0; დაგენჰემი-იორკი 2:0; ჰარტლპული-საუთენდი 0:1; მენსფილდი-ექსეტერი 0:0; მორეკამბი-ტორკი 1:1; ნორთჰემპტონი-ნიუპორტი 3:1; ოქსფორდი-ბერი 2:1; პლიმუტი-ფლიტვუდი 0:2.

### ნასიონალი

I ტური

ბარნეტი-ჩესტერი 3:0; დარტფორდი-ალფრეტონი 1:0; ფორესტ გრინი-ჰაიდი 8:0; გრიმსბი-ალდერშოტი 1:1; ჰერეფორდი-ბრენტრი 1:1; კიდერმინსტერი-გეიტშიდი 3:1; მაკლსფილდი-ნანიტონი 0:1; სალისბერი-ტამუორტი 0:1; საუთპორტი-ლუტონი 1:0; უოკინგი-ლინკოლნი 0:0; რექსჰემი-უელინგი 2:1; კემბრიჯი-ჰალიფაქსი 5:1.

## იტალიის თასი

### II რაუნდი

| | |
|---|---|
| სავონა-პროპატრია | 4:2 დ.დ. |
| ჩეზენა-სან პიზრო | 4:1 |
| მოდენა-ფროზინონე | 0:1 |
| ნოვარა-გროსეტო | 3:0 |
| რეჯინა-კარპი | 1:0 |
| აველინო-მონცა | 1:0 |
| ბრეშა-ტერამო | 3:1 |
| ჩიტადელა-სავონა | 1:0 |
| ტრაპანი-ალბინოლეფე | 3:0 |
| ლანჩანო-ბენევენტო | 0:2 |
| ბარი-ლუმეცანე | 1:1 პენ. 4:3 |
| კროტონე-ლატინა | 2:0 |
| ემპოლი-ზუდტიროლი | 5:1 |
| იუვე სტაბია-გუბიო | 3:0 |
| პადოვა-ენტელა | 2:1 |
| პალერმო-კრემონეზე | 2:1 |
| პესკარა-პორდენონე | 1:0 |
| სიენა-პიზა | 4:1 |
| ტერნანა-ლეჩე | 2:4 დ.დ. |
| ვარეზე-ვიჩენცა | 1:0 |

## მექსიკა

V ტური

| | |
|---|---|
| კერეტარო-ხაგუარესი | 1:1 |
| ტიხუანა-პუმასი | 2:0 |
| კრუს ასული-გვადალახარა | 3:1 |
| ატლანტე-ამერიკა | 2:4 |
| ტიგრესი-მონტერეი | 3:1 |
| ლეონი-მორელია | 0:0 |
| ატლასი-პაჩუკა | 1:1 |
| პუებლა-ვერაკრუსი | 0:0 |
| ტოლუკა-ს. ლაგუნა | 2:2 |

## აშშ

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-სიეტლი | 1:2 |
| კოლამბუსი-ნიუ იორკი | 2:0 |
| ვანკუვერი-სან ხოსე | 2:0 |
| ფილადელფია-დი სი იუნაიტედი | 2:0 |
| ჩიკაგო-მონრეალი | 2:1 |
| კანზას სიტი-ნიუ ინგლენდი | 3:0 |
| სოლტ ლეიკი-ჰიუსტონი | 1:0 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

VII ტური

| | |
|---|---|
| ბაიერნ II-ინგოლშტადტი II | 4:1 |
| ილერტისენი-შალდინგი | 5:2 |
| აუგსბურგი II-ვიურცბურგერი | 0:1 |

### რეგიონალლიგა (ჩრ)

II ტური

| | |
|---|---|
| ჰამბურგი II-ჰანოვერი II | 1:3 |
| სტ. პაული II-ვილჰელმსჰავენი | 1:0 |
| ბრაუნშვაიგი II-ფლენსბურგი | 0:1 |
| აინტრახტი (ნ)-კლოპენბურგი | 2:2 |
| გოსლარერი-ვოლფსბურგი II | 1:1 |
| რედენი-ჰაველსე | 2:0 |
| მეპენი-ვერდერი II | 1:0 |
| ნოიმუნსტერი-ოლდენბურგი | 1:3 |
| აიხედი-ვიქტორია | 2:1 |

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

II ტური

| | |
|---|---|
| რატენოვი-ნოიშტრელიცი | 1:0 |
| უნიონ II-ჰაკერი | 3:1 |
| აუერბახი-ბაბელსბერგი | 0:3 |
| ბერლინერი-მაგდებურგი | 3:1 |
| კარლ ცაისი-ალაუენი | 4:2 |
| ცვიკაუ-ჰერტა II | 5:3 |
| გერმანია-ვიქტორია | 2:2 |
| ლოკომოტივი-მოისელვიცი | 1:3 |

### რეგიონალლიგა (დას)

III ტური

| | |
|---|---|
| გლადბახი II-ვიქტორია | 1:3 |
| ესენი-ლევერკუზენი II | 2:2 |
| შალკე II-ველბერტი | 4:0 |
| ლიპშტადტი-ალემანია | დღეს |

### რეგიონალლიგა (ს-დ)

III ტური

| | |
|---|---|
| ბაუნატალი-აინტრახტი II | 0:4 |
| პფიულენდორფი-კასელი | 2:2 |
| ვორმატია-ჰომბურგი | 1:1 |
| კობლენცი-ფრაიბურგი II | 1:1 |
| მანჰაიმი-მაინცი II | 0:4 |
| ცვაიბრიუკენი-ტრირი | 0:3 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

II ტური

| | |
|---|---|
| ანჟერსი-შატორუ | 1:0 |
| კა ბასტია-ნანსი | 1:2 |
| დიჟონი-ლანსი | 1:1 |
| ტრუა-არლი | 1:0 |
| ბრესტი-ისტრი | დღეს |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

II ტური

| | |
|---|---|
| მაასტრიხტი-ტვენტე II | 1:0 |
| ახილესი-დორდრეხტი | 1:4 |
| გრააფსხაპი-ალმერი | 1:0 |
| ვოლენდამი-სპარტა | 1:1 |
| პსვ II-ექსელსიორი | დღეს |

## ბელგია

III ტური

| | |
|---|---|
| ლიერსი-სერკლი | 1:1 |
| მონსი-შარლერუა | 1:2 |
| ოსტენდე-ლოკერენი | 1:1 |
| ვაასლანდი-მეხელენი | 0:0 |
| ბრიუგე-ვარეგემი | 1:1 |
| ანდერლეხტი-გენტი | 4:1 |
| გენკი-სტანდარდი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. ბრიუგე | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. ლოკერენი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-6 | 7 |
| 4. ვარეგემი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 5. ანდერლეხტი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-4 | 6 |
| 6. გენკი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| 7. კორტრიიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 8. შარლერუა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 9. გენტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 10. ვაასლანდი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 11. სერკლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-6 | 2 |
| 12. მონსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 13. მეხელენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 14. ჰევერლე | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 14. ოსტენდე | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 14. ლიერსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

### II დივიზიონი

II ტური

ვიზე-ბრიუსელი 0:2; გეელი-დესელი 1:2; მუსკრონი-ვოლუვე 2:1; ტუბეკე-ბორინაჟი 1:3; ვირტონი-სტ. ტრუიდენი 0:0; აალსტი-ჰუგსტრატენი 1:1; ეუპენი-რუზელარე 4:2; ჰაისტი-ანტვერპენი 2:7.

## ავსტრია

IV ტური

| | |
|---|---|
| პელეტსი-ვაკერი | 1:1 |
| ადმირა-შტურმი | 1:1 |
| რიდი-ვინერი | 1:1 |
| ზალცბურგი-გრიოდიგი | 4:1 |
| რაპიდი-აუსტრია | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 15-4 | 10 |
| 2. რაპიდი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-4 | 8 |
| 3. გრიოდიგი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| 4. ტიროლი | 4 | 1 | 3 | 0 | 6-5 | 6 |
| 5. რიდი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 6. აუსტრია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-8 | 5 |
| 7. ვინერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-11 | 4 |
| 8. პელეტსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| 9. შტურმი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-9 | 2 |
| 10. ადმირა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-12 | 1 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| მორეირენსე-ვიზეუ | 2:0 |
| ტროფენსე-ბენფიკა B | 0:0 |
| პორტიმონენსე-ფარენსე | 3:0 |
| მარიტიმუ B-კოვილია | 1:0 |
| ავეში-მადეირა | 0:2 |
| ბრაგა B-ტონდელა | 1:2 |
| ლეიქსოეში-ფეირენსე | 3:0 |
| პენაფიელი-ოლივეირენსე | 1:0 |
| სანტა კლარა-შავეში | 0:1 |
| ატლეტიკო-სპორტინგი B | 1:0 |
| ბეირა მარი-პორტუ B | დღეს |

## პორტუგალია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| პორტუ-გიმარაეში | 3:0 |

## შოტლანდია

II ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-ინვერნესი | 0:1 |
| როსი-პარტიკი | 1:3 |
| ჰარტსი-ჰიბერნიანი | 1:0 |
| კილმარნოკი-სტ. ჯონსტონი | 0:0 |
| მოზერველი-აბერდინი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინვერნესი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. აბერდინი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3. პარტიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 5. სელტიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6. მოზერველი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 7. კილმარნოკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 8. დანდი იუნ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 9. ჰიბერნიანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 10. როსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 11. სტ. მირენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 12. ჰარტსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | -12 |

### I დივიზიონი

I ტური

ალოა-ლივინგსტონი 1:0; დამბარტონი-ფალკირკი 1:1; მორტონი-კოუდენბითი 2:0; ქუინი-დანდი 4:3; რეითი-ჰემილტონი 0:1.

### II დივიზიონი

I ტური

რეინჯერსი-ბრეჩინი 4:1; არბროა-ეირი 0:3; ისტ ფაიფი-დანფერმლაინი 0:1; ფორფარი-ეირდრი 3:3; სტენჰაუზმური-სტრანრარი 1:0.

### III დივიზიონი

I ტური

კლაიდი-ბერუიკი 1:0; ელჯინი-ალბიონი 1:2; მონროუზი-სტირლინგი 1:2; პიტერჰედი-ანენი 2:2; ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი 1:3.

## დანია

IV ტური

| | |
|---|---|
| ესბიერგი-აგფ ორჰუსი | 5:1 |
| რანდერსი-მიდტიულანდი | 1:3 |
| ოლბორგი-ოდენსე | 0:0 |
| ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიდტიულანდ | 4 | 4 | 0 | 0 | 8-2 | 12 |
| 2. ესბიერგი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-3 | 9 |
| 3. ოლბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 4. ოდენსე | 4 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 6 |
| 5. აგფ ორჰუსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-8 | 6 |
| 6. რანდერსი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 7. სონდერიისკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 8. ვესტსიელანდ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 9. ვიბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 7-9 | 3 |
| 10. ბრონდბიუ | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 11. ნორდსილანდ | 4 | 0 | 2 | 2 | 4-9 | 2 |
| 12. კოპენჰაგენი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |

### II დივიზიონი

III ტური

ბრონსჰოი-ჰვიდოვრე 1:3; ლუნგბიუ-ვენდსისელი 3:1; კიოგე-ფრედერისია 1:3; აკადემისკი-ვეილე 1:3.

## ფინეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| იევიასკიულა-იარო | 0:0 |
| კუოპიო-მიუპა | 0:2 |
| ინტერი-ჰიკ | 1:1 |
| ჰონკა-ტურკუ | 2:1 |
| როვანიემი-მარიეჰამნი | 0:2 |
| ვაასა-ლაჰტი | 3:1 |

### II დივიზიონი

XX ტური

კაიაანი-ჰაკა 1:2; კოტკე-იიპო 0:0; ოპს-ილვესი 1:1; სეინაიოენი-ჰკ35 4:0; ოულუ-ვიიკინგიტი დღეს.

## ისლანდია

XV ტური

| | |
|---|---|
| რეიკიავიკი-ვესტმანაეიარი | 3:1 |
| ვიკინგური-ტორი | 1:1 |
| ჰაფნარი-ბრეიდაბლიკი | 0:0 |
| ფრამი-აკრანესი | 1:0 |
| ფილკირი-კეფლავიკი | 3:0 |
| ვალური-სტიარნანი | 1:1 |

## ირლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| სლიგო-ბრეი | 2:0 |

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ლონგფორდი-ეთლონი | 0:1 |

## ნორვეგია

XIX ტური

| | |
|---|---|
| სოგნდალი-მოლდე | 1:2 |
| ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 1:1 |
| ოლესუნდი-სარპსბორგი | 3:1 |
| ჰაუგესუნდი-ჰონეფოსი | 1:0 |
| სანდნესი-ტრომსიო | 2:1 |
| სტრიომსგოდსეტი-რუსენბორგი | 2:2 |
| ვოლერენგა-სტარტი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსენბორგი | 19 | 12 | 5 | 2 | 36-17 | 41 |
| 2. სტრიომსგოდ | 19 | 12 | 3 | 4 | 43-19 | 39 |
| 3. ოლესუნდი | 19 | 10 | 4 | 5 | 42-28 | 34 |
| 4. ვიკინგი | 19 | 8 | 7 | 4 | 25-19 | 31 |
| 5. ჰაუგესუნდი | 19 | 9 | 3 | 7 | 25-25 | 30 |
| 6. ბრანი | 19 | 8 | 3 | 8 | 29-29 | 27 |
| 7. ოდ გრენლან | 19 | 7 | 4 | 8 | 23-20 | 25 |
| 8. ვოლერენგა | 19 | 7 | 4 | 8 | 29-33 | 25 |
| 9. მოლდე | 19 | 6 | 6 | 7 | 29-27 | 24 |
| 10. ლილესტრიომ | 19 | 6 | 5 | 8 | 24-28 | 23 |
| 11. სოგნდალი | 19 | 5 | 8 | 6 | 25-30 | 23 |
| 12. სანდნესი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-33 | 22 |
| 13. ტრომსიო | 19 | 5 | 6 | 8 | 29-29 | 21 |
| 14. სტარტი | 19 | 4 | 6 | 9 | 25-38 | 18 |
| 15. სარპსბორგი | 19 | 4 | 5 | 10 | 25-42 | 17 |
| 16. ჰონეფოსი | 19 | 3 | 7 | 9 | 21-35 | 16 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

ბოდო გლიმტი-ბრინი 5:3; ჰამ კამი-ჰოდი 1:0; კრისტიანსუნდი-მიონდალენი 0:2; რანჰაიმი-კონგსვინგერი 5:1; სტრიომენი-სტაბეკი 2:3; ულ კისა-ფოლო 4:0; ფრედრიკსტადი-ვარდ ჰაუგესუნდი დღეს.

## ჩრ. ირლანდია

I ტური

| | |
|---|---|
| ბალინამალარდი-კრუზეიდერსი | 1:0 |
| ბალიმენა-გლენავონი | 3:6 |
| კლიფტონვილი-არდსი | 4:2 |
| გლენტორანი-კოლრეინი | 1:1 |
| პორტადაუნი-ლინფილდი | 1:1 |
| უორენპოინტი-დუნგანონი | 2:3 |

## შვედეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-იურგარდენი | 3:0 |
| ელფსბორგი-კალმარი | 1:0 |
| ატვიდაბერგი-ჰალმსტადი | 0:1 |
| გეფლე-მიალბიუ | 2:1 |
| ჰელსინგბორგი-ნორჩოპინგი | 0:0 |
| სირიანსკა-გიოტებორგი | 0:2 |
| ჰაკენი-ოსტერი | 0:2 |
| მალმიო-აიკ | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 19 | 11 | 5 | 3 | 40-15 | 38 |
| 2. მალმიო | 19 | 11 | 5 | 3 | 35-21 | 38 |
| 3. აიკ | 19 | 10 | 5 | 4 | 31-20 | 35 |
| 4. გიოტებორგი | 19 | 10 | 5 | 4 | 30-19 | 35 |
| 5. ელფსბორგი | 19 | 8 | 7 | 4 | 32-18 | 31 |
| 6. კალმარი | 19 | 8 | 7 | 4 | 22-15 | 31 |
| 7. ატვიდაბერგი | 19 | 8 | 4 | 7 | 23-20 | 28 |
| 8. ნორჩოპინგი | 18 | 7 | 5 | 6 | 27-27 | 26 |
| 9. მიალბიუ | 19 | 7 | 4 | 8 | 32-29 | 25 |
| 10. გეფლე | 19 | 4 | 9 | 6 | 22-28 | 21 |
| 11. ჰაკენი | 19 | 6 | 2 | 11 | 22-31 | 20 |
| 12. იურგორდენ | 18 | 5 | 4 | 9 | 14-31 | 19 |
| 13. ოსტერსი | 19 | 4 | 6 | 9 | 16-25 | 18 |
| 14. ბრომაპოიკარ | 19 | 4 | 6 | 9 | 21-36 | 18 |
| 15. ჰალმსტადი | 19 | 3 | 8 | 8 | 17-28 | 17 |
| 16. სირიანსკა | 19 | 2 | 4 | 13 | 14-35 | 10 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

დეგერფორსი-გაის 4:2; ოსტერსუნდი-ბრაგე 1:0; ვარბერგი-იონჩოპინგი 1:1; ლიუნგსკილე-ფალკენბერგი 3:1; ანგელჰოლმი-ლანდსკრონა დღეს; ვარნამო-ჰამარბიუ დღეს; იორგრიტე-ასირისკა დღეს; სუნდსვალი-ერებრო დღეს.

## შვეიცარია

V ტური

| | |
|---|---|
| არაუ-იანგ ბოიზი | 0:4 |
| გრასჰოპერსი-სიონი | 0:0 |
| სტ. გალენი-ლოზანა | 2:0 |
| თუნი-ლუცერნი | 1:1 |
| ბაზელი-ციურიხი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იანგ ბოიზი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-4 | 15 |
| 2. ლუცერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-7 | 10 |
| 3. გრასჰოპერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-3 | 9 |
| 4. ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| 5. სტ. გალენი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 6. ციურიხი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 7. თუნი | 5 | 1 | 2 | 2 | 10-11 | 5 |
| 8. არაუ | 5 | 1 | 1 | 3 | 9-15 | 4 |
| 9. სიონი | 5 | 0 | 2 | 3 | 0-4 | 2 |
| 10. ლოზანა | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

### ჩელენჯლიგა

V ტური

ბილი-ვოლენი 6:2; ლოკარნო-ვილი 0:3; ვადუცი-ვინტერტური 4:0; ლუგანო-კიასო 0:0; შაფჰაუზენი-სერვეტი დღეს.

## თურქეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ფენერბაჰჩე | 1:0 დ.დ. |

## ბელარუსი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბელშინა-ტორპედო | 1:3 |
| დინამო (ბრ)-დნეპრი | 2:0 |
| ნემანი-გომელი | 2:0 |
| ბატე-შახტიორი | 4:0 |
| სლავია-დინამო (მნ) | 3:2 |
| მინსკი-ნაფტანი | დღეს |

## ბოსნია

III ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი-ბორაცი | 1:1 |
| ველეჟი-ლეოტარი | 3:0 |
| ჟელეზნიჩარი? ჟვიეზდა-კრუპა | |

| | |
|---|---|
| ჟვიეზდა-ჭრინსკი | 0:3 |
| რუდარი-სლავია | 0:1 |
| ვიტეზი-ჟელეზნიჩარი | 0:1 |
| მლადოსტი-სელიკი | 0:0 |
| ტრავნიკი-რადნიკი | 2:2 |
| სარაევო-შიროკი ბრიეგი | 1:2 |

## ბულგარეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| ჩერნო მორე-ლოკომოტივი (პ) | 1:0 |
| პირინი-ლიტექსი | 1:5 |
| ლუდოგორეცი-ცსკა | 3:0 |
| ბოტევი-ლიუბიმეცი | 1:2 |
| ლევსკი-ბეროე | 0:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ჩერნომორეცი | დღეს |

## ხორვატია

V ტური

| | |
|---|---|
| სპლიტი-ზადარი | 1:3 |
| სლავენი-ისტრა | 2:2 |
| დრაგოვოლიაცი-დინამო | 1:1 |
| რიეკა-ოსიეკი | დღეს |

## ჩეხეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| სლოვაცკო-ბოლესლავი | 0:2 |
| პრშიბრამი-ბრნო | 2:1 |
| სიგმა-ტეპლიცე | 2:2 |
| სპარტა-ბოჰემიანსი | 2:1 |
| ლიბერეცი-იჰლავა | 1:0 |
| ზნოიმო-პლზენი | 0:1 |
| ბანიკი-იაბლონეცი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| 2. სპარტა | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 3. ლიბერეცი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-6 | 9 |
| 4. ტეპლიცე | 4 | 2 | 2 | 0 | 7-5 | 8 |
| 5. ბოლესლავი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| 6. დუკლა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-4 | 4 |
| 7. ბრნო | 4 | 1 | 1 | 2 | 7-6 | 4 |
| 8. იაბლონეცი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 9. სლავია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 10. პრშიბრამი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 11. ბანიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| 12. სიგმა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-10 | 4 |
| 13. იჰლავა | 4 | 1 | 0 | 3 | 6-7 | 3 |
| 14. სლოვაცკო | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 15. ბოჰემიანსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-12 | 3 |
| 16. ზნოიმო | 4 | 0 | 2 | 2 | 1-6 | 2 |

### II დივიზიონი

III ტური

ბოჰემიანსი-ლოკო 3:0; სოკოლოვი-ჟიჟკოვი 1:2; უსტი-ტრშინეცი 3:1; ვლაშიმი-პარდუბიცე 1:0; ფრიდეკი-კარვინა 4:1; მოსტი-ყლინი 2:0; ჰრადეცი-ტაბორსკო 0:2; სლოვანი-ბუდეიოვიცე 0:0.

## ესტონეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| კალიუ-ტრანს ნარვა | 3:1 |
| ინფონეტი-ტალინა | 0:1 |

## უნგრეთი

III ტური

| | |
|---|---|
| კეჩკემეტი-მეზოკოვეშდი | 2:6 |
| ლომბარდი-კაპოშვარი | 1:0 |
| პაკში-პუშკაში | 4:1 |
| დიოში-ფერენცვაროში | 1:2 |
| დებრეცენი-დიოშდიორი | 4:0 |
| ვიდეოტონი-პეჩი | 5:1 |
| უიპეშტი-ჰონვედი | 1:1 |

## ლატვია

XVI ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგსი-სკონტო | 0:5 |
| დაუგავა (დ)-იურმალა | 1:0 |

## ლიტვა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| კრუოია-ბანგა | 1:0 |
| ეკრანასი-სუდუვა | 1:3 |
| დაინავა-ჟალგირისი | დღეს |

## მაკედონია

II ტური

| | |
|---|---|
| რაბოტნიჩკი-მაკედონია | 1:0 |
| ბრეგალნიცა-შკენდია | 1:1 |
| გორნო-ვარდარი | 2:2 |
| ტურნოვო-ნაპრედოკი | 4:0 |
| მეტალურგსი-გოსტივარი | 4:0 |
| რენოვა-პელისტერი | 1:2 |

## მოლდოვა

II ტური

| | |
|---|---|
| სპერანცა-დინამო | 1:1 |
| აკადემია-ზიმბრუ | 0:3 |
| დაჩია-ვერისი | 3:1 |
| მილსამი-ტირასპოლი | 0:1 |
| შერიფი-ცსკა | 2:0 |

## სერბეთი

I ტური

| | |
|---|---|
| სლობოდა-სპარტაკი | 1:1 |
| ოფკ-ჰაიდუკი | 1:0 |
| რადი-ჩუკარიჩკი | 0:1 |
| პარტიზანი-ნოვი პაზარი | 4:3 |
| იაგოდინა-ნაპრედაკი | 0:2 |
| რადნიჩკი (ნ)-რადნიჩკი | 2:0 |
| იავორი-ცრ. ზვეზდა | 4:2 |
| ვოივოდინა-დონი შრემი | 0:0 |

## ჩერნოგორია

I ტური

| | |
|---|---|
| გრბალი-მოგრენი | 0:1 |
| პეტროვაცი-დეჩიჩი | 0:0 |
| რუდარი-სელიკი | 1:2 |
| სუტიესკა-მორნარი | 2:0 |
| ზეტა-ლოვჩენი | 1:0 |
| ბუდუჩნოსტი-მლადოსტი | 1:1 |

## პოლონეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| ვიძევი-გურნიკი | 0:3 |
| ლეხია-კრაკოვია | 3:1 |
| რუხი-ლეგია | 2:1 |
| პოგონი-შლიონსკი | 2:2 |
| ლეხი-კორონა | 2:0 |
| პიასტი-ზავიშა | დღეს |

## რუმინეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| რაპიდი-კორონა | 1:0 |
| სეჯეატა-პოლი ტიმიშოარა | 1:2 |
| კლუჟი-ვიიტორული | 2:1 |
| ოტელული-პეტროლული | 1:2 |
| ასტრა-უნივერსიტატეა | 3:1 |
| ჩახლაული-პანდური | 1:0 |
| დინამო-სტიაუა | 1:2 |
| გაზ მეთანი-ვასლუი | დღეს |

## სლოვაკეთი

V ტური

| | |
|---|---|
| რუჟომბეროკი-ტრნავა | 3:2 |
| მორავცე-ბისტრიცა | 0:0 |
| მიიავა-შენიცა | 2:2 |
| კოშიცე-სლოვანი | 0:1 |
| ტრენჩინი-დ. სტრედა | 6:0 |
| ჟილინა-ნიტრა | 4:4 |

## სლოვენია

V ტური

| | |
|---|---|
| ტრიგლავი-კოპერი | 0:3 |
| პუბლიკუმი-ოლიმპია | 2:3 |
| გორიცა-რუდარი | 1:1 |
| მარიბორი-კრკა | 3:0 |
| დომჟალე-ზავრჩი | 1:1 |

## უკრაინა

V ტური

| | |
|---|---|
| ვორსკლა-ილიჩივეცი | 1:0 |
| კარპატი-ზორია | 0:0 |
| ტავრია-შახტარი | 0:4 |
| მეტალისტი-ვოლინი | 4:0 |
| დნიპრო-გოვერლა | 1:0 |
| მეტალურგი (დ)-არსენალი | 2:0 |
| დინამო-ჩერნომორეცი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-2 | 15 |
| 2. მეტალისტი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| 3. დნიპრო | 5 | 4 | 0 | 1 | 10-4 | 12 |
| 4. ზორია | 5 | 2 | 3 | 0 | 7-3 | 9 |
| 5. ვორსკლა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 6. ჩერნომორეცი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 7. მეტალურ (დ) | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 8. დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 9. მეტალურ (ზ) | 5 | 1 | 3 | 1 | 6-4 | 6 |
| 10. სევასტოპოლი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 11. გოვერლა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 12. ილიჩივეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 12. არსენალი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 14. ვოლინი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-11 | 4 |
| 15. კარპატი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-6 | 3 |
| 16. ტავრია | 5 | 0 | 0 | 5 | 1-11 | 0 |

## ბრაზილია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-გოიაში | 1:1 |
| ნაუტიკო-ატ. მინეირო | 0:0 |
| კორინთიანსი-ვიტორია | 2:0 |
| კორიტიბა-ვასკო და გამა | 0:1 |
| კრუზეირო-სანტოსი | 0:0 |
| ფლუმინენსე-ფლამენგო | 2:3 |

## ჩილე

III ტური

| | |
|---|---|
| უნ. დე ჩილე-კობრესალი | 3:0 |
| უნ. კატოლიკა-უნ. კონსეპსიონი | 1:1 |
| პალესტინო-ს. უონდერერსი | 2:2 |
| ევერტონი-რეინჯერსი | 3:1 |
| აუდაქსი-ო'ჰიგინსი | 1:1 |
| ანტოფაგასტა-კოლო კოლო | 1:1 |
| დეპ. იკიკე-უნ. ესპანიოლა | 2:1 |
| ლა კალერა-ატ. ნუბლენსე | 2:1 |

## იაპონია

XX ტური

| | |
|---|---|
| შიმიცუ-ომიანი | 3:1 |
| კოფუ-ნიიგატა | 1:1 |
| კავასაკი-ტოკიო | 2:2 |
| ნაგოია-ურავა | 2:0 |
| ოიტა-კაშივა | 0:0 |
| ომიია-სერეზო | 0:3 |
| ჰიროშიმა-ივატა | 2:1 |
| ვეგალტა-კაშიმა | 2:1 |
| იოკოჰამა-ტოსუ | 2:1 |

## კორეა

XXII ტური

| | |
|---|---|
| განგვონი-ჯეჯუ | 0:4 |
| ულსანი-ჯეონბუკი | 2:2 |
| ინჩეონი-სეული | 2:3 |
| დაეჯეონი-პოჰანგი | 0:1 |
| ჩუნამი-დაეგუ | 1:1 |
| გიეონგნამი-სუვონი | 0:3 |
| სეონგნამი-ბუსანი | 1:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მსოფლიოს პირველობა ჭაბუკებში

# ვერცხლის დასასრული

მაიამიში, ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე შაბათ-კვირის ქართული მონაგარი მხოლოდ ერთი ვერცხლი აღმოჩნდა, რომელსაც **თამაზ კირაკოზაშვილი** (73) დაეუფლა. ამდენად, ეს პრესტიჟულ ტურნირში ჩვენი მონაგარი 1 ოქრო და 3 ვერცხლია. აქედან ერთი ვერცხლი გოგონათა ნაკრების მონაგარია - **გია თენაძის** შეგირდთაგან ვიცე-ჩემპიონი **მარიამ ჯანაშვილი** (52) გახდა, **ირაკლი ცირეკიძის** გუნდიდან კი ოქროს მედალი **კობა მჭედლიშვილმა** (66) მოიპოვა, ხოლო კირაკოზაშვილის გარდა, ვერცხლს **რობინზონ ბეგლარიშვილიც** (50) დაეუფლა. საერთო გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილზე გავედით, ბიჭების ნაკრები კი მესამეა.

კირაკოზაშვილი ევროპის შარშანწინდელი ვიცე-ჩემპიონია (ოღონდ, მაშინ 66 კილოგრამში ჭიდაობდა), წლეულს კი ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ვერცხლი, ხოლო ევროპის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა. მაიამიში მისი ბედი უცნაურად ჯებმა თავიდან იუკოდ შეაფასეს, თუმცა მალევე გააუქმეს. ვფიქრობთ, მათი გადაწყვეტილება ფრიად საეჭვოა, რამაც ცირეკიძეს კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი შეგირდი დააკარგვინა - ამის შემდეგ ყველაფერი რამაზანოვის იპონით დასრულდა. უნდა ითქვას, რომ ის ამჯერად ევროპის პირველობასთან შედარებით ბევრად უკეთ იყო მომზადებული.

მარცხის მიუხედავად, კირაკოზაშვილმა წლევანდელი სეზონი მაინც წარმატებით ჩაამთავრა - სამივე უმთავრეს ტურნირში იჭიდავა და ყველგან მედალი მოიპოვა. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ ამ სამიდან არც ერთი არაა ოქრო.

სამწუხაროდ, სხვა ქართველებმა ამ უქმეებზე თავი ვერაფრით გამოიჩინეს. გოგონებში ბოლო მონაწილე **ხატია ჯანაშვილი** (63) პირველივე პაექრობაში დამარცხდა კოლუმბიელ **ბრიგიტა კარაბალისთან**; ოლიმპიური ფესტივალის ვიცე-ჩემპიონმა **იესო კვირიკაშვილმა** (81) პირველ წრეში ყირგიზი **ელამან აბდიქე**-



თამაზ კირაკოზაშვილი (მუქ კიმონოში), ოლიმპიური ფესტივალის მსგავსად, მსოფლიოს ჩემპიონატზეც მეორეა

წარიმართა - ვისთანაც ტალინში, ევროპის ჩემპიონატზე წააგო, ახლა მასთან გაიმარჯვა, ხოლო ვისაც მაშინ მოუგო, ამჯერად იმასთან დამარცხდა. ესტონეთში მან მეოთხედფინალი დათმო რუსთა მომავალ ევროპის ჩემპიონ **რუსლან გოდიზოვთან**, რომელიც ახლა ნახევარფინალში დამაჯერებლად დააიპონა; ტალინში მეორე რუსს, **ზაურ რამაზანოვს**, დამამშვიდებელში მოუგო, ამჯერად კი მასთან ფინალში წააგო.

კირაკოზაშვილმა ქვეჯგუფი დამაჯერებლად მოიგო. შეიძლება ითქვას, უპრობლემოდ გავიდა ფინალში, რადგან ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია - ფინალამდე 5 შეხვედრიდან 4-ში იპონით იმარჯვა. თუმცა იყო ერთი შეხვედრა - პირველივე წრეში, უკრაინის სახელით მოასპარეზე **რევაზ მესაბლიშვილთან**, სადაც კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდა - ვაზარით აგებდა, მაგრამ დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე იპონი მიითვალა. ვენესუელელ **ხესუს რივასსა** და ფინელ **ოსკარ თვაურს** (ამას ევროპის პირველობაზეც მოუგო) უფრო იოლად აჯობა. ჰოლანდიელ **კევინ ბეკერთან** სუფთად არ მოუგია, ვაზარით დაამარცხა, თუმცა კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა - ორჯერ გააფრთხილებინა და ორი იუკოც აართვა.

ამის შემდეგ კირაკოზაშვილმა გოდიზოვსაც გადაუარბინა, ფინალში კი რამაზანოვთან ვერაფერს გახდა, თუმცა ეს შეხვედრა დამატებით დროში გაგრძელდა. ძირითადში ფალავნებმა მხოლოდ თითო გაფრთხილება მიალებინეს ერთმანეთს. დამატებითის 20-ე წამზე ფრიად საეჭვო ვითარება შეიქმნა, რომელიც ჩვენს საზარალოდ დასრულდა - კირაკოზაშვილმა ილეთი გააკეთა, რაც მსა**რიმოვი** კი დააიპონა, მაგრამ რუსმა **ტურპალ ტეპკაევმა** გაფრთხილებებით მოახსნევინა (სამჯერ ჩვენებურმაც გააფრთხილებინა, მაგრამ რუსი დამატებით იუკოსაც უგებდა), გუშინ კი ჩვენი გუნდის ბოლო მონაწილე, ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **დავით რამაზაშვილი** (90) ასევე პირველივე წრეში დამარცხდა არგენტინელ **მარტინ ოლივეირასთან**.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**73 კგ.** 1. ზაურ რამაზანოვი (რუსეთი); 2. **თამაზ კირაკოზაშვილი (საქართველო)**; 3. რუსლან გოდიზოვი (რუსეთი), არსო მილიჩი (ჩერნოგორია).

**81 კგ.** 1. ლუის განიონ კრიბერი (კანადა); 2. ფრანკ დე უიტი (ჰოლანდია); 3. მარკო ბუბანია (ავსტრია), მიხეილ იგოლნიკოვი (რუსეთი).

**90 კგ.** 1. კარლენ პალიანი; 2. შოთა ვანიევი (ორივე - რუსეთი); 3. რამინ საფავიე (ირანი), იოშიაკი შირაკავა (იაპონია).

**+ 90 კგ.** 1. ჰიოგა ოტა (იაპონია); 2. ჰარუნ სადიკოვიჩი (ბოსნია); 3. რუსლან შახბაზოვი (რუსეთი), მესიე კატანგა (საფრანგეთი).

**გოგონები**

**57 კგ.** 1. ჯენიფერ შვილე (გერმანია); 2. კანა მურაკამი; 3. რინა ტაცუკავა (ორივე - იაპონია), სარა ჰარაჩი (საფრანგეთი).

**63 კგ.** 1. ზაბინა გერშაკი (უნგრეთი); 2. ინეს პრევოტი (საფრანგეთი); 3. ლისა მულენბერგი (ჰოლანდია), ლუბიანა პიოვესანა (დიდი ბრიტანეთი).

**70 კგ.** 1. ევა მარიე განიე (საფრანგეთი); 2. მაკო ენდა (იაპონია); 3. სოფიე ბერგერი (ბელგია), ბრიგიტა მატიჩი (ხორვატია).

**+70 კგ.** 1. გუსმარი გარსია სავინე (კუბა); 2. მორგანე დუჩე (საფრანგეთი); 3. სარა როდრიგესი (ესპანეთი), ვასილინა კირიჩენკო (უკრაინა).

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



ინგა ჭარხალაშვილი

# კავალას ორი ხელისუფალი

გასულ უქმეებზე ელადურ კავალაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ორი ტურის პარტიები გათამაშდა. შაბათს **ნინო ბაციაშვილი** ალექსანდრა დიმიტრიევიჩს (ბოსნია) დაუზავდა, **ინგა ჭარხალაშვილმა** კი ხრისტოს ალექსიადისთან (საბერძნეთი) გაიყო ქულა. ლიდერთაგან თამირ ნაბათიმ (ისრაელი) ანტონიოს პავლიდისი (საბერძნეთი) დაამარცხა და 5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა, რადგან ოთხქულიანი ათანასიოს მასტროვასილისი (საბერძნეთი) - დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა) და ბურკა ფირატი (თურქეთი) - სანტოშ ვიდითი (ინდოეთი) დაზავდნენ.

გუშინ მე-7 ტურში მეწინავეთა პარტიები ასე დასრულდა: დმიტრი სვეტუშკინი - თამირ ნაბათი 0.5:0.5, ალექსანდრ ხარიტონოვი (რუსეთი) - დიმიტრიოს მასტროვასილისი (საბერძნეთი) 0,5:0,5, ვლადისლავ ნევედნიჩი (რუმინეთი) - ბურაკ ფირატი (თურქეთი) 1:0, სანტოშ ვიდითი - ათანასიოს მასტროვასილისი 0,5:0,5. ნინო ბაციაშვილმა თეთრი ფიგურებით სტავრულა ცოლაკიდუ (საბერძნეთი) დაამარცხა, ხოლო ინგა ჭარხალაშვილმა მელიჰ იუსევენს (თურქეთ) აჯობა.

შვიდი ტურის შემდეგ 5.5-5.5 ქულით ნაბათი და ნევედნიჩი დაწინაურდნენ, რვა მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს, მათ შორის ბაციაშვილს, რომელიც დღეს შავი ფიგურებით ათანასიოს მასტროვასილისს დაუპირისპირდება, 4,5-ქულიანი ჭარხალაშვილი კი ბურაკ ფირატს გაუწევს მეტოქეობას, ხოლო ლიდერები - ნაბათი და ნევედნიჩი ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

დებიუტანტი



# ნუგზარ გოგოლიძე

**ჭადრაკი**

**დაბადებადა** ქ. საჩხერეში, 1998 წ. 24. 07

**სწავლობს** საჩხერის მეორე საჯარო სკოლის X კლასში

**ჭადრაკში** ვარჯიშობს 2007 წლიდან მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში

**პირველი მწვრთნელი** - ნუგზარ გოგოლიძე

**ამჟამინდელი მწვრთნელი** - თამარ ხმიადაშვილი

**მიღწევები:** საჩხერის 2011-2012-2013 წლების ჩემოპიონი დიდებში, შესრულებული აქვს სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმა.

**ოცნება:** მსოფლიოს ჩემპიონობა

**კერპი ჭადრაკში:** ბობი ფიშერი

**სხვა გატაცება:** წიგნების კითხვა

**თამაზ ლაშხი**

ჩოგბურთი

# საავსტრალიო ნიშნულს უახლოვდება

**შოთა მეფარიძე** ცნობილი ქართველი ჩოგბურთელისა და სპორტის ამ სახეობის დიდი ენთუზიასტის - **გურამ თოხაძის** შვილიშვილია. სწორედ სახელოვანი ბაბუის მეშვეობით ეზიარა ჩოგბურთს, რამდენიმე წელიწადია, დეიდა - **ეკა თოხაძე** ავარჯიშებს. 17 წლის ყმაწვილმა წლეულს 18-წლამდელთა შეჯიბრებებში იყოჩაღა: ერთეულთა თანრიგში თანატოლთა შორის ეგვიპტის საერთაშორისო ტურნირი მოიგო და 60 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. იქვე **ალექსანდრე ბაკშისთან** ერთად წყვილებშიც ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაშიც პირველი იყო როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში (იქაც ბაკშისთან შეამხანაგებული). მართალია, ავსტრიაში პირველი კატეგორიის ასპარეზობაში მხოლოდ მეოთხედფინალს უწია, მაგრამ 60 ქულა მაინც ერგო.

აქვს და რითაც შეეძლება, ქართველ დევნილებს ეხმარება. ძალიან გამახარა შოთას გამარჯვებამ. იგი ამჟამად თანატოლთა შორის მსოფლიო რეიტინგით 72-ეა. ერევანში აღებული 20 ქულა რამდენიმე ადგილით წინ წასწევს. ისევ სომხეთის დედაქალაქში დარჩა და 18-წლამდელთა ახალ ტურნირში ჩაებმება. ქულები გვინდა, რათა წლის ბოლომდე რეიტინგით 64 საუკეთესოში შევიდეს და გაისად ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე 18-წლამდელთა ძირითად ბადეში მოხვდეს.

**- პროფესიონალებში გადასვლას არ ფიქრობთ?**

- უფროსების უკვე რამდენიმე შეჯიბრებაში მოსინჯა ძალები. გაზაფხულზე დევისის თასზე იყო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. 4 სექტემბრიდან თბილისის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 15.000 დო-



შოთა მეფარიძე და გურამ თოხაძე

და აი, მორიგი წარმატება: გუშინ ერევანში დამთავრდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. მეფარიძემ ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია, მათ შორის ნახევარფინალში რუსეთის სახელით მოთამაშე სვიატოსლავ შაჰინიანს - 6:1, 6:1, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში გერმანელ ფონინ ბროსკას აჯობა - 6:0, 6:4.

- შვილიშვილის წარმატება ერევნიდან პირველმა სვიატოსლავის მამამ - ბორის შაჰინიანმა მომილოცა. ის წარმოშობით თბილისელია. წლების განმავლობაში მე ვავარჯიშებდი ჩოგბურთში, - გვითხრა გურამ თოხაძემ. - ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს, მცირე ბიზნესი ლარი) ჩაებმება. თანატოლებში რამდენიმე შეჯიბრებაში გამოვა, საამისოდ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაც ხელს გვიწყობს. 2014 წელს ავსტრალიის ღია პირველობის გარდა, შოთა ზაფხულში, ალბათ, 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ოლიმპიადაზეც იასპარეზებს პეკინში როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში ბაკშისთან ერთად. ამ შეჯიბრების შემდეგ კი პროფესიონალებში გადაინაცვლებს.

ერევნის ახალ საერთაშორისო ტურნირში შოთა მეფარიძე დღეს ჩაებმება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

თარიღები და მოვლენები

## 12-15 აგვისტო

**12. 08. 1944.** დაიბადა **ომარ ფხაკაძე** - ველომრბოლი. გარდაიცვალა 1993 წელს

**12. 08. 1958.** დაიბადა **დავით ბაგაური** - თ\ჭიდაობა

**12. 08. 1960.** დაიბადა **გიორგი მშვენიერაძე** – წყალბურთი

**12. 08. 1964.** დაიბადა **გოჩა გოგრიჭიანი** - ფეხბურთი

**12. 08. 1972.** დაიბადა **გურამ მჭედლიძე** – თ\ჭიდაობა

**14. 08. 1977.** დაიბადა **ბესიკ ხამაშურიძე** - რაგბი

**14. 08. 1987.** დაიბადა **სოსო ჯაბიძე** - ბ\რ ჭიდაობა

**14. 08. 1988.** დაიბადა **მერაბ თურქაძე** - კრივი

**14. 08. 2010. კალათბურთი:** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა ბულგარეთის გუნდი - 83:79

**14-15. 08. 2010. ბ\რ ჭიდაობა.** ვარშავაში კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე **კუკური კირცხალიამ** და **ლაშა გობაძემ** ვერცხლის, **რამაზ ზოიძემ, ედნარ შავაძემ** და **შმაგი ბოლქვაძემ** ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს

**14. 08. 2011. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიის ოთხთა ტურნირი მოიგო

**14. 08. 2011. რაგბი.** საქართველოს ნაკრებმა საკონტროლო მატჩში ფრანგული „ორიაკი" 28:24 დაამარცხა

**15. 08. 1960.** დაიბადა **ირინა გაბაშვილი** – მხატვრული ტანვარჯიში გარდაიცვალა 2008 წელს

**15. 08. 1971.** დაიბადა **მუხრან გოგია** - ძალოსნობა

**12. 08. 2012. ოლიმპიადა.** თავისუფალი ჭიდაობაში **გიორგი გოგშელიძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

**12-13. 08. 2012.** ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასზე ქართველებმა 7 მედალი და გუნდური პირველი ადგილი დაიმსახურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზარი

# ამის დროა წინასაევრობასკეტოდ?!



ევროპის ჩემპიონატი, რომლისთვისაც საქართველოს ნაკრები აქტიურად ემზადება, 4 სექტემბერს დაიწყება. ზუსტად 25 დღით ადრე საკალათბურთო საზოგადოებაში დიდი ბზარი გაჩნდა, რაც ფედერაციის დათქმულმა ყრილობამ კიდევ უფრო გააღრმავა. ერთი მხარის თქმით, ყრილობა ჩატარდა, მეორის მტკიცებით - არა. ისღა დაგვრჩენია მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით და დასკვნები თავად მკითხველმა გამოიტანოს.

■ ■ ■

შაბათს, 10 აგვისტოს 14 საათისთვის საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა უნდა გამართულიყო, რომლის მთავარი მიზანი ახლად შექმნილი წესდების განხილვა და დამტკიცება უნდა ყოფილიყო. ყრილობაზე გამოცხადდა 31 დელეგატი (32-დან), მაგრამ...

კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, გამგეობის წევრმა **მერაბ რატიშვილმა** გამგეობის გადაწყვეტილება გაგვაცნო:

- საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის წინა დღეებში განხორციელდა გაუგონარი ზეწოლა ყრილობის დელეგატებზე სხვადასხვა თანამდებობის პირთა და ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირის“ მხრიდან. ყრილობისთვის მიუღებელი და აუტანელი გარემოს შექმნის გამო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობა გადაიდო.

ამის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი,** გამგეობის სხვა წევრები და დელეგატთა ერთი ნაწილი დარბაზიდან გავიდა.

■ ■ ■

ცხადია, ყველას აინტერესებს კონკრეტული ფაქტები, რა სახის ზეწოლა იყო. თუმცა ამაზე მოგვიანებით, აკი ვთქვით, მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა მივყვეთ. დარბაზში დარჩენილებს იურისტმა შეახსენა, რომ თუ კვორუმი შედგებოდა, ყრილობა შეიძლებოდა ლეგიტიმურად გაგრძელებულიყო. დარბაზში 18 დელეგატი აღმოჩნდა და ყრილობა გაგრძელდა (ლეგიტიმური იყო, თუ არა ეს სხვა სტრუქტურამ უნდა დაადასტუროს, ჩვენი საქმეა მკითხველს შაბათის მოვლენების რეპორტაჟი შევთავაზოთ).

სიტყვა ითხოვა თბილისის „დინამოს“ წარმომადგენელმა **გვანცა ომიაძემ:**

- მინდოდა ნიკოლოზ დერიუგინის წერილი გამგეობის წევრების თანდასწრებით წამეკითხა, მაგრამ რადგან ამის საშუალება არ მომეცა, თქვენ გაგაცნობთ. ბატონმა ნიკოლოზმა გამგეობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

„თბილისის კალათბურთის ფედერაციის“ დელეგატმა **ირაკლი ხოშტარიამ** განაცხადა:

- რაც შეეხება ზეწოლის ფაქტს, ეს არის ჩემთვის შეურაცხყოფა, იმიტომ, რომ როცა ადამიანი რაღაცას ამბობს, არგუმენტირებული უნდა იყოს, უნდა დაასაბუთოს. შეგიძლიათ ყრილობის თითოეულ დელეგატს ჰკითხოთ, ხორციელდებოდა თუ არა მათზე ზეწოლა.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც კალათბურთის ფედერაციის ახალ წესდებაში სპორტის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებაზე იმუშავებს. ასევე შეთანხმდნენ, რომ ახალი ჯგუფი იმუშავებს წესდებაში საპრეზიდენტო დროის განსაზღვრაზე - ერთ ადამიანს ორ ოთხწლიან ვადაზე მეტით პრეზიდენტობის უფლება არ უნდა ჰქონდესო.

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ ჯგუფმა ივლისში წესდების პროექტზე უკვე იმუშავა. მასში ფედერაციის, სპორტის სამინისტროსა და „კალათბურთელთა კავშირის“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. განხილვის შემდეგ სპორტის სამინისტრომ ფედერაციას რეკომენდაციის წერილი გაუგზავნა. როგორც „კალათბურთელთა კავშირში“ აცხადებენ, რეკომენდაციები ახალ წესდებაში არ იყო გათვალისწინებული.

მოკლედ, ყველა გზას არჩევნებთან მივყავართ - კალათბურთის ფედერაციის არჩევნები ოქტომბერში გაიმართება. მთავარი, რაზეც მხარეები ვერ თანხმდებიან, დელეგატთა რაოდენობაა. კალათბურთელთა კავშირი მოითხოვს, რომ 2013 წელს, დაახლოებით ორთვიან ვადაში შექმნილ ორგანიზაციებს არჩევნებში ხმის უფლება არ უნდა ჰქონდეთ.

■ ■ ■

ყრილობის დასრულების შემდეგ მივაკითხეთ კალათბურთის ფედერაციას, რათა პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანთან** უფრო დეტალურად გვესაუბრა თუნდაც ზეწოლის ფაქტებზე.

- ერთი კვირის განმავლობაში ყრილობის დელეგატებზე ზეწოლა არაერთხელ განხორციელდა. გაუგონარი რამ მოხდა წუხელ. რეგიონების წარმომადგენელ დელეგატებს იბარებდნენ მიშა ახვლედიანის („კალათბურთელთა კავშირის“ პრეზიდენტი) ოფისში, წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩევდნენ საერთოდ არ ჩამოსულიყვნენ ყრილობაზე. ამის შესახებ დელეგატებმა კალათბურთის ფედერაციას წერილობითაც მოგვმართეს. დღეს ერთ ფაქტს დავასახელებ: კახეთის რეგიონიდან, კერძოდ თელავის სასპორტო ორგანიზაციიდან ნოდარ იანქოშვილი იყო მოვლინებული. მოულოდნელად ვიღებთ წერილს, რომლის თანახმად ბატონი ნოდარი „კალათბურთელთა კავშირის“ წარმომადგენელმა დავით საყვარელიძემ შეცვალა. თავად განსაჯეთ რასთან გვაქვს საქმე.

როგორც კალათბურთის ფედერაციაში გვითხრეს, გამგეობა ორშაბათს შეიკრიბება და სწორედ ის მიიღებს ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიმართვის გადაწყვეტილებას.

■ ■ ■

ფედერაციის პრეზიდენტს სპორტის სამინისტროს რეკომენდაციებზეც ვკითხეთ. როგორც მან გვითხრა, წესდების განხილვისას ფედერაციას იურისტი **გოჩა სვანიძე** წარმოადგენდა.

- სამუშაო ჯგუფი ზოგ რამეზე შეთანხმდა, ზოგზე - ვერა. მიმდინარეობდა მსჯელობა 10 საკითხზე, რომელთაგან რვა მათი გავიდა. სპორტის სამინისტროს რეკომენდაციების 80 პროცენტი გათვალისწინებულ იქნა და წესდებაშიც ცვლილებები შევიდა.

■ ■ ■

დასაწყისშიც დავწერეთ, ერთი მხარის აზრით, შაბათს ჩატარებული ყრილობა, რომელსაც 18 დელეგატი ესწრებოდა, ლეგიტიმური იყოო. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამაზე ფედერაციაში: გამგეობამ გამოაცხადა - ყრილობა გადადებულიაო. თუ თვლიან, რომ ყრილობა მართლაც ჩატარდა, წავიდნენ და იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გაატარონ.

ახალ სამუშაო ჯგუფში ფედერაციის მხრიდან ორი ადამიანი, იურისტი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი მიიწვიეს. ბატონი მერაბი მოვლენებს ასე გამოეხმაურა:

- არ ვიცი რა სხდომა იყო და არც ის ვიცი, ვინ მიიღო გადაწყვეტილება. ყრილობა არ ჩატარებულა. ინფორმაცია არ მაქვს ახალ სამუშაო ჯგუფზე და რომც მქონდეს, გადაწყვეტილებებს პირადად არ ვიღებ, როგორც გამგეობის წევრი, ვემორჩილები კალათბურთის ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებას.

ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა დასძინა:

- ყველა უნდა შეეშვას კალათბურთის სამყაროს და დააცადოს არჩევნების მშვიდად ჩატარება. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს საკალათბურთო საზოგადოებამ. ამიტომ, ყველა, სამინისტრო იქნება, საკრებულო, გამგეობა თუ გუბერნია, კალათბურთის ოჯახში ხელები არ უნდა აფათუროს. თუ სურთ, მხარში დაუდგნენ კალათბურთს განვითარების საქმეში.

■ ■ ■

შაბათის მოვლენებს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი იმავე დღეს გამოეხმაურა:

- ორ მხარეს შორის დაპირისპირება არსებობს. ვცდილობთ ისინი ერთმანეთის გვერდით დავსვათ. გამოინახოს კომპრომისი, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ნორმალურ პირობებში ჩატარდეს. შექმნილ მდგომარეობაში, ვფიქრობ, ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# საგზურის შანსს ინარჩუნებენ

სარაევოში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) გრძელდება 16 წლის კალათბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობა B დივიზიონში. შეჯიბრებაში 22 ქვეყნის წარმომადგენლები უმაღლესი ეშელონის 3 საგზურისთვის იბრძვიან. უკვე მიიწურა ოთხი ტური. გასულ უქმეებზე **გია კაზანჯიანის** გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა. ზედიზედ ორი დასანანი მარცხის (ბოლო წუთებამდე ჩვენი ბიჭები ტურნირის ფავორიტ ჩეხებთან და უნგრელებთან შეხვედრებს იგებდნენ) შემდეგ შაბათს ქართველებმა ლუქსემბურგელი თანატოლები დაჯაბნეს.

**საქართველო-ლუქსემბურგი 83:39**

21:7, 29:16, 21:10, 12:6

**საქართველო:** ალიევი, კერესელიძე (არ უთამაშია), ქვარაია, გოგალაძე (3), ცქიფურიშვილი (15), აფხაზავა (3), ლომიძე (12), თვალაბეიშვილი (6), ცირეკიძე (13), გოგობერიშვილი (16), ისიანი (12), გიორგაძე (3).

**ლუქსემბურგი:** გოლბახი (15), მეიერი (7) და მარტინი (6).

ლუქსემბურგელებმა მე-2 ტურში ბელარუსი თანატოლები დაამარცხეს დამატებით დროში 67:61 (24:15, 7:12, 13:21, 11:7, 12:6), ამიტომ გათამაშების ცხრილში ქულით გვისწრებდნენ და მოედანზეც ოპტიმისტური განწყობით გავიდნენ, რაც ორთაბრძოლის პირველმა ხუთმა წუთმაც დაადასტურა: მატჩის მე-2 წუთზე ანგარიში ლომიძემ გახსნა. მარტინს წონასწორობის აღსადგენად 23 წამი დასჭირდა, შემდეგ კი მეიერმა თავისი გუნდი დააწინაურა, თუმცა ლუქსემბურგელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა - გია კაზანჯიანის შეგირდებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და წინ გავიდნენ. მე-5 წუთიდან, რაც ანგარიში გახდა 8:7 ქართველების სასარგებლოდ, მეოთხედის ბოლომდე ლუქსემბურგელებს ქულა არ აუღიათ, ჩვენებურებმა კი სხვაობა 14 ქულამდე გაზარდეს - 21:7. მეორე ათწუთიან მონაკვეთში საქართველოს ნაკრებმა 29 ქულას მოუყარა თავი, მეტოქე კი 16 ქულას დასჯერდა.

შესვენების შემდეგ პაექრობის სცენარი არ შეცვლილა - ქართველები ეფექტიანად უტევდნენ მეტოქის კალათს და საკუთარი საჯარიმოს მისადგომებსაც საიმედოდ იცავდნენ, ამიტომაც ლუქსემბურგის ნაკრებმა 20 წუთის განმავლობაში მხოლოდ 16 ქულის მოგროვება შეძლო, ჩვენმა გუნდმა კი - ორჯერ მეტისა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 83:39 გაიმარჯვა.

ჯგუფის დანარჩენი შეხვედრება ასე დასრულდა: ავსტრია - უნგრეთი 76:71 (16:10, 10:11, 27:27, 11:25, 12:7), ჩეხეთი - ბელარუსი 87:59 (28:19, 15:19, 28:5, 16:16).

გუშინ მე-4 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა.

**საქართველო-ბელარუსი 74:66**

25:18, 14:19, 21:19, 14:19

**საქართველო:** ალიევი, კერესელიძე (7), ქვარაია (4), გოგალაზე (10), ცქიფურიშვილი (1), აფხაზავა (4), ლომიძე (19), თვალაბეიშვილი (არ უთამაშია), ცირეკიძე (10), გოგობერიშვილი (2), ისიანი (15), გიორგაძე (2).

**ბელარუსი:** ლიუტიჩი (20), ბარისიონაკი (15), კუპცევიჩი (11).

სლავებთან მატჩში ქართველებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა: ლომიძემ ორი ზუსტი საჯარიმო ტყორცნით გახსნა ანგარიში, მერე ისიანმა ოთხი ქულა შესძინა გუნდს, კარგა ხანს ჩვენები 4-ქულიან სხვაობას ვერ გასცდნენ, მეტიც, მე-6 წუთზე ბელარუსები გავიდნენ წინ 12:11. ამის შემდეგ კაზანჯიანის გუნდმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და პირველი პერიოდი 7 ქულით მოიგო. მე-2 ათწუთიან მონაკვეთში ეს სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა. მე-3 პერიოდი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მე-6 წუთისთვის ანგარიშიც გათანაბრდა (52:52), მაგრამ ქართველმა კალათბურთელებმა 4-ქულიანი სხვაობა აღადგინეს. ბოლო 10 წუთს უნდა გაეცა პასუხი, ჩვენებურები მე-2 ეტაპზე გასვლისა და უმაღლეს ეშელონში გადასვლის შანსს შეინარჩუნებდნენ თუ არა (თუმცა ყველაფერი მხოლოდ მათზე არ იყო დამოკიდებული). საფინალო სასტვენამდე ბოლო ორ წუთში ქართველებმა ხელთ იგდეს ორთაბრძოლის სადავეები (განსაკუთრებით გოგალაძემ გამოიჩინა თავი - ზედიზედ 6 ქულა მოუტანა გუნდს) და შეხვედრაც სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს - 74:66.

გუშინ ჯგუფის მე-4 ტურის ორი შეხვედრაც ჩვენთვის სასურველი შედეგებით დასრულდა: ავსტრიელებმა ლუქსემბურგელებს მოუგეს - 56:27 (5:9, 17:6, 15:5, 19:6), ხოლო ერთპიროვნულმა ლიდერმა ჩეხეთმა უნგრეთი დაამარცხა - 70:56 (14:12, 17:12, 16:13, 23:19).




ოთხი ტურის შემდეგ: ჩეხეთი-8 (275:215), ავსტრია-7 (247:235), უნგრეთი-6 (281:259), საქართველო-6 (267:220), ლუქსემბურგი-5 (187:291), ბელარუსი-4 (237:294). როგორც ვხედავთ, ჩვენებურებს ჯგუფიდან გასასვლელად დღეს ავსტრიელებთან მატჩის 5-ქულიანი სხვაობით მოგებაც ჰყოფნით, რადგან საქართველოს, უნგრეთსა და ავსტრიას თანაბარი ქულები მოუგროვდებათ და ერთმანეთთან ნათამაშები შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით ჩვენი გუნდი მე-2 ეტაპზე საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

**D ჯგუფში** დღეს ითამაშებენ: ავსტრია-საქართველო, ჩეხეთი-ლუქსემბურგი, უნგრეთი-ბელარუსი.

**A ჯგუფი:** ფინეთი-8 (281:208), მაკედონია-7 (293:231), ესტონეთი-6 (243:248), პორტუგალია-6 (270:280), ბულგარეთი-5 (224:254), ნორვეგია-4 (176:273).

მაკედონია-ფინეთი, პორტუგალია-ნორვეგია, ბულგარეთი-ესტონეთი.

**B ჯგუფი:** ინგლისი-7 (270:241), სლოვენია-6 (232:192), რუმინეთი-5 (231:196), ირლანდია-3 (170:198), შვეიცარია-3 (156:232).

შვეიცარია-ირლანდია, რუმინეთი-სლოვენია.

**C ჯგუფი:** ბოსნია-6 (197:173), ჰოლანდია-6 (247:229), ისრაელი-5 (231:201), დანია-4 (220:209), სლოვაკეთი-3 (160:243).

დანია-სლოვაკეთი, ბოსნია-ისრაელი.

**ვაჟა დანელია**

ლეგიონერები

# ინგლისელებს ბდღვირი ადინეს

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის გათამაშება ელიტურ, პირველ დივიზიონში მომავალ უქმეებზე დაიწყება. შეჯიბრების პირველი ტურის წინ ქართველ მორაგბეთა გუნდებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრები გამართეს. მომავალი სეზონისთვის ასევე აქტიურად ემზადებიან მეორედივიზიონელებიც.**



მარცხნიდან მეორე მიხეილ ნარიაშვილი

ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, „ჰაინეკენის თასის" გამარჯვებულმა **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" ინგლისურ „გლოსტერს" უმასპინძლა და დამაჯერებლად მოუგო 42:17. ჩვენებურთა გუნდმა მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანა, აქედან ორი ინგლისელი ლეგიონერის **დელონ არმითიჯის** ანგარიშზეა.

„ტულონმა" მოსამზადებელი პერიოდი, შეიძლება ითქვას, რომ ნაყოფიერად გამოიყენა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ბერნარ ლაპორტმა** საქმეში თითქმის ყველა გამოსცადა. ტულონელებმა ყველა საკონტროლო შეხვედრა მოიგეს, თუმცა რამდენად მზად არიან ისინი საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისთვის რეალურად იბრძოლონ, პირველივე ტურის მატჩში გამოჩნდება, რომელშიც „ტულონი" სტუმრად დაუპირისპირდება **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს".

„გლოსტერთან" მატჩში თავიდან ბოლომდე ითამაშა საქართველოს ნაკრების მეორეხაზელმა კონსტანტინე მიქაუტაძემ, პირველხაზელი ლევან ჩილაჩავა განაცხადში არ იყო.

„მონპელიე" თავის მხრივ კიდევ ერთ ინგლისურ გუნდს, „ლესტერ ტაიგერზს" შვეიცარიაში, ჟენევაში დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით 52:15 დაამარცხა. მონპელიელებმა მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს, აქედან სამი **ლუკას დუპონმა**, ხოლო ორი **იოან არტრუმ** მიითვალა. **ფაბიენ გალტიეს** გუნდმა შესანიშნავი სანახაობა გაუმართა შვეიცარიელ მაყურებლებს, რომლებიც რაგბიში დიდად გათვითცნობიერებულნი არ არიან.

ნარიაშვილმა პირველ ტაიმში ითამაშა, გორგოძე ტრავმირებულია და გუნდს ოქტომბრის დასაწყისამდე ვერაფრით დაეხმარება.

საკმაოდ საინტერესო და უხვლელოიანი გამოდგა საფრანგეთის ჩემპიონის, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრის" დაპირისპირება ირლანდიურ „ქონოთთან", რომელშიც გამარჯვებას ჩვენებურის გუნდმა მიაღწია 43:31. ორივე გუნდმა ჯამში ათი ლელო გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ „ქონოთი" სულაც არ არის ირლანდიის საუკეთესო გუნდი. ამიტომ, მისგან ამდენი ქულის მიღება „კასტრის" მესვეურებისთვის დაფიქრების საბაბი უნდა გახდეს. როგორც ჩანს, კასტრელებს, მიუხედავად იმისა, რომ სამივე საკონტროლო მატჩი მოიგეს, დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვთ. ფეიქრიშვილს არ უთამაშია.

საფრანგეთის ჩემპიონატში პირველობის სერიოზული პრეტენზია ექნება **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგს", რომელიც სეზონის წინ საგრძნობლად მოღონიერდა. ამ გუნდს საკმაოდ მდიდარი მეპატრონე ჰყავს, რომელმაც ახალი სტადიონის მშენებლობა წამოიწყო. საგულისხმოა, რომ „მეტრო რასინგი" ყველაზე ძველი ფრანგული კლუბია და, მიუხედავად ამისა, მას თავისი სტადიონი არ გააჩნია.

პარიზელები საკონტროლო მატჩში ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, „ჰარლიქვინზს" ჟენევაში დაუხვდნენ და 40:28 დაამარცხეს. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ შეხვედრა დაძაბული და უხვლელოიანი გამოდგა. ხინჩაგიშვილს არ უთამაშია.

კიდევ ერთ ფრანგულ-ინგლისურ დაპირისპირებაში ისევ ფრანგებმა იმარჯვეს. **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" ლონდონის „ვოსფსს" 36:27 მოუგო. „ვულკანებისთვის" წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით მძიმე იქნება. ჩემპიონატში კონკურენცია იზრდება. ამასთან ერთად, მთავარი მწვრთნელი, ახალზელანდიელი **ვერნ კოტერი** გუნდს ბოლო სეზონში დამოძღვრავს, რის შემდეგაც შოტლანდიაში გადაბარგდება ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების თავკაცად. ზირაქაშვილმა ერთი კვირის წინათ გამართულ საკონტროლო მატჩში ტრავმა მიიღო და არ უთამაშია.

სავარაუდოდ, პირველ დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლა მოუწევს **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოს", რომელმაც ბოლო საკონტროლო შეხვედრაში სტუმრად წააგო ბასკურ „ბიარიცთან" - 15:22.

ასეთივე მიზანი ექნება, ალბათ, წლეულს ელიტაში დაბრუნებულ **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივს", რომელმაც მეორე დივიზიონის ბინადართან, **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელთან" გამართა შეხვედრა და 17:7 დაამარცხა. შველიძე თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო, ასეიშვილი განაცხადში არ იყო.

როგორც უკვე ვთქვით, საკონტროლო შეხვედრებს მეორედივიზიონელებიც მართავენ, რომლის გათამაშებაც სტარტს 31 აგვისტოს აიღებს. „ყველაზე ქართულმა" ფრანგულმა კლუბმა, **კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბიმ" არმან ვაკერენის სახელობის ტრადიციულ ტურნირში **ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკს" მოუგო - 30:21.

ალბელთა შემადგენლობაში მხოლოდ ვახტანგ მაისურაძემ და ალექსანდრე თოდუამ ითამაშეს, რომლებიც მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ. ორიაკლეთა რიგებში კი ორივე ქართველმა ძირითად შემადგენლობაში იასპარეზა.

წლეულს პირველ დივიზიონში აღზევების რეალური კანდიდატი იქნება **გურამ კავთიძისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონი", რომელმაც **თამაზ მჭედლიძის** „ბურგ ან ბრესს" მოუგო 35:6. კავთიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, კოლელიშვილი და მჭედლიძე განაცხადში არ იყვნენ.

**გიორგი ნემსაძის, ირაკლი მირცხულავასა** და **გიორგი ჩხაიძის** „ტარბმა" კელტთა ლიგაში მოასპარეზე იტალიურ „ზებრესთან" წააგო - 17:20. **თორნიკე ლომიძის** „ოში" კი, თანადივიზიონელ „პოსთან" ვერას გახდა - 7:28.

### საკონტროლო მატჩები

**ალბი-ორიაკი 30:21, ბურგ ან ბრესი-ლიონი 6:35, პო-ოში 28:7, კასტრი-ქონითი 43:31, ტარბი-ზებრე 17:20, ბიარიცი-ბორდო 22:15, ბრივი-ლა როშელი 17:7, კლერმონი-ვოსფსი 36:27, დაქსი-მონ დე მარსანი 15:14, ტულონი-გლოსტერი 42:17, მონპელიე-ლესტერ ტაიგერზი 52:15, მეტრო რასინგი-ჰარლიქვინზი 40:28.**

### 16 აგვისტო

**ბეზიე-ნარბონი, ორიაკი-ალბი, ოში-კარკასონი, ლიონი-ბურგუენი, ტარბი-კოლომიე, დაქსი-პო.**



ბურთით გურამ კავთიძე

ზერაგბი



დენ კარტერი

# დენ კარტერი შვებულებას ითხოვს

**ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზისა" და ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავი დენ კარტერი ხანგრძლივვადიან, ექვსთვიან შვებულებას ითხოვს. 31 წლის ახალზელანდიელმა, რომელიც თავის მე-11 სეზონს ატარებს პროფესიულ რაგბიში, დასასვენებლად ნოემბრის ტესტების შემდეგ წავა.**

**დენ კარტერმა**, რომელმაც ეროვნულ გუნდში 95 კეპი მოიხვეჭა, ასეთი გადაწყვეტილება **რიჩი მაქოას** ანალოგიურად მიიღო. მას ტრავმების საბოლოოდ მოშუშება და ძალების მოკრება სურს, რათა 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებას სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. ამრიგად, დენის მომავალი წლის ზე რაგბის გათამაშების მატჩების უმრავლესობისა და ივნისის ტესტების გამოტოვება მოუწევს.

*„რაგბის თამაში ძალიან მიყვარს. „კრუზეიდერზისა" და „ოლ ბლექსის" ბოლომდე ერთგული ვრჩები. მაგრამ. როცა ამდენი ხნის განმავლობაში თითქმის შეუსვენებლად თამაშობ, ორგანიზმი ილლება, რომ არაფერი ვთქვათ ტრავმებზე, რომელთა ნაიარევებიც სხეულზე სამუდამოდ აღიბეჭდება. მინდა ძალები ბოლომდე აღვიდგინო და კარიერა გავიხანგრძლივო.*

*საბოლოო ჯამში, მინდა 2015 წელს გასამართ მსოფლიოს თასზე ვიასპარეზო. ეს რომ მოვახერხო, სჭირდა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად საუკეთესო ფორმაში ვიყო"* - თქვა „ოლ ბლექსის" მგეზავმა დენ კარტერმა.

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავის გადაწყვეტილებას დაეთანხმა „კრუსეიდერზის" მთავარი მწვრთნელი **ტოდ ბლეკედერი**:

*„ცხადია, „კრუსეიდერზისთვის" კარტერის არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება. თუმცა, ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ მის გადაწყვეტილებას. მას დასვენება მართლაც სჭირდება, რითაც კარიერას გაიხანგრძლივებს. ამასთან ერთად, საშუალება მოგვეცემა მგეზავის პოზიციაზე ახალგაზრდა მოთამაშეები გამოვცადოთ. დენის ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ თავის ახალგაზრდა ოჯახთან ერთად"* - თქვა მან.

კარტერის შვებულების წინააღმდეგი არც ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სტივ ჰანსენია**:

*„ჩვენთვის გასაგებია მისი ამ გადაწყვეტილების მოტივაცია. მას უნდა, შანსი მიეცეს 2015 წელს მსოფლიოს თასზე იასპარეზოს. ხანგრძლივი დასვენების პერიოდში დენი მაქსიმალურად შეძლებს ძალების აღდგენას, რაც მისთვის და, ცხადია, ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია"* - დასძინა „ოლ ბლექსის" თავკაცმა.

შეგახსენებთ, რომ დენ კარტერი ორჯერ, 2005 და 2012 წლებში მსოფლიოს წლის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს, მან „ჯვაროსნებთან" ერთად სამჯერ მოიგო ზე რაგბი, 2011 წელს კი, მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. ის პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავია.

# სონი ბილის არჩევანი

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა „ოლ ბლექსის" ყოფილ შუამარბ სონი ბილ ვილიამსს ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ის ამჟამად სიდნეის „რუსტერსის" რაგბის ლიგის გუნდში ასპარეზობს, რომელიც ავსტრალიის ჩემპიონატის ლიდერია.

შეგახსენებთ, რომ **სონი ბილ ვილიამსი** რაგბი ლიგიდან რაგბიში 2008 წელს გადაბარგდა. მან ჰემილთონის „ჩიფსის" შემადგენლობაში 2012 წელს ზე რაგბის გათამაშება მოიგო, ერთი წლით ადრე კი ახალი ზელანდიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. საიმისოდ, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ასპარეზობა შეძლოს, სონი ბილმა კონტრაქტს ხელი ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან 2013 წლის დასაწყისში უნდა მოაწეროს. ამასთან ერთად, ვილიამსს სურვილი აქვს 2016 წელს, რიო დე ჟანეიროში გასამართ ოლიმპიურ თამაშებშიც მიიღოს მონაწილეობა ახალი ზელანდიის შვიდკაცა რაგბის ნაკრების შემადგენლობაში.

*„ჩვენ უკვე მივმართეთ სონი ბილ ვილიამსის მენეჯერს წინადადებით, რათა მისმა კლიენტმა ახალ ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს. მოლაპარაკებას დიდი ხანია ვაწარმოებთ და, ვფიქრობთ, ეს დიალოგი დადებით შედეგს მოგვიტანს. ძალიან გვინდა, სონი ბილი რაგბიში დაბრუნდეს და ჩვენთან ერთად იბრძოლოს მწვერვალების დასაპყრობად."* - თქვა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **სტივ ტიუმ**.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● კალათბურთი

# ევროთასის MVP მემფისში წავიდა

გამთამაშებელი **ეი ჯეი პრაისი** „ბარსელონას“ ინტერესთა სფეროში მოხვდა. კალათბურთელმა, შესაძლოა, დატოვოს NBA და ძალები ევროპულ კალათბურთში მოსინჯოს. კატალონიური გრანდი ლიტველი **შარუნას იასიკიავიჩუსის** შემცვლელს ეძებს, რომელმაც კლუბი ამ ზაფხულს დატოვა.

26 წლის პრაისი 2009 წლის დრაფტზე 52-ე ნომრად აირჩია „ინდიანა პეისერსმა“. ამ გუნდის რიგებში გამთამაშებელმა სამი სეზონი გაატარა, გასულ წელს კი „ვაშინგტონის“ ღირსებას იცავდა და საშუალოდ 6.5 ქულასა და 2.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

■ ■ ■

საბერძნეთის ნაკრების გამთამაშებელმა **ნიკ კალატესმა** გამოაცხადა, რომ მომავალ სეზონს NBA-ის კლუბ „მემფისში“ გაატარებს.

*„მოხარული ვარ ახალი სეზონის „მემფისში“ დაწყებით. ყველას დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის“,* - დაწერა თავის „ტვიტერზე“ კალათბურთელმა.

გასულ სეზონში 24 წლის ბერძენი რუსეთის ჩემპიონატში „ლოკომოტივ-ყუბანის“ რიგებში თამაშობდა. კალატესი ევროთასის გათამაშების საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს.

„მემფისმა“ ამ კალათბურთელზე უფლებები „დალასთან“ განხორციელებული გაცვლის შედეგად მიიღო.

■ ■ ■

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო კამპანია ჯერ შორს არის დასრულებისგან. ბაზარზე ბევრი საინტერესო თავისუფალი აგენტია, რომლებსაც შეუძლიათ NBA-ის კლუბების გაძლიერება. ლიგის ვებგვერდზე მათი სრული სია გამოქვეყნდა.

**მცველები:** რიჩარდ ჰემილტონი, რონი ბრიუერი, სებასტიან ტელფეირი, როდრიგ ბობუა, მარკიზ დენიელსი, ტრეისი მაკგრეიდი, დანტეი ჯონსი, დეშონ სტივენსონი, დანიელ გიბსონი, ეი ჯეი პრაისი, მაიკ ჯეიმსი, კეიონ დულინგი, ლესტერ ჰადსონი, დეჟუან კუკი, ჯამალ ტინსლი, სემ იანგი, ტერენს უილიამსი, ბობი ბრაუნი, საშა ვუიაჩიჩი, ქსავიერ ჰენრი, როჯერ მეისონი, დელონტე უესტი, ჯერი სტეკჰაუსი, ელიოტ უილიამსი, მაიკლ რედი, ნოლან სმიტი, კრის დაგლას-რობერტსი, დომინიკ ჯონსი, დეჟუან ჯონსი, კრის დუჰონი.

**ფორვარდები:** ანტუან ჯეიმისონი, სტივენ ჯექსონი, ლამარ ოდომი, კორი მაგეტი, ელი ჰარინგტონი, ჯეიმს ჯონსონი, ტაირუს ტომასი, აივენ ჯონსონი, მაიკლ პიეტრუსი, შავლიკ რენდოლფი, ენტონი ტოლივერი, დრიუ გუდენი, ჯოშ ჰოვარდი, ჰაკიმ უორიკი, ლუკ უოლტონი, ლუის ამუნდსონი, ჯოშ ჩილდრესი, კრის უილკოქსი, დამიენ უილკინსი, იი იანლიანი, ლუკ ბებიტი, დევინ ებენქსი, დი ჯეი უაიტი, ლენს ტომასი, ტროი მერფი.

**ცენტრები:** ნიკოლა პეკოვიჩი, კოულ ოლდრიჩი, იოჰან პეტრო, ჰამედ ჰადადი, ედი კარი, დექსტერ პიტმანი, დარკო მილიჩიჩი.



ნიკ კალატესი

● ფორმულა 1

# ლუისი ბუკმეიკერებში მეორეა

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის 10 ეტაპის შემდეგ, „მერსედესის“ პილოტი **ლუის ჰემილტონი** გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილს იკავებს, თუმცა ბუკმეიკერთა ახალი ფსონების მიხედვით, ბრიტანელი პილოტი მეორე ადგილზეა. ბრიტანულ ტოტალიზატორ William Hill-ს მიაჩნია, რომ უნგრეთის „ჰუნგარორინგზე“ გამარჯვების შემდეგ, სწორედ ლუისს აქვს ჩემპიონატის ლიდერ **სებასტიან ფეტელთან** ტიტულისთვის ბრძოლის ყველაზე რეალური შანსი.

თუმცა ფეტელის მოგებაზე ფსონი ძალიან დაბალია, რადგან ბუკმეიკერებს მის ჩემპიონობაში ეჭვი არ ეპარებათ:

| | |
|---|---|
| **სებასტიან ფეტელი** | 1.25 |
| **ლუის ჰემილტონი** | 8.50 |
| **ფერნანდო ალონსო** | 12.00 |
| **კიმი რაიკონენი** | 15.00 |
| **ნიკო როსბერგი** | 101.00 |
| **მარკ უებერი** | 201.00 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი. ცინცინატი. აშშ

### მამაკაცების ბადე

| 1/32 | 1/16 |
|---|---|
| ჯოკოვიჩი (სერ, 1) | ჯოკოვიჩი (სერ, 1) |
| | |
| მონაკო (არგ) | |
| მელცერი (ავსტრია) | |
| კვალიფიკაცია | |
| კვალიფიკაცია | |
| პოსპიშილი (კან) | |
| სიმონი (საფ 15) | |
| რაონიჩი (კან, 12) | |
| სოკი (აშშ) | |
| ტიფსარევიჩი (სერ) | |
| კუერი (აშშ) | |
| ფ. მაიერი (გერ) | |
| ისნერი (აშშ) | |
| | |
| გასკე (საფ, 8) | გასკე (საფ, 8) |
| ფერერი (ესპ, 3) | ფერერი (ესპ, 3) |
| | |
| ჰარისონი (აშშ) | |
| დოლგოპოლოვი (უკრ) | |
| კვალიფიკაცია | |
| კლიჟანი (სლოვაკ) | |
| ბლეიკი (აშშ) | |
| იანოვიჩი (პოლ, 16) | |
| ნიშიკორი (იაპ, 10) | |
| ფ. ლოპესი (ესპ) | |
| შარდი (საფ) | |
| კვალიფიკაცია | |
| დავიდენკო (რუს) | |
| პერი (საფ) | |
| | |
| დელ პოტრო (არგ, 7) | დელ პოტრო (არგ, 7) |
| ფედერერი (შვეიც, 5) | ფედერერი (შვეიც, 5) |
| | |
| კოლშრაიბერი (გერ) | |
| ფიში (აშშ) | |
| გრანოლერსი (ესპ) | |
| როსოლი (ჩეხ) | |
| ანდერსონი (ს. აფრ) | |
| ჰაასი (გერ, 11) | |
| ალმაგრო (ესპ, 13) | |
| დიმიტროვი (ბულ) | |
| ბეიკერი (აშშ) | |
| ისტომინი (უზბ) | |
| კვალიფიკაცია | |
| კვალიფიკაცია | |
| | |
| ნადალი (ესპ, 4) | ნადალი (ესპ, 4) |
| ბერდიხი (ჩეხ, 6) | ბერდიხი (ჩეხ, 6) |
| | |
| კვალიფიკაცია | |
| ნიემინენი (ფინ) | |
| რობრედო (ესპ) | |
| ბელუჩი (ბრა) | |
| სეპი (იტა) | |
| ვავრინკა (შვეიც, 9) | |
| ფონინი (იტა, 14) | |
| შტეპანეკი (ჩეხ) | |
| ბენეტო (საფ) | |
| ბალდატისი (კვიპ) | |
| გულბისი (ლატ) | |
| იუჟნი (რუს) | |
| | |
| მარეი (ბრიტ, 2) | მარეი (ბრიტ, 2) |

1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი

**1/8 - სავარაუდო წყვილები**

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-სიმონი (საფ, 14)
გასკე (საფ, 8)-რაონიჩი (კან, 12)
ფერერი (ესპ, 3)-იანოვიჩი (პოლ, 16)
დელ პოტრო (არგ, 7)-ნიშიკორი (იაპ, 10)
ჰაასი (გერ, 13)-ფედერერი (შვეიც, 5)
ნადალი (ესპ, 4)-ალმაგრო (ესპ, 13)
ვავრინკა (შვეიც, 9)-ბერდიხი (ჩეხ, 5)
ფონინი (იტა, 14)-მარეი (ბრიტ, 2)

### ქალების ბადე

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16

| 1/32 | 1/64 |
|---|---|
| ს. უილიამსი (აშშ, 1) | ს. უილიამსი (აშშ, 1) |
| | |
| | კვალიფიკაცია |
| | კვალიფიკაცია |
| | ბარტელი (გერ) |
| | საფაროვა (ჩეხ) |
| | კვალიფიკაცია |
| | კირილენკო (რუს, 16) |
| | სტოსური (ავსტრა, 11) |
| | კუზნეცოვა (რუს) |
| | პავლიუჩენკოვა (რუს) |
| | ჰემპტონი (აშშ) |
| | ჰალეპი (რუმ) |
| | ჰსიე (ტაივ) |
| | |
| ბარტოლი (საფ, 8) | ბარტოლი (საფ, 8) |
| ა. რადვანსკა (პოლ, 4) | ა. რადვანსკა (პოლ, 4) |
| | |
| | პენეტა (იტა) |
| | ლეპჩენკო (აშშ) |
| | კვალიფიკაცია |
| | ვ. უილიამსი (აშშ) |
| | ვესნინა (რუს) |
| | ფლიპკენსი (ბელ, 13) |
| | კერბერი (გერ, 9) |
| | კვალიფიკაცია |
| | კვალიფიკაცია |
| | კლეიბანოვა (რუს) |
| | დევისი (აშშ) |
| | ზაკოპალოვა (ჩეხ) |
| | |
| ნა ლი (ჩინ, 5 | ნა ლი (ჩინ, 5) |
| ერანი (იტა, 6) | ერანი (იტა, 6) |
| | |
| | კვალიფიკაცია |
| | ციბულკოვა (სლოვაკ) |
| | კვალიფიკაცია |
| | ჰანტუხოვა (სლოვაკ) |
| | მატეკი (აშშ) |
| | ვინჩი (იტა, 12) |
| | იანკოვიჩი (სერ, 14) |
| | ლისიცკი (გერ) |
| | კვალიფიკაცია |
| | მაკაროვა (რუს) |
| | კვალიფიკაცია |
| | სტივენსი (აშშ) |
| | |
| შარაპოვა (რუს, 3) | შარაპოვა (რუს, 3) |
| კვიტოვა (ჩეხ, 7) | კვიტოვა (ჩეხ, 7) |
| | |
| | სუარეს ნავარო (ესპ) |
| | კვალიფიკაცია |
| | ვიკმაიერი (ბელ) |
| | კირსტეა (რუმ) |
| | პენგი (ჩინ) |
| | ვოზნიაცკი (დან, 10) |
| | ივანოვიჩი (სერ, 15) |
| | კორნე (საფ) |
| | გორგესი (გერ) |
| | რიბარიკოვა (სლოვაკ) |
| | მლადენოვიჩი (საფ) |
| | კვალიფიკაცია |
| | |
| აზარენკა (ბლრ, 2) | აზარენკა (ბლრ, 2) |

**1/8 - სავარაუდო წყვილები**

ს.უილიამსი (აშშ, 1)-კირილენკო (რუს, 16)
ბარტოლი (საფ, 8)-სტოსური (ავსტრა, 11)
რადვანსკა (პოლ, 4)-ფლიპკენსი (ბელ, 13)
ნა ლი (ჩინ, 5)-კერბერი (გერ, 9)
ერანი (იტა, 6)-ვინჩი (იტა, 12)
შარაპოვა (რუს, 3)-იანკოვიჩი (სერ, 14)
კვიტოვა (ჩეხ, 7)-ვოზნიაცკი(დან, 10)
აზარენკა (ბლრ, 2)-ივანოვიჩი (სერ, 15)

ჩოგბურთი. ტურნირები

# ნადალისთვის ჰარდიც გრუნტია

მიმდინარე სეზონში **რაფაელ ნადალი** მე-11 ტურნირში მონაწილეობს და მეათედ გავიდა ფინალში. ამისთვის მას მონრეალის მასტერსის ნახევარფინალში თანამედროვე ჩოგბურთის კლასიკური დაპირისპირების მოგება დასჭირდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** წინააღმდეგ.

მონრეალის მასტერსი ნადალისთვის მეორე ტურნირია 2013 წელს ჰარდის საფარიან კორტებზე. პირველი ინდიან უელსის მასტერსი იყო მარტში, სადაც ესპანელმა მთავარი პრიზი მოიპოვა. ასე რომ, კანადური ტურნირის ფინალს რაფა ჰარდზე 9-მატჩიანი მოგებათა სერიით ხვდება. ნადალისთვის ეს არის მასტერსის სერიის ტურნირებში რიგით 36-ე ფინალი და ის 25-ედ შეეცდება ამ სერიაში გამარჯვების მოპოვებას. წელს, რაფაელმა ხუთ მასტერსში მიიღო მონაწილეობა, ხუთივეში ფინალში გავიდა და მოიგო ტიტული ინდიან უელსში, მადრიდსა და რომში.

ნადალი და ჯოკოვიჩი წელს მესამედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მონტე კარლოს ფინალში სერბმა შეწყვიტა ამ ტურნირზე ესპანელის რვაწლიანი ჰეგემონია, სამაგიეროდ, როლან გაროსის ფინალში ნადალმა ხუთსეტიან თრილერში რევანში აუღო მსოფლიოს პირველ ჩოგანს. ეს ორი მატჩი გრუნტზე გაიმართა, ჰარდზე კი ეს ჩოგბურთელები 2012 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ლეგენდარული ფინალის შემდეგ პირველად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

პირველი სეტი ნადალის უპირატესობით მიმდინარეობდა, რაშიც მას ჯოკოვიჩის შეცდომები დაეხმარა. ესპანელმა პარტიაში ორი ბრეიკი გააკეთა და ორივე შემთხვევაში გეიმი ნოვაკის ორმაგი შეცდომით დასრულდა (სულ მატჩში სერბს 7 ასეთი შეცდომა დაუგროვდა). ნადალმა 44 წუთში 6:4 გაიმარჯვა.

მეორე პარტიაში ყველაფერი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც ჯოკოვიჩმა შეასრულა და 6:3 მოიგო. ამის შემდეგ, მეტოქეები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს და ყველაფერი მესამე სეტის ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, სადაც ნადალის უპირატესობა აშკარა იყო. ესპანელი რამდენიმე მინი-ბრეიკით 6:0 წაიყვანა ანგარიში და მესამე მატჩბოლზე დაასრულა საქმე - 2 საათსა და 28 წუთში 6:4, 3:6, 7:6(2) გაიმარჯვა და ახლა, ჯოკოვიჩთან ურთიერთშეხვედრებში ანგარიში 21:15 გახდა ესპანელის სასარგებლოდ.

ნადალისთვის ეს იყო 50-ე მატჩი სეზონში და მას მოგება/წაგების ბრწყინვალე ბალანსი აქვს - 47:3.

■ ■ ■

ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, ნადალის მეტოქე ფინალში კანადელი **მილოშ რაონიჩი** იქნება. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ფინალში რომელიმე კანადელი აუცილებლად ითამაშებდა; რადგან მეორე ნახევარფინალში რაონიჩი თანამემამულე **ვაშეკ პოსპიშილს** ხვდებოდა, რომელიც ამ ტურნირის ნამდვილი სენსაცია გახდა. ახალგაზრდა ჩოგბურთელმა ნახევარფინალამდე **ჯონ ისნერისა** და **ტომაშ ბერდიხის** დამარცხება შეძლო.

ეს იყო პირველი შემთხვევა 1990 წლის შემდეგ, როცა ამ ტურნირზე კანადური ნახევარფინალი თამაშდებოდა. ეს მატჩიც საკმაოდ დრამატული გამოდგა და მისი ბედიც მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე გაირკვა.

პირველ სეტში რაონიჩმა მეხუთე გეიმში გააკეთა ბრეიკი და ბოლომდე შეინარჩუნა ეს უპირატესობა, თუმცა მეორე სეტი მთლიანად ჩააგდო და მხოლოდ ერთი გეიმი აართვა თანამემამულეს. მესამე პარტიის მე-10 და მე-11 გეიმებში მილოშს ორი ქულა აკლდა გამარჯვებამდე, მაგრამ პოსპიშილი ორჯერვე კარგად გამოვიდა რთული სიტუაციიდან და თამაში ტაი-ბრეიკზე გაგრძელდა. იქ კი გადამწყვეტი აღმოჩნდა მინი-ბრეიკი, რომელიც რაონიჩმა შეასრულა. ის 6:4 დაწინაურდა და პირველივე მატჩბოლის გამოყენებით ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა - 6:4, 1:6, 7:6(4).

რაონიჩს აქვს შანსი გახდეს პირველი კანადელი 1958 წლის შემდეგ, ვინც საშინაო ტურნირს მოიგებს. ბოლოს ეს 55 წლის წინ **რობერ ბედარმა** გააკეთა.

**Rogers Cup**

**მონრეალი (კანადა). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი: 2 887 085**

**1/4 ფინალი**

**ვაშეკ პოსპიშილი (კან)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 3:0, უარი; **მილოშ რაონიჩი (კან, 11)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 7:6(3), 4:6, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-რიშარ გასკე (საფ, 7) 6:1, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 4)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:2, 6:4.

**1/2 ფინალი**

**მილოშ რაონიჩი (კან, 11)**-ვაშეკ პოსპიშილი (კან) 6:4, 1:6, 7:6(4); **რაფაელ ნადალი (ესპ, 4)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:4, 3:6, 7:6(2).



ნადალი ჯოკოვიჩის დამარცხებას ზეიმობს

# სორანას ზღაპარი გაგრძელდა

ტორონტოს ქალთა ტურნირის ფინალშიც უცნაური წყვილი მივიღეთ. აქაც ერთი ჩოგბურთელის გადამწყვეტ მატჩში გასვლა კანონზომიერი იყო, მეორე კი სენსაციურად მოხვდა აღნიშნულ ეტაპზე.

მსოფლიოს პირველმა ნომერმა **სერენა უილიამსმა** სეტის წაუგებლად გაიარა გზა ფინალამდე, თუმცა ნახევარფინალში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა **აგნიეშკა რადვანსკასგან**, რომელთანაც ამერიკელს ხუთიდან ხუთი მატჩი ჰქონდა მოგებული.

პირველ სეტში სერენა ორჯერ გავიდა წინ ბრეიკით, თან 5:4-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ პოლონელმა ორჯერვე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და ტაი-ბრეიკამდე მივიდა, თუმცა იქ ამერიკელმა იოლად მოიპოვა გამარჯვება - 7:3.

მეორე პარტიაც ოდნავ ჰგავდა სცენარით პირველს. სერენა ისევ დაწინაურდა ბრეიკით (3:1) და ისევ აგნიეშკამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მაგრამ ამჯერად საქმე ტაი-ბრეიკამდე აღარ მივიდა, რადგან ამერიკელის მიერ გაკეთებულ მეოთხე ბრეიკს რადვანსკამ ვეღარ უპასუხა და 4:6, 6:7(3) დამარცხდა.

უმცროს უილიამსს შემტევი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული და ამან 42 „ვინერსი“ და 46 უნებლიე შეცდომა მოუტანა. რადვანსკა ჩვეულ სტილში იცავდა თავს, რის გამოც მხოლოდ 8 „ვინერსი“ მიითვალა და 24 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

■ ■ ■

თუ მამაკაცთა ტურნირის სენსაცია **ვაშეკ პოსპიშილი** გახდა, ქალებში ბრწყინვალე და სენსაციური გზა გაიარა რუმინელმა **სორანა კირსტეამ**. მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **კაროლინ ვოზნიაცკი, ელენა იანკოვიჩი, პეტრა კვიტოვა** და **ნა ლი** და სერენა უილიამსთან თამაშის უფლება მოიპოვა.

კირსტეას ნა ლისთან ხუთიდან ოთხი მატჩი ჰქონდა წაგებული, თუმცა წინა თამაშების სტატისტიკა დაივიწყა და ნახევარფინალის პირველი სეტი 22 წუთში მოიგო - 6:1. ჩინელი საკუთარ თავს არ ჰგავდა და მთელი პარტიის განმავლობაში მხოლოდ 12 ქულა აიღო.

მეორე სეტში კი ნამდვილი თრილერი გათამაშდა. ლი 5:2 დაწინაურდა და, ალბათ, გონებაში მესამე პარტიისთვის ემზადებოდა, როცა კირსტეამ ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო, 6:5-ზე კი ორმაგი მატჩბოლი მოიპოვა. სწორედ აქ, რუმინელმა ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლო და ორივე შანსი გაანიავა, რითაც ტაი-ბრეიკი გაუნაღდა მეტოქეს. ნა ლიმ აქაც კომფორტული უპირატესობა მოიპოვა - 4:1 გავიდა წინ და კირსტეამ მორიგი სასწაული ჩაიდინა - მომდევნო შვიდი გათამაშებიდან ექვსი თავის სასარგებლოდ დაასრულა და კარიერაში პირველად გავიდა ასეთი დონის ტურნირის ფინალში - 6:1, 7:6(5).

სერენა უილიამსი და სორანა კირსტეა აქამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერვე ამერიკელმა ორ სეტში გაიმარჯვა.



სერენა უილიამსი

**Rogers Cup**

**ტორონტო (კანადა). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი: 2 369 000**

**1/4 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-სარა ერანი (იტა, 5) 7:6(1), 7:5; **ნა ლი (ჩინ, 4)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 7:6(1), 6:2; **სორანა კირსტეა (რუმ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 6) 4:6, 7:5, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:1, 6:1.

**1/2 ფინალი**

**სორანა კირსტეა (რუმ)**-ნა ლი (ჩინ, 4) 6:1, 7:6(5); **სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3) 7:6(3), 6:4.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2015**

**UNDER21**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-სომხეთი | 0:1 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| კუკუტა-პატრიოტასი | 2:3 |
| ა. პეტროლერა-ატ. ნასიონალი | 1:2 |
| სანტა ფე-იტაგუი | 2:1 |
| დეპ. პასტო-დეპ. კალი | 1:1 |
| ო. კალდასი-ტოლიმა | 4:0 |
| ჩიკო-ატ. ხუნიორი | 1:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-უნ. კატოლიკა | 2:0 |
| მანტა-ელ ნასიონალი | 1:0 |
| ლიგა დე ლოხა-ლდუ კიტო | 1:1 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-დეპ. კაპიატა | 4:0 |
| პრეზიდენტი-დეპ. კარაპეგუა | 2:0 |
| სოლ დე ამერიკა-გუარანი | 2:0 |
| ხენერალ დიასი-ნასიონალი | 0:0 |
| ლუკენო-ლიბერტადი | 0:1 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| კახამარკა-სან მარტინი | 2:1 |
| მელგარი-სესარ ვალიეხო | 2:2 |
| რეალი-ხოსე გალვესი | 3:1 |
| ინტი გასი-სპორტი | 1:0 |
| ალიანსა ლიმა-ხუან აურიჩი | 3:1 |
| სპ. კრისტალი-კომერსიო | 2:0 |
| ლეონი-სენსიანო | 1:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მალაიზია XI-ბარსელონა | 1:3 |
| ასტონ ვილა-მალაგა | 3:2 |
| კარდიფი-ბილბაო | 2:1 |
| კრ. პალასი-ლაციო | 0:1 |
| ფულჰემი-პარმა | 1:2 |
| ჰალი-ბეტისი | 3:0 |
| მანჩესტერ სიტი-არსენალი | 1:3 |
| ნორვიჩი-პანათინაიკოსი | 2:0 |
| საუთჰემპტონი-სოსიედადი | 4:3 |
| სტოკი-ჯენოა | 0:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-ბოლონია | 2:0 |
| ნეა სალამისი-ალკი | 4:1 |
| ომონია-არისი | 3:0 |
| ვერონა-ლასი | 3:0 |
| სელტიკი-ლივერპული | 1:0 |
| ტოტენჰემი-ესპანიოლი | 1:1 |
| ბეშიქთაში-რიზე | 1:0 |
| ქასიმფაშა-შივასი | 3:0 |
| ძონია-გენჩლერი | 1:0 |
| ნიუკასლი-ბრაგა | 1:1 |
| პაოკ-კალონი | 1:3 |
| ლას პალმასი-ატლეტიკო | 0:2 |
| მურსია-ელჩე | 0:1 |
| ვალიადოლიდი-ოსასუნა | 1:1 |
| რეალი-ინტერი | 3:0 |
| ატალანტა-კიევო | 2:3 |
| დეპორტივო-ჟილ ვისენტე | 3:2 |
| ტენერიფე-ვალეკანო | 5:0 |
| სარაგოსა-ხეტაფე | 1:1 |
| კორდობა-ალმერია | 3:2 |
| მარიტიმუ-სელტა | 1:0 |
| ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 2:1 |
| ჩელსი-რომა | 2:1 |
| ადანა-ქაისერი | 0:1 |
| ევერტონი-ბეტისი | 2:1 |
| დიორი-ბაიერნი | 1:4 |
| სპორტინგი (ხ)-ვილიარეალი | 1:4 |
| მალიორკა-რეკრეატივო | 2:2 პენ. 4:5 |
| სპორტინგი (ლ)-ფიორენტინა | 3:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონრეალი**

| | |
|---|---|
| ნადალი-რაონიჩი | 6:2, 6:2 |

**WTA. ტორონტო**

| | |
|---|---|
| ს. უილიამსი-კირსტეა | 6:2, 6:0 |

TV პროგრამა

**12 აგვისტო. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. შალკე-ჰამბურგი.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ფეიენოორდი-ტვენტე.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ბრაუნშვაიგი-ვერდერი.
**16:00** ჩემპიონთა ლიგა. მილანი-მალაგა.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ჰერტა-აინტრახტი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ალკმაარი-აიაქსი.
**00:00** ჩემპიონთა ლიგა. შალკე-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-ანდერლეხტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-კლიპერსი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ენდი მარეი-გრიგორ დიმიტროვი. ბრისბენი. ავსტრალია.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-ალსტერი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-არსენალი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. ვაშეკ პოსპიშილი-მილოშ რაონიჩი. მონრეალი. კანადა.
**12:50** სპორტ-NEWS.
**13:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი - ნოვაკ ჯოკოვიჩი. მონრეალი. კანადა.
**16:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-მილოშ რაონიჩი. მონრეალი. კანადა.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა. მიმოხილვა.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 32 | (მზე) |
| ქუთაისი | 24 | 35 | (მზე) |
| ბათუმი | 23 | 30 | (მზე) |
| ძოზულეთი | 22 | 31 | (მზე) |
| ფოთი | 23 | 32 | (მზე) |
| ზუგდიდი | 22 | 32 | (მზე) |
| გორი | 19 | 33 | (მზე) |
| თელავი | 16 | 31 | (მზე) |
| სიღნაღი | 17 | 30 | (მზე) |
| ბაკურიანი | 9 | 25 | (მზე) |
| ბორჯომი | 12 | 28 | (მზე) |
| მესტია | 12 | 28 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2201 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6600 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5775 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0516 |

ჰოკეი

# ეშმაკები გაიყიდნენ

როგორც ESPN იტყობინება, დასასრულს მიუახლოვდა გარიგება NHL-ის კლუბ „ნიუ ჯერსის დევილზის“ გაყიდვასთან დაკავშირებით. თუ ყველაფერი წარმატებით ჩაივლის, კლუბი მფლობელობაში გადაეცემა **ჯოშუა ჰარისს**, რომელიც ასევე ფლობს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბ „ფილადელფია სიქსერზს“.

„დევილზის“ ამჟამინდელი მფლობელი **ჯეფ ვანდერბიკი** შეინარჩუნებს კლუბის აქციათა მცირე პროცენტს. სავარაუდო გარიგების ღირებულების შესახებ არაფერს იტყობინებიან. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე გახდა ცნობილი იმის შესახებ, რომ „ნიუ ჯერსის“ საერთო ვალმა 230 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ბოლტის ფინიში

# ბოლტმა ტიტული დაიბრუნა

შაბათს, მოსკოვში სტარტი აიღო მსოფლიოს ჩემპიონატმა მძლეოსნობაში. უკვე გათამაშდა მედლების შვიდი კომპლექტი. ამ უქმეების მთავარი სტარტი, რა თქმა უნდა, მამაკაცებს შორის 100 მეტრზე გარბენი იყო, სადაც ორი წლის წინ დაკარგული ტიტულის დაბრუნებას ლამობდა **უსაინ ბოლტი.** შეგახსენებთ, რომ წინა ჩემპიონატზე, ლეგენდარულმა იამაიკელმა ფალსტარტის გამო წააგო მოკლე სპრინტი და ტიტული თანამემამულე **იოჰან ბლეიკს** დაუთმო. მოსკოვში ბოლტის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რადგან ამ ჩემპიონატზე არც ბლეიკი ჩასულა, არც **ტაისონ გაი** და არც **ასაფა პაუელი.** უსაინის ერთადერთ სერიოზულ მეტოქედ ამერიკელი **ჯასტინ გეტლინი** მიიჩნეოდა.

ამ დუეტის გარდა, ფინალში გავიდნენ იამაიკელები: **ემმიდი, ბეილ-კოული** და **კარტერი**, ამერიკელი **როჯერსი,** ბრიტანელი **დასაულუ** და ფრანგი **ლემეტრი.** რაც ყველაზე საინტერესოა, ფინალში საუკეთესო დროთი ემმიდი შევიდა - 9.90 წამი.

ჩემპიონატის წინ, ბოლტი თავის გულშემატკივრებს მსოფლიოს რეკორდს ჰპირდებოდა, მაგრამ ამის შანსი თითქმის არ არსებობდა, რადგან ფინალის მონაწილეების წარდგენისას ძლიერი წვიმა წამოვიდა. ყველაზე საინტერესო გარბენის წინ, სარბენი ბილიკი მთლიანად სველი იყო.

სასტარტო ნიშანზე ყველაზე კარგი რეაქცია გეტლინს ჰქონდა, ბოლტი კი, ტრადიციულად, სტარტზე შეყოვნდა და პირველი 50 მეტრი მესამე პოზიციაზე ირბინა. და ამჯერადაც, ბოლტმა დისტანციის მეორე ნახევარზე ჩართო თავისი საფირმო სიჩქარე და ბოლომდე დაიხარჯა ტიტულის დასაბრუნებლად. ჯასტინმა მაქსიმალურად მოინდომა, მაგრამ იამაიკელი საუკეთესო იყო - 9.77 წამი! ეს სეზონის საუკეთესო დროც კი არ არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ წვიმა და შემხვედრი ქარი. ამის გათვალისწინებით, შედეგი ძალიან მაღალია.

გეტლინმა მეორე ადგილი დაიკავა, რამაც ძალიან გაახარა. სამეულში მოხვდა ნესტა კარტერი. საერთოდ, პირველ ხუთეულში ოთხი იამაიკელი მოხვდა, რაც ჩემპიონატის ბოლო დღეს, 4x100 მეტრზე ესტაფეტაში იამაიკას მთავარ ფავორიტად აქცევს.

# პირველი ტრავმა, პირველი დოპინგი

მსოფლიოს ჩემპიონატს პირველი მედალისტების გარდა, პირველი ტრავმირებულიც ჰყავს - უკრაინელმა ბადროს მტყორცნელმა **ნატალია სემიონოვამ** ცხვირი გაიტეხა, - იტყობინება სააგენტო „როიტერი“.

უკრაინელმა დაზიანება კურიოზულ და სრულიად უწყინარ სიტუაციაში მიიღო. ის „ლუჟნიკებში“ ბადროს ტყორცნის სექტორში იმყოფებოდა, როცა პოლონელი **ჟანეტ გლანცი** მოთელვას ასრულებდა და ბადროს ტყორცნის იმიტაციისას მოქნეული ხელი პირდაპირ სახეში უთავაზა სემიონოვას. მას ხელში ბადრო ეჭირა და შედეგიც ამიტომაც აღმოჩნდა სავალალო.

სემიონოვას ექიმებმა დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ის საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა, მაგრამ მხოლოდ 55.79 მეტრი აჩვენა, იმ დროს, როცა მისი პირადი რეკორდი 61.41 მეტრია.

საბოლოოდ, უკრაინელმა საკვალიფიკაციოში მხოლოდ 23-ე შედეგი აჩვენა და ფინალში გადასვლა ვერ მოახერხა.

■ ■ ■

პლანეტის პირველობაზე დოპინგის გამოყენების პირველ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. სპრინტერმა **კელი-ენ ბაპტისტმა**, რომელიც ტრინიდადისა და ტობაგოს ქალთა ნაკრებს წარმოადგენდა, დადებითი დოპინგსინჯის გამო დატოვა ჩემპიონატი. მისმა თანამემამულე **სიმორ ჰეკეტმა** კი საკუთარი ნებით ასევე მიატოვა ტურნირი. ბაპტისტი ცნობილი სპრინტერია. მაგალითად, წინა ჩემპიონატზე, რომელიც 2011 წელს გაიმართა, ტრინიდადელმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 100 მეტრზე სირბილში.

*„ბაპტისტმა თავად მიიღო ჩემპიონატის დატოვების გადაწყვეტილება და ახლა, ნაკრების ბაზისკენ მიემართება“*, - განაცხადა ტრინიდადის ნაკრების მწვრთნელმა **დექსტერ ვოიზინმა.**

თუმცა მწვრთნელს არ დაუდასტურებია ინფორმაცია დადებითი დოპინგსინჯის შესახებ.


ტრავმირებული სემიონოვა

# ამერიკა წინ გაიჭრა

ჩემპიონატის პირველი ორი დღის შემდეგ, მედლების ჩათვლაში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები დაწინაურდა, რომელიც ორი ოქროთი და ერთი ვერცხლით იწონებს თავს. ასევე სამ-სამი მედალი აქვთ კენიასა და ეთიოპიას.

## პირველი დღე

მედლების პირველი კომპლექტი ქალმა მარათონელებმა გაითამაშეს. ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ეთიოპიის ნაკრებს ჰყავდა, რომელმაც სტარტზე ხუთი მორბენალი გაიყვანა, მაგრამ მათგან საუკეთესო - **აბერუ კებედე** მხოლოდ მე-13 მივიდა ფინიშთან. თითქმის მთელი დისტანცია ლიდერი 37 წლის იტალიელი, ორი შვილის დედა **ვალერია სტრანეო** იყო. მეათე კილომეტრისთვის მან დაშალა მორბენალთა ჯგუფი და ლიდერებში მხოლოდ რვა მარათონელი დარჩა. კიდევ ათი კილომეტრის შემდეგ, ლიდერთა ჯგუფი ოთხამდე შემცირდა. დარჩენილ მანძილზე სტრანეომ, რომელიც არასოდეს ასულა დიდი ტურნირის პოდიუმზე, კიდევ ორი მეტოქე ჩამოიცილა და ერთი ერთზე დარჩა მოქმედ ჩემპიონთან, კენიელ **ედნა კიპლაგატთან.** ეს უკანასკნელი მშვიდად მირბოდა იტალიელის უკან, ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე კი წინ გავიდა და მის სპურტს სტრანეომ ვერაფერი მოუხერხა. კიპლაგატი ისტორიაში პირველია, ვინც ქალთა მარათონში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება შეძლო.

■ ■ ■

დღის მეორე ფინალი მამაკაცებს ჰქონდათ 10000 მეტრზე სირბილში. მთავარი ფავორიტი, რა თქმა უნდა, ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი, ბრიტანელი **მო ფარა** იყო. საწყის წრეებზე მას მოვლენათა ფორსირება არ დაუწყია და მხოლოდ ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე დაიწყო წინ გასვლა. ბრიტანელის ბლოკირება სცადეს ამერიკელებმა, მაგრამ ფარა მათ იოლად გაუსწორდა და პირველ პოზიციაზე გადავიდა. ეთიოპიელმა **იბრაჰიმ ჟეილანმა** და კენიელმა **კიპნგეტიჩ ტანუმ** ყველანაირად სცადეს არ ჩამორჩენილიყვნენ ბრიტანელს, ჟეილანმა კი ბოლო ვირაჟისას წინ გასვლაც კი მოინდომა, მაგრამ ფავორიტის ტემპი აფრიკელებისთვის ძალიან მაღალი აღმოჩნდა. ფარამ ამ სეზონში საუკეთესო დრო აჩვენა და პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

## მეორე დღე

გუშინ მამაკაცებს შორის 100 მეტრის გარდა, მედლების კიდევ ხუთი კომპლექტი გათამაშდა. ათჭიდში გრძელდება ამერიკელი **ეშტონ იტონის** დომინირება. გასულ წელს მან მოიგო ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატი, ოლიმპიადა და დაამყარა მსოფლიოს რეკორდი. წელს ის ასევე დაუმარცხებელი იყო. პირველ დღეს, ამერიკელმა სიმაღლეზე ხტომის შემდეგ, ერთადერთხელ დაკარგა ლიდერობა. 400 მეტრზე სირბილის შემდეგ, იტონი ისევ პირველ ადგილზე გადავიდა და აქედან მოყოლებული, მხოლოდ ზრდიდა თავის უპირატესობას. 1500 მეტრზე გარბენის წინ, მის გამარჯვებაში ეჭვი უკვე არავის ეპარებოდა.

■ ■ ■

ქალებს შორის სიგრძეზე ხტომაში რუსებს თავიანთი ვარსკვლავების - **დარია კლიშინასა** და ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, **ელენა სოკოლოვას** იმედი ჰქონდათ, თუმცა ვერც ერთმა ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და რუსებს არც ერთი სპორტსმენი არ აუყვანიათ პოდიუმზე.

მთავარი ფავორიტი, რა თქმა უნდა, მსოფლიოსა და ოლიმპიადის მოქმედი ჩემპიონი **ბრიტნი რიზი** იყო, თუმცა მან კინაღამ გაუცრუა იმედები გულშემატკივრებს. ამერიკელი ბოლო - მე-12 შედეგით შევიდა ფინალში. მაშინვე დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ რიზის სპორტული ფორმის პიკმა ჩაიარა და სპორტსმენმა იჩქარა, როცა სეზონის სტარტზე 7.25 მეტრზე გადახტა.

რიზის მთავარი მეტოქე ნიგერიელი **ბლესინგ ოკაგბარე** უნდა ყოფილიყო, რომელსაც ამ ჩემპიონატზე ოქროს მედლების მოპოვება ჰქონდა დაგეგმილი სიგრძეზე ხტომასა და სპრინტერულ დისტანციებზე. ფინალში პირველი კარგი ნახტომი სწორედ მან შეასრულა - 6.89 მეტრი დააფიქსირა და ლიდერი გახდა. თუმცა მეორე ცდაზე პირველი ადგილზე გადავიდა რიზი, რომლის შედეგი იყო 7.01 მეტრი.

ამის შემდეგ, ამერიკელი თამამად მიდიოდა რისკზე და ამიტომაც, ოთხიდან სამი ცდა გააფუჭა, თუმცა, საბოლოოდ ისე აღმოჩნდა, რომ სწორედ რიზი იყო ერთადერთი ფინალისტი, ვინც იმ დღეს შვიდ მეტრზე შორს გადახტა. რაც შეეხება ოკაგბარეს, ის ყოველ ცდაზე აუმჯობესებდა თავის მაჩვენებელს და ბოლოს, მისი ჩამორჩენა მხოლოდ ორი სანტიმეტრი იყო - 6.99 მეტრი.

■ ■ ■

ქალებმა ასევე გაითამაშეს მედლები 10 ათას მეტრზე სირბილში. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ეთიოპიელმა **ტირუნეშ დიბაბამ,** როგორც იქნა მოირჩინა ტრავმები, რომელიც ბოლო წლებში აწუხებდა და ძალიან იოლად მოიგო გარბენი. ბოლო წრეზე მის სპურტს მხარი ვერავინ აუბა. დიბაბამ კარიერაში მეხუთედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი.

ასევე ფავორიტმა გაიმარჯვა ქალებს შორის ბადროს ტყორცნაში. ხორვატმა **სანდრა პერკოვიჩმა** წელს „ბრილიანტის ლიგის“ ყველა ეტაპზე გაიმარჯვა და საერთოდაც, ლონდონის ოლიმპიადის მოგების შემდეგ, ის არავის დაუმარცხებია. მან წარმატებით დაადასტურა თავისი სტატუსი. ხორვატმა პირველ ცდაზე 67.99 მეტრზე გატყორცნა ბადრო და ასეთ დონეზე გამოსასვლელად არც ერთი მისი კონკურენტი არ აღმოჩნდა მზად. სანდრასთვის ეს იყო პირველი ოქრო მსოფლიოს ჩემპიონატზე.

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| **10 000 მ** | |
| 1. მო ფარა (ბრიტ) | 27.21,71 |
| 2. იბრაჰიმ ჟეილანი (ეთი) | 27.22,23 |
| 3. კიპნგეტიჩ ტანუი (კენ) | 27.22,61 |
| **20 კმ. სიარული** | |
| 1. ალექსანდრ ივანოვიჩი (რუს) 1:20.58 | |
| 2. ჩენ დინი (ჩინ) | 1:21.09 |
| 3. მიგელ ლოპესი (ესპ) | 1:21.21 |
| **ათჭიდი** | |
| 1. ეშტონ იტონი (აშშ) | 8809 |
| 2. მიკაელ შრიოდერი (გერ) | 8670 |
| 3. დემიენ უორნერი (კან) | 8512 |


ტირუნეშ დიბაბა

| | |
|---|---|
| **100 მ** | |
| 1. უსაინ ბოლტი (იამ) | 9,77 |
| 2. ჯასტინ გეტლინი (აშშ) | 9,85 |
| 3. ნესტა კარტერი (იამ) | 9,95 |
| **ქალები** | |
| **მარათონი** | |
| 1. ედნა კიპლაგატი (კენ) | 2:25.44 |
| 2. ვალერია სტრანეო (იტა) | 2:25.58 |
| 3. კაიოკო ფუკუსი (იაპ) | 2:27.45 |
| **სიგრძეზე ხტომა** | |
| 1. ბრიტნი რიზი (აშშ) | 7,01 |
| 2. ბლესინგ ოკაგბარე (ნიგ) | 6,99 |
| 3. ივანა შპანოვიჩი (სერ) | 6,82 |
| **ბადროს ტყორცნა** | |
| 1. სანდრა პერკოვიჩი (ხორ) | 67,99 |
| 2. მელინა რობერ-მიშონი (საფ) | 66,28 |
| 3. იარელის ბარიოსი (კუბ) | 64,96 |
| **10 000 მ** | |
| 1. ტირუნეშ დიბაბა (ეთი) | 30.43,35 |
| 2. გლედის ჩერონო (კენ) | 30.45,17 |
| 3. ბელაინეშ ოლჯირა (ეთი) | 30.46,98 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608